# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 3 სექტემბერი 2002 №165 (1687) | ფასი 50 თეთრი

## ლოკომოტივი: გუნდი თუ ამფსონები?

### ჯანაშიამ თავისი საქმე იცის: ჩივაძეს თავი დააძახებინა

კვამლი უცეცხლოდ არ არისო და, ჭორიც ასეა, უმიზეზოდ, არაფრისგან არ ჩნდება.

საქმის არსი ასეთია: „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ „კოპენჰაგენთან" სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ თავისი რამდენიმე ფეხბურთელი მეტოქის მოგებაზე ფსონის ჩასვლაში დაადანაშაულა, თუმცა გვარები არ დაუსახელებია.

ჭორია! — ერთხმად აცხადებენ ფეხბურთელები და ჩვენც საპირისპიროს მტკიცების საბაბი და საბუთი არ გაგვაჩნია. ყოვლად უსახური თამაში კი შესაძლოა, სულ სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული — იმით, რამაც კლუბის ხელმძღვანელობას მთავარი მწვრთნელის შეცვლა აიძულა, ან იმით, რის გამოც მოთამაშეთა ერთი ნაწილი ხელმძღვანელობას ემდურის. მაგრამ ჩვენ ასევე არ შეგვიძლია ჭორი ვუწოდოთ კლუბის პრეზიდენტის საჯაროდ გაცხადებულ ბრალდებასაც. მართალია, აკაკი ჩხაიძემ გუშინ შეარბილა ადრინდელი კომენტარი, საკითხი ისე მწვავედ როდი დგას, როგორც აიტაცეთო, თუმცა ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. ერთი, რომ ბრალდება უკვე წაყენებულია და იმ მატჩის სანახავად მისული ათასობით ადამიანი თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს და მეორეც — „საკითხი ისე მწვავედ როდი დგას", გაუგებარია. თუ ფეხბურთელები ფსონს მართლაც ჩავიდნენ, საკითხი ძალიან მწვავედ დგას, ხოლო თუ არ ჩასულან, საერთოდ არ დგას, შუალედური ვარიანტის მოძებნა კი პრობლემის მიჩუმათებას ნიშნავს.

ზაზა ჯანაშია კი, ვის მიმართაც „კოპენჰაგენთან" მატჩისას საყვედური არავის დასცდენია, გერმანიაში გასამგზავრებლად ემზადება. ალექსანდრე ჩივაძემ ის სანაკრებო შეკრებაზე გამოიძახა. რუიტში დაბანაკებული გუნდი ჯანაშიას გარდა ალექსანდრე რეხვიაშვილისა და ალექსანდრე იაშვილის შემატებასაც ელის, ოთხ დღეში კი შვეიცარიასთან შეხვედრაა.

## გუნდი ვარსკვლავი!



ქართველ ძიუდოისტთა გუნდმა ევროპულ ოქროს მსოფლიოს ვერცხლიც დააწონა



REUTERS

## რონალდო მადრიდის ნაკრებში!

### რეალმა შეიძლება პელეც იყიდოს

განა მტკიცება უნდა, რომ თანამედროვე ფეხბურთი ბიზნესია? ბიზნესში კი „არა" არასოდეს იქნება ნამდვილი „არა", ეს იქნება დროებითი უარი, სანამ მყიდველი საქონელში სასურველ ფასს არ შემოგთავაზებთ.

განა დიდი ხნის წინ იყო, „ინტერი" რონალდოს, „ლაციო" ნესტას, „რეალი" კი მორიენტესს ხელშეუხებლად რომ აცხადებდნენ და კლიენტებს აფრთხობდნენ, ტრანსფერზე დალაპარაკებაც არ სცადოთო?! მაგრამ ახლანდელ ბიზნესმენთა კატეგორიული უარი ძალიანაც განსხვავდება თავის დროზე ჯორდანო ბრუნოს უარისგან.

ინებეთ: „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის რონალდოს გამო დაღვრილი ცრემლი, ამ ბიჭზე იმხელა ამაგი მაქვს, ვერ შეველევიო, 47 მილიონ ევროდ შეაშრა. „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ კი 35 მილიონად აღმოაჩინა, რომ ნესტა შეუცვლელი არ არის.

რონალდო „რეალში" ზიდან-ფიგუ-რაულის ამქარს შეუერთდა, ნესტა კი „მილანში" რივალდო - შევჩენკოს დაუმეგობრდა.

კაცობრიობა კი წინ მიდის და ამ წინსვლამ და ალალმა ცრემლმა ფერნანდო მორიენტესი „ბარსელონაში" გაყიდვას გადაარჩინა. ფეხბურთელს ანგარიში გაუწიეს. აბა, ძველ რომში გაყიდვის საგანს ვინმე გაუწევდა ანგარიშს?

ხოლო რომი მეორედ დაეცა. ნესტასთან ერთად „ლაციომ" ერნან კრესპოც გაყიდა, „ინტერს" დაუთმო და თავისი ფანობა თანამედროვე ბარბაროსებად აქცია.

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

# პირში გვითხრან!

## ლოკომოტივი ცუდად შეინძრა: შეიძლება დაგორდეს

## შავი ფსონი, შავი კატა, ეჭვის ჭია

...ზოგიერთებს ეჭვი მაშინ გაუჩნდათ, როცა დედაქალაქის რამდენიმე ტოტალიზატორმა „ლოკომოტივ" — „კოპენჰაგენის" მატჩის კოეფიციენტები გამოაქვეყნა. ხუთშაბათს, ნამატჩევს, რკინიგზელთა უსახური თამაშის კვალად მითქმა-მოთქმა გაძლიერდა და დაძაბულობამ კულმინაციას კვირას უწია — რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცმა და „ლოკომოტივის" მეპატრონემ აკაკი ჩხაიძემ თავისი ფეხბურთელები „კოპენჰაგენის" სასარგებლოდ ფსონის ჩასვლასა და თამაშის შეგნებულად დათმობაში საქვეყნოდ დაადანაშაულა.

ბუნებრივია, გუშინ საფეხბურთო საქართველოს რკინიგზელთა „საქმის" გარდა სალაპარაკო სხვა არაფერი ჰქონდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გადაჭრით ვერავინ ვერაფერს ამტკიცებდა და კლუბის თავკაცმაც „ლოკომოტივის" საზიანოდ ფსონის დამდები ფეხბურთელების ვინაობა არ გაამხილა.

გუშინწინ რკინიგზულ გუნდში ცვლილებები მოხდა. თავკაცად ერთ-ერთი მწვრთნელი, ზაურ სვანაძე დაინიშნა, ხოლო უეფას თასზე ხელმოცარული სერგო კოტრიკაძე ამიერიდან მეკარეებს — გიორგი ლომაიას და მანუჩარ ივარდავას გაწვრთნის.

31 აგვისტოს, ოთხი რკინიგზელი ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების საშვეიცარიო დელეგაციას გერმანულ შეკრებაზე გაჰყვა. ნელ-ნელა დანიელებთან განცდილი მარცხით გამოწვეული ვნებათაღელვაც დაუცხრათ კლუბის თავკაცებს და გუშინ ადრე გაკეთებული მწვავე კომენტარებიც შეარბილეს.

***აკაკი ჩხაიძე, „ლოკომოტივის" პრეზიდენტი:***

— საკითხი ისე მწვავედ როდი დგას, როგორც ეს საფეხბურთო საზოგადოებამ აიტაცა.

***ტარიელ ლებანიძე, „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი:***

— ჩვენამდე ეს ამბავი გარკვეულმა პირებმა მოიტანეს, მაგრამ ასე ერთი ხელის მოსმით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. ყველაფერში გარკვევა და საქმის გულდასმით შესწავლა გვმართებს. პირადად მე პრეზიდენტთან არ მისაუბრია, მაგრამ აკაკი ჩხაიძეს უფრო მეტი ინფორმაცია აქვს.

ხალხი კი ლაპარაკობს და ლაპარაკობს, იმასაც მოისმენთ, წლის ბოლოს რკინიგზული გუნდიდან ვეტერანებს დაითხოვენო.

თავად „ლოკომოტივი" თითქოს თავისი ყოველდღიური ყოფით ცხოვრობს. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ გუნდი ორჯერად წვრთნაზე გადაიყვანა. უსიტყვოდ კი ასრულებენ ფეხბურთელები მის მითითებებს, მაგრამ ადრინდელი სიხალისე და სილაღე სადღაც გამქრალა.

რკინიგზელმა ფეხბურთელებმა ჯერ უნდობლად შემოგვხედეს ვაკეში მისულ სარბიელელებს. მერე და მერე კი გახსნეს გული მასპინძლებმა.

„ახლობლები გვირეკავენ, აღარ ვიცით, სად დავიმალოთ, სახლიდან გამოსვლის გვრცხვენია. ვიღაცამ თქვა, აიტაცა მეორემ, მიუტანეს ხელმძღვანელებს, ერთმანეთში აიზილა ჭორები"... — მერე მოდიოდა სართულიანები.

ოდნავ რომ დაწყნარდნენ ფეხბურთელები, კომენტარები ვთხოვეთ. ზოგის სათქმელი მამაპაპურ გინებას ველარ გასცდა, ზოგმა გულში არაფერი დაიტოვა, ზოგმაც მხოლოდ ხელი ჩაიქნია და შინისკენ გასწია.

**ზაზა ჯანაშიას** ნაკოპენჰაგენევს ნაკრების თავკაცმა შეუნთო ცეცხლი, ასეთი ნიჭის პატრონი დროს ტყუილად რად ფლანგავ, თავს რად ილუპავო, გუშინ დილიდან კი ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებთან ერთად გერმანიის საელჩოსთანაა ატუზული. ჯანაშია ნაკრებში იხმეს და ჩივაძეც ოთხშაბათისთვის ელოდება რუიტში...

— მე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. საქმის არსი არ ვიცი, არც დრო მქონდა, რაიმე გამერკვია. ჯანაშიამ თავისი თამაში ითამაშა და სიტყვაც შეასრულა, სხვა არაფერი ვიცი და გამიგია.

***გიორგი ბალაშვილი:***

— რაც ითქვა, არც ერთი სიტყვა საკუთარ თავზე არ მიმიღია. ლაპარაკს და ჭორების გავრცელებას ის უჯობთ, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს.

**დავით ქოჩქეიშვილი** ვარჯიშის ბოლოს გულმა შეაწუხა. მოედნის კიდესთან ძლივს მოვიდა და, სიმონიჩ, მიშველეო — დაიძახა. ანზორ გაბიტაშვილმაც არ დააყოვნა, ფერწასულ ფეხბურთელს საგულე საშუალებები აყლაპა და გასახდელში გაისტუმრა. იქიდან გამოსული ნახევარმცველი შედარებით უკეთ გამოიყურებოდა:

— გუნდის გამყიდველის, დამდების და დამბრალებლისაც... იმის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს, რა სიტყვებით ბოლოვდება მსგავსი გამონათქვამი.

„ლოკომოტივის" კაპიტანი **კახა გოგიჩაიშვილი,** რომელიც ავადმყოფობის შემდეგ უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თანაგუნდელებზე სიტყვაბარაქიანი გამოდგა:

— შარშან მალტურ „ბირკირკარასთან" რომ გამოვეთიშეთ უეფას თასის გათამაშებას, ჭორები მაშინაც დაგვიყარეს, ფეხბურთელებმა ტოტალიზატორში ფული დადეს და შეგნებულად დათმეს თამაშიო. სისულელეა, სხვას ვერაფერს ვუწოდებ ამ მონაჩმახს. სიმართლე რომ ყოფილიყო, დღეს მთელი თბილისი ზღაპრებს კი არ მოჰყვებოდა, კონკრეტული ფაქტებით ილაპარაკებდნენ და კონკრეტულ გვარებს დაასახელებდნენ.

ვერ ითამაშა გუნდმა საკადრისად. ამაში დამნაშავენი გარკვეულწილად ფეხბურთელებიც ვართ, ალბათ, ვერ მოვემზადეთ, როგორც საჭიროა, მაგრამ პასუხისმგებლობის თავისი წილი კლუბის ხელმძღვანელობამაც იკისროს. იციან მათ, საითაც ვუმიზნებ და სიმართლესაც რომ ვამბობ.

რომ გაიძახიან, დეკემბერში ვეტერანები უნდა დავითხოვოთო, იქნებ ვინმემ გაიხსენოს, ვისი წყალობით გახდა „ლოკომოტივი" ორჯერ ვიცე-ჩემპიონი და ამდენჯერვე თასის მფლობელი? კი, ბატონო, „ლოკომოტივზე" ჯვარი არავის დაუწერია, არ ვუნდივართ, მათი საქმეა, სათქმელი პირდაპირ თქვან, ოღონდ ჩირქს ნუ მოგვცხებენ. პატარა დაფასება კლუბისგან ჩვენც გვეკუთვნის...

კაპიტნის სიტყვებს რკინიგზელებმა ბოლოს და ხაზგასმით ეს დაურთეს: ჟურნალისტებთან ლაპარაკს კლუბის უფროსობას ის ურჩობს, ფეხბურთელებს პირში გვითხრან, თუ რამ აეჭვებთ...

ერთი სიტყვით, ჯერი კლუბის ხელმძღვანელობაზეა. ან ასე, ან ისე...

**მამუკა ძგანტალიანი**



„ლოკომოტივს" ეჭვის ჩრდილი წამოეპარა

# ჩუმი კაცი ხმაურის შემდეგ

**ფეხბურთელობისას** ჩუმი, ფუტკარივით მშრომელი იყო. სახელიანს და ტიტულიანს არც მწვრთნელობისას უცვლია ნირი, დაუზარებლად და ერთგულად ეხმარებოდა გუნდის თავკაცებს.

დღეს უკვე მას ეხმარებიან, ზაურ სვანაძეს ორიოდ დღეში რაღა შეცვლიდა, საქმე და პასუხისმგებლობა კი გაუორმაგდა. მას „ლოკომოტივი" ჩააბარეს. ნავარჯიშევს ვილაპარაკეთ, ინტერვიუზე რომ მივადექით და პირობაც ასრულა, თუმცა აქვე დავძენთ, ნამეტნევად მორიდებული რესპონდენტი გამოდგა.

— ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ხელმძღვანელთა ჩანაფიქრისა არაფერი ვიცოდი. დაგვიბარეს, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას ბეჭედი დაჰკრეს და გუნდი ჩამაბარეს.

—**დასამალი აღარაა, სადღეისოდ „ლოკომოტივში" არასახარბიელო ვითარებაა. წაფორხილება წნორის „მილანთან", თითქმის უსიტყვო კაპიტულაცია „კოპენჰაგენთან". ალბათ, სერგო კოტრიკაძეც ამიტომ ჩამოაქვეითეს. თქვენგან რას მოითხოვს კლუბის თავკაცობა?**

— კონკრეტული მიზანი არ დაუსახავთ, თუმცა პირველი ეტაპის შემდეგ საპრიზო ექვსეულში რომ უნდა ვიყოთ, ფაქტია. ხელმძღვანელობის უპირველესი მოთხოვნა გუნდის თავდადებული თამაში და მოედანზე ბოლომდე დახარჯვაა, რასაც, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში დაინახავენ.

— **ცვლილებები თუა მოსალოდნელი?**

— სათამაშო სქემა გარკვეულწილად შეიცვლება. ჩემპიონატში არსებული პაუზით ვისარგებლებთ და ფიზიკურად მოვღონიერდებით. გუნდი „კოპენჰაგენთან" მარცხის შემდეგ ფსიქოლოგიურადაც მომაგრდება. სხვა ძირეული ცვლილებები კი არ იქნება.

— **„ლოკომოტივის" გაწვრთნაში ვინ დაგეხმარებათ?**

— სამწვრთნელო შტაბი არსად წასულა. კოტრიკაძე, ჯიშკარიანი, ჩხაიძე და სვანაძე ისევ ერთი გუნდია. მე მათი მეიმედება.

— **„ლოკომოტივი", „კოპენჰაგენი", ტოტალიზატორი, ფსონები — დღეს თამაშის შეგნებულად დათმობაზე ბევრი ლაპარაკობს. როგორი იქნება თქვენეული კომენტარი?**

— ვერაფერს გეტყვით. კლუბის თავკაცობას ამასთან დაკავშირებით ჩემთან არ უსაუბრია. არც მე ვარ გარკვეული დეტალებში. ასე რომ, ბოდიში, კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— **„ლოკომოტივის" მესაჭეობა რა ვადით „მოგისაჯეს"?**

— ოფიციალური ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა და არც დრო დაუთქვამს ვინმეს. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება...

**მამუკა ძგანტალიანი**

*მონაკოში ჩატარებულმა უეფას თასის წილისყრამ თბილისის „დინამოს" მეტოქედ ჩეხური „ლიბერეცი" არგუნა. ამ ბოლო ხანს ეს უკვე მეორე ქართულ-ჩეხური დუელია: ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პრაღის „სპარტამ" ქუთაისის „ტორპედოს" დასაყრდენი ფარხმალი.*

*„სპარტაზე" ნაკლები ხვითო არც „ლიბერეცია". წინა სეზონში ჩეხეთის ჩემპიონობა პრაღელებს სწორედ ამ გუნდმა აართვა. „ლიბერეცის" ძალა ახლახან, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეც კარგად გამოჩნდა — ტიტულოვან იტალიურ „მილანს" ჩეხური კლუბი კინაღამ ყელში გაეჩხირა*

# ლიბერეცმა შუშაკს გერმანია აფიქრებინა



ივო შუშაკი

**და მაინც,** „დინამო" — „ლიბერეცის" შეღეგზე წინასწარ გადაჭრით ლაპარაკი კარგ ტონად ვერ ჩაითვლება (სხვა თუ არაფერი, ბურთი ხომ მრგვალია), თუმცა ჩვენი მხრივ, კარგი იქნება, თუ ევროთასებს ეულად შერჩენილი ქართული კლუბი მცირე იმედს ხეირიანი თამაშით შეამაგრებს.

„დინამოს" ხორვატი თავკაცი ივო შუშაკიც რეალური კაცია და მეტოქესაც სალი თვალით აფასებს:

— „ლიბერეცი" ძალიან სერიოზული მეტოქეა. ამ ეტაპზე სწორედ ასეთ მოწინააღმდეგეს ველოდი. ყურების ჩამოყრა დამღუპველი იქნება. თამაში ყველასთან შეიძლება. კარგად უნდა დავაკვირდეთ, მეტოქის სუსტი და ძლიერი წერტილები მოვძებნოთ და შესაბამისი ტაქტიკაც შევარჩიოთ — ასეთი იყო ივო შუშაკის აზრი ჩეხებზე წილისყრის შემდეგ.

გუშინ დილით კი ხორვატი ჩეხეთში გაფრინდა. შუშაკი გუშინვე ჩეხეთის ჩემპიონატის მატჩს „ლიბერეც" — „ტეპლიცეს" დაესწრო და მეტოქეც დაზვერა.

ლიბერეცში ჩასულ ივო შუშაკს აეროპორტში კლუბის წარმომადგენლები დახვდნენ, საღამოს კი სტადიონზე წაიყვანეს.

— სტადიონზე ჩინებული საფეხბურთო ატმოსფერო იყო. თამაშს 8 000 მაყურებელი დაესწრო, რომლებიც მხურვალედ ქომაგობდნენ საყვარელ გუნდს. მინდვრის საფარიც იდეალურია, ერთი სიტყვით, ლიბერეცი ფეხბურთით ცხოვრობს — ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ივო შუშაკს.

მატჩი მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. თავიდან „ტეპლიცე" დაწინაურდა, თუმც „ლიბერეცმა" ძალა მოიკრიბა და მეტოქე ბეჭებზე გააკრა. შუშაკიც ერთობ დადებითად აფასებს თბილისის „დინამოს" მომავალ მეტოქეს:

— კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „ლიბერეცი" ძალიან სერიოზული გუნდია. აგრესიული, გამართული და ფიზიკურად კარგად მომზადებული. განსაკუთრებით ის მინიშნა, რომ „ლიბერეცისთვის" სულერთია, იგებს თუ აგებს. გუნდი მთელ 90 წუთს ერთნაირ ტემპში ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეხები საკმაოდ კარგად თამაშობენ თავით. ამ შეხვედრაშიც ორივე გოლი თავურით გაიტანეს. ერთი სიტყვით, „ლიბერეცი" დონით გერმანულ კლუბებს უახლოვდება. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს იოლად დავნებდებით. უიმედოდ ნაღდად არ ვარ. მთავარია, სწორი ტაქტიკა შევარჩიოთ. გპირდებით, დუელს თამაშამდე არ წავაგებთ. ეს გამორიცხულია. „დინამოს" ნებისმიერ გუნდთან შეუძლია თამაში. იმედი მაქვს, ბიჭები მეტოქეს არ შეეპუებიან — განაცხადა ივო შუშაკმა.

თავდაპირველი გეგმით ჩეხეთში გივი ნოდია უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მას ვიზა უგვიანდებოდა. ჰოდა, ივო შუშაკმა გადაწყვიტა, თავად ენახა „ლიბერეცის" თამაში. გივი ნოდია კი ლიბერეცში 15 სექტემბერს გაფრინდება, ჩემპიონატის მომდევნო ტურის მატჩს დაესწრება და თბილისის „დინამოსაც" იქვე დახვდება. შუშაკი კი თბილისში პარასკევს დაბრუნდება და ფეხბურთელებიც მისი ხელმძღვანელობით გააგრძელებენ მომავალი მატჩებისთვის მზადებას.

**კახა ზალაშვილიძე**

**ძვირფასო ბატონო ყორდანია**

მივიღეთ თქვენს მიერ 24 აგვისტოს გამოგზავნილი ფაქსი, სადაც წერთ, რომ სფფ-ს ყრილობამ ხელახლა აგირჩიათ პრეზიდენტად.

უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონისა და აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გულწრფელად გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას და გისურვებთ წარმატებებს.

გვწამს, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

**თქვენი ბერჰარდ აიგნერი**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

დღეს, 13 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამო" გამართავს პრესკონფერენციას.

**ინგლისი**

პრემიერლიგა
IV ტური
ლივერპული 2:2 ნიუკასლი

**პორტუგალია**

I ლიგა. II ტური
ბოავიშტა 0:1 პორტუ

**ესპანეთი**

პრიმერადივიზიონი
I ტური
რეალი 2:0 ესპანიოლი

**ფინეთი**

XXII ტური
ჰიკ 2:0 ვაასა

**შვედეთი**

XVIII ტური
კალმარი 0:3 მალმიო
იორგრიტე 0:1 ჰალმსტადი
ნორჩიოპინგი 1:1 გიოტებორგი
ჰამარბი 0:2 აიკ

**ნორვეგია**

XXI ტური
ვოლერენგა 1:1 ლილესტრიომი

**კალათბურთი**

მსოფლიოს ჩემპიონატი
E ჯგუფი
ესპანეთი 87:64 თურქეთი
ბრაზილია 85:80 ანგოლა
ძირითადი დრო 74:74

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

# აი, დარდი იაკობ კუნისთვის: არ იქნება ნკუფო, იქნება ტურე



ლეონარდ ტურე

## შვეიცარია

**2004 წლის** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში საქართველოს მასპინძელმა შვეიცარიამ საამმატჩო მზადება დაიწყო თუ არა, იაკობ კუნის გუნდში ერთი ცვლილებაც მოხდა: თავდამსხმელმა ბლეიზი ნკუფომ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ნაკრებზე: ნკუფო ავსტრიასთან ბოლო ამხანაგურ მატჩში, შვეიცარიელებმა ბაზელში 3:2 რომ მოიგეს, მთავარმა მწვრთნელმა ძირითადში არ ათამაშა. ფეხბურთელი ამ ამბავმა განარისხა და მატჩის შემდეგ ნაკრებიდან წასვლითაც დაიმუქრა. იაკობ კუნმა ეს მუქარა ცხელ გულზე ნათქვამად ჩათვალა და ნკუფოს საქართველოსთან სათამაშოდ კვლავ უხმო, თუმც ფეხბურთელმა მწვრთნელს უარი შეუთვალა.

იაკობ კუნსაც ბევრი არ უფიქრია და ბლეიზი ნკუფოს შემცვლელი უმალ მოუძებნა. „სერვეტის" 24 წლის ფორვარდი ლეონარდ ტურე უკვე ქართველებთან სათამაშოდ ემზადება. ტურეს ეროვნულ გუნდში ერთ წელზე მეტია, არ უთამაშია. მან შარშან აგვისტოში მძიმე ტრავმა მიიღო და ამ იძულებითი პაუზის შემდეგ ნაკრების მაისურას პირველად მოირგებს.

ლეონარდ ტურეს ტრავმის გამო შვეიცარიის ჩემპიონატის სტარტიც გაუცდა, თუმც იაკობ კუნი მას მაინც ენდო.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# რა თქმა უნდა: ძოძუაშვილმა თოდუა ურალანშიც წაიყვანა

## დახატავს ხატულა ტორპედოს?



სევასტი თოდუა

ბადრი კოთილაძის ფოტო

**მე-5 ტურის** შემდეგ ჩვენს უმაღლეს ლიგაში ათდღიანი „ფანჯარაა". ჰოდა, ზოგიერთმა გუნდმა თავს მცირედი დასვენების უფლება მისცა. მაგალითად, ქვეყნის ჩემპიონი „ტორპედო" ვარჯიშს ხვალიდან განაახლებს, ეგ არის, სამკაცნაკლული შეუდგება წვრთნას.

მალხაზ ასათიანის და რომან ახალკაცის ამბავი მოგეხსენებათ. ისინი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი და შვეიცარიასთან ევროშესარჩევის შემდეგ დაუბრუნდებიან „ტორპედოს", აი, სევასტი თოდუას საქმე კი სხვაგვარადაა. დღესდღეობით ტორპედოელი მცველი რუსეთის პრემიერლიგელ „ურალანში" იმყოფება ელისტელთა მთავარი მწვრთნელად ახლახან დანიშნული რევაზ ძოძუაშვილის მიწვევით და, ადვილი შესაძლებელია, ახლო მომავალში „ტორპედოსკენ" აღარც გაიხედოს.

თოდუას „ურალანში" გადაბარგების ამბავი გუშინ „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთმა თანაშემწემ სოსო ფრუიძემ დაგვიდასტურა:

— ძოძუაშვილმა მართლაც იხმო თოდუა თავისთან. სევასტი ახლა ელისტაშია, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიცაა მისი სამთვიანი იჯარით განათხოვრება. საბოლოო ტრანსფერის შესახებ კი კლუბები მოგვიანებით დაილაპარაკებენ.

**— საინტერესოა, ძოძუაშვილი სხვა ტორპედოელებითაც ხომ არ არის დაინტერესებული?**

— ჯერჯერობით არა.

**— გავიგეთ, „ტორპედოში" შოთა ჩომახიძე ვარჯიშობს.**

— ჩომახიძე უკრაინული „ტავრიადან" ჩამოვიდა, მაგრამ ჯერაც ამ კლუბის საკუთრებაა. სიმფეროპოლელები თანახმანი არიან სხვა გუნდში მისი ერთი წლით უსასყიდლოდ განათხოვრებაზე. შოთამ ორჯერ ივარჯიშა „ტორპედოსთან" ერთად.

**— და რა აზრისაა ალექსანდრ შტელინი, აპირებს ჩომახიძის დატოვებას?**

— ფეხბურთელი პასუხს უახლოეს დღეებში მიიღებს.

მკითხველს შევახსენებთ: ფეხბურთში „ხატულად" ცნობილი შოთა ჩომახიძე 24 წლისაა, საფეხბურთო კარიერა „სამტრედიაში" დაიწყო. ნიჭიერი ნახევარმცველი ერთხანს თსუ-ში, „დინამოში" და „ლოკომოტივში" ირჯებოდა, მერე უკრაინას მიაშურა და ჯერ ტერნოპოლის „ნივაში", ბოლოს კი სიმფეროპოლის „ტავრიაში" თამაშობდა. ჩომახიძეს ქვეყნის ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებშიც უთამაშია.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# ჩელებაძე ვიტ ჯორჯიას გენერალურ მენეჯერობაზე მოელაპარაკა



ბადრი კოთილაძის ფოტო

რევაზ ჩელებაძე

**რევაზ ჩელებაძესა** და თბილისის „ვიტ ჯორჯიას" შორის მოლაპარაკება დასრულდა იმით, რომ ამიერიდან ჩელებაძე ვეტერინართა გენერალური მენეჯერი იქნება. კლუბსა და მას შორის კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და წარსულში თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელთა ტრანსფერებზე იმუშავებს.

ჩელებაძის ბოლო წარმატებული საქმე ბათუმელი შალვა აფხაზავას კიევის „არსენალში" გადაყვანაა.

აქამდე „ვიტ ჯორჯიას" ოფიციალური გენერალური მენეჯერი არ ჰყოლია. კლუბი ფეხბურთელთა ტრანსფერების გაჩარხვას მთავარ მწვრთნელ ჯანი კარნევალისა და ასევე იტალიელის, ენცო გამბაროს დახმარებით ცდილობდა. სწორედ მათი ხელშეწყობით მოხვდნენ ლევან მელქაძე და დავით დილმელაშვილი წინა სეზონში სერია B-ს „სიენაში".

რევაზ ჩელებაძეს უკვე დაუდგამს თვალი რამდენიმე ფეხბურთელისთვის და საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ შესაძლოა, ტრანსფერებიც გაახერხოს. რევაზ ჩელებაძე ძირითადად უკრაინა-რუსეთის საფეხბურთო ბაზრებზე იმუშავებს.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# ზონას ჩვენ მივხედავთ!

## სფფ-მ თფფ თამაშგარეთ დატოვა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ რეგიონული ლიგის სატურნირო ფორმატი შეცვალა: წლეულს რეგიონული ლიგა სამ ზონად ჩატარდება — დასავლეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი.

დასავლეთ და ცენტრალურ ზონებს თავად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტი ჩაატარებს, აღმოსავლეთისას კი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია უხელმძღვანელებს. წინა ჩემპიონატის ორგანიზატორები, იმერეთისა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციები „თამაშგარეთ" აღმოჩნდნენ.

— რეგიონულ ფედერაციებს ადრინდელზე მეტ ყურადღებას მივაქცევთ. ფედერაციის ახალი ოთხწლიანი პროგრამით მათ დახმარებებიც გაუორმაგდებათ. რეგიონულ ლიგას კი ჩვენ და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ჩავატარებთ. ვფიქრობ, ეს გარდამავალი ეტაპი იქნება. მომავალში დაგეგმილი გვაქვს, ყველა რეგიონულმა ფედერაციამ შესაბამისი რეგიონული ჩემპიონატი ჩაატაროს — გვითხრა სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

საქართველოს 14 ჩემპიონატი

პირველი ლიგა

# კალენდარი

## პირველი წრე

### პირველი ტური

*4 სექტემბერი, ოთხშაბათი*

ლოკო — გურია
თსუ — ლაზიკა
ჭაბუკთა ნაკრები — ალაზანი
ცხინვალი — ქობულეთი
სამტრედია — მერცხალი
სამგურალი — დინამო 2
ივერია — მცხეთა
ხობი — ლოკომოტივი 2

### მეორე ტური

*9 სექტემბერი, ორშაბათი*

მცხეთა — ხობი
მერცხალი — სამგურალი
ქობულეთი — სამტრედია
ალაზანი — ცხინვალი
ლაზიკა — ჭაბუკთანაკრები
ლოკო — თსუ

*10 სექტემბერი, სამშაბათი*

გურია — ლოკომოტივი 2
დინამო 2 — ივერია

### მესამე ტური

*16 სექტემბერი, ორშაბათი*

თსუ — გურია
ჭაბუკთა ნაკრები — ლოკო
ცხინვალი — ლაზიკა
სამტრედია — ალაზანი
სამგურალი — ქობულეთი
ივერია — მერცხალი
ხობი — დინამო 2
ლოკომოტივი 2 — მცხეთა

### მეოთხე ტური

*24 სექტემბერი, სამშაბათი*

გურია — მცხეთა
დინამო 2 — ლოკომოტივი 2
მერცხალი — ხობი
ქობულეთი — ივერია
ალაზანი — სამგურალი
ლაზიკა — სამტრედია
ლოკო — ცხინვალი
თსუ — ჭაბუკთანაკრები

### მეხუთე ტური

*30 სექტემბერი, ორშაბათი*

ჭაბუკთა ნაკრები — გურია
ცხინვალი — თსუ
სამტრედია — ლოკო
სამგურალი — ლაზიკა
ივერია — ალაზანი
ხობი — ქობულეთი
ლოკომოტივი 2 — მერცხალი
მცხეთა — დინამო 2

### მეექვსე ტური

*6 ოქტომბერი, კვირა*

მერცხალი — მცხეთა
ლაზიკა — ივერია
თსუ — სამტრედია
ჭაბუკთა ნაკრები — ცხინვალი

*7 ოქტომბერი, ორშაბათი*

გურია — დინამო 2
ქობულეთი — ლოკომოტივი 2
ალაზანი — მერანი
ლოკო — სამგურალი

### მეშვიდე ტური

*13 ოქტომბერი, კვირა*

ცხინვალი — გურია
სამტრედია — ჭაბუკთანაკრები
სამგურალი — თსუ
ივერია — ლოკო
ხობი — ლაზიკა
ლოკომოტივი 2 — ალაზანი
დინამო 2 — მერცხალი

*14 ოქტომბერი, ორშაბათი*

მცხეთა — ქობულეთი

### მერვე ტური

*18 ოქტომბერი, პარასკევი*

გურია — მერცხალი
ქობულეთი — დინამო 2
ალაზანი — მცხეთა
ლაზიკა — ლოკომოტივი 2
ლოკო — ხობი
თსუ — ივერია
ჭაბუკთა ნაკრები — სამგურალი
ცხინვალი — სამტრედია

### მეცხრე ტური

*28 ოქტომბერი, ორშაბათი*

სამტრედია — გურია
სამგურალი — ცხინვალი
ივერია — ჭაბუკთანაკრები
ხობი — თსუ
მცხეთა — ლაზიკა

*29 ოქტომბერი, სამშაბათი*

ლოკომოტივი 2 — ლოკო
დინამო 2 — ალაზანი
მერცხალი — ქობულეთი

### მეათე ტური

*2 ნოემბერი, შაბათი*

გურია — ქობულეთი
ალაზანი — მერცხალი
ლაზიკა — დინამო 2
ჭაბუკთა ნაკრები — ხობი
ცხინვალი — ივერია
სამტრედია — სამგურალი

*3 ნოემბერი, კვირა*

ლოკო — მცხეთა
თსუ — ლოკომოტივი 2

### მეთერთმეტე ტური

*7 ნოემბერი, ხუთშაბათი*

სამგურალი — გურია
ივერია — სამტრედია
ხობი — ცხინვალი
ლოკომოტივი 2 — ჭაბუკთანაკრები
მცხეთა — თსუ
დინამო 2 — ლოკო
მერცხალი — ლაზიკა
ქობულეთი — ალაზანი

### მეთორმეტე ტური

*13 ნოემბერი, ოთხშაბათი*

გურია — ალაზანი
ლაზიკა — ქობულეთი
ლოკო — მერცხალი
თსუ — დინამო 2
ჭაბუკთა ნაკრები — მცხეთა
ცხინვალი — ლოკომოტივი 2
სამტრედია — ხობი
სამგურალი — ივერია

### მეცამეტე ტური

*17 ნოემბერი, კვირა*

ივერია — გურია
ხობი — სამგურალი
ლოკომოტივი 2 — სამტრედია
მცხეთა — ცხინვალი
მერცხალი — თსუ
ქობულეთი — ლოკო
ალაზანი — ლაზიკა

*18 ნოემბერი, ორშაბათი*

დინამო 2 — ჭაბუკთანაკრები

### მეთოთხმეტე ტური

*24 ნოემბერი, კვირა*

გურია — ლაზიკა
ლოკო — ალაზანი
თსუ — ქობულეთი
ჭაბუკთა ნაკრები — მერცხალი
ცხინვალი — დინამო 2
სამტრედია — მცხეთა
სამგურალი — ლოკომოტივი 2
ივერია — ხობი

### მეთხუთმეტე ტური

*28 ნოემბერი, ხუთშაბათი*

ხობი — გურია
ლოკომოტივი 2 — ივერია
მცხეთა — სამგურალი
დინამო 2 — სამტრედია
მერცხალი — ცხინვალი
ქობულეთი — ჭაბუკთანაკრები
ალაზანი — თსუ
ლაზიკა — ლოკო

თსუ და მცხეთა თამაშობენ მცხეთის „არმაზზე",
ლოკო და ლოკომოტივი 2 – „ლოკომოტივის"
სათადარიგო მოედანზე,
ჭაბუკთა ნაკრები – ასკ-ს სტადიონზე.

**სათასო მატჩები გაზაფხულზე, ჩემპიონატის განახლებისთანავე ჩატარდება**

# წისქვილმა კინი წითლად დაფქვა



REUTERS

სანდერლენდი — მანჩესტერი. თომას სორენსენმა სტუმართა დიდმეგოლე რუუდ ვან ნისტელროისთან თავი არ შეირცხვინა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IV ტური

**ბოლტონი 1:0 ასტონ ვილა**

1:0 რიკეტსი (56პ)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი (რ. გარდნერი 32), ჯოკანოვიჩი, ვარჰურსტი (ბერნსაი 39), ფრანდსენი, ნოლანი, რიკეტსი, პედერსენი
მწვრთნელი: სემ ალარდისი
ასტონ ვილა: ენკელმანი, მ. დილანი, მელბერგი, სტონტონი, ა. რაიტი (ჯ. სამუელი 64), ამბელი, ჰენდრი, კინსელა, ბერი, ვასელი (დე ლა კრუზი 46), კრუში (ოლბოკი 64)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: პედერსენი, რიკეტსი, ენკელმანი, ამბელი, ჰენდრი
მსაჯი: დანი
22 500 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 არსენალი**

1:0 ძოლა (34), 1:1 ტურე (60)
ჩელსი: კუდიჩინი, ფერერი, დესაი, გალასი, ლე სო (მელხიოტი 65), გრონკიერი, ლამპარდი, დე ლუკასი, ზენდენი (სტანიჩი 71), გუდიონსენი, ძოლა (ჰასელბაინკი 68)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
არსენალი: სიმენი, ლორენი, კოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ეჟუ (ტურე 31), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პარლური, ვილტორდი (ალიადიერი 90), კანუ (სიგანი 83)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ლამპარდი, ლე სო, ვიეირა, დე ლუკასი, ვილტორდი, ვიეირა, გრონკიერი, მელხიოტი
გაძევება: ვიეირა (50)
მსაჯი: დურკინი
40 037 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:1 ლიდსი**

1:0 დევლინი (32), 1:1 ბოიერი (50), 2:1 ჯონსონი (58)
ბირმინგემი: ვესენი, კენა, პარსი, კანინგემი, გრეინჯერი, დევლინი (ბ. ჰიუზი 85), სევიჯი, ა. სისე, დ. ჯონსონი, მორისონი (ჰორსფილდი 75), ჯონი (ლაზარიდისი 90)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, უდეგეიტი, მატეო, ჰარტე, ბოიერი, ბაკე (დაკური 60), კიუელი, ბარმბი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
გაფრთხილება: დევლინი, ჯონსონი, გრეინჯერი, ვიდუკა, ბაკე, ბოიერი
მსაჯი: დარკინი
27 164 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 3:1 ევერტონი**

1:0, 2:0 ანელკა (14, 16), 2:1 ანსუორთი (29პ), 3:1 ანელკა (85)
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ჯიხაი, ჰოუი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ბენარბია (გოტერი 86), ფოუ, ბერკოვიჩი (ჰორლოკი 66), ნ. ჯენსენი, ანელკა, ჰაკერბი (ტიატო 79)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ევერტონი: სიმონსენი, ჰიბერტი, ვეირი, სტაბსი, ნისმიტი, ალექსანდერსონი (რუნი 64), გრავესენი, ტიე (ლინდეროთი 26), ანსუორთი (როდრიგო 64), კ. კემპბელი, რადზინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ბენარბია
გაძევება: რაიტ-ფილიპსი (28)
მსაჯი: ნაითი
34 835 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:0 ბლეკბერნი**

1:0 ჯობი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, საუთგეიტი, ემეროგუ, სტოკდეილი, მარინელი (კუპერი 46), ჯერემი, ბოატენგი, გრინინგი, ბოკშიჩი, მაკარონე (ჯობი 80)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნ. იოჰანსონი, მ. ტეილორი, შორტი, ნეილი, დ. დაფი, ფლიტკროფტი, ტომსონი (თუგაი 82), დ. დანი, ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ბოატენგი, ჯერემი, სტოკდეილი, იოჰანსონი, ტომსონი, თუგაი
მსაჯი: პოლსი
28 270 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 მანჩესტერ იუნ.**

0:1 გიგზი (7), 1:1 ფლო (70)
სანდერლენდი: სორენსენი, ს. რაიტი, ბები, ბიორკლუნდი, გრეი, ბაბერი (ტორნვილი 88), მაკატირი, კ. რეინა, ბატლერი, ფლო (ნ. ქუინი 79), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
მანჩესტერ იუნ.: კეროლი, გ. ნევილი (ფორლანი 90), ბლანი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი (ოშეი 26), ბექჰემი, ვერონი, როი კინი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიარი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მაკატირი, ნევილი, ბექჰემი
გაძევება: კინი (90)
მსაჯი: რენი
47 586 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 საუთჰემპტონი**

1:0 ფერდინანდი (10), 1:1 ტარიკო (30ს.კ.), 2:1 შერინგემი (90პ)
ტოტენჰემი: კელერი, ტარიკო (ბუნჯევჩევიჩი 72), რიჩარდსი, დოჰერტი, ტიჭრი, ს. დევისი, რედნაპი, ეთერინგტონი (ბლონდელი 80), ქეთერინგტონი, შერინგემი, ლ. ფერდინანდი (ივერსენი 65)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, ტელფერი, მაიკლ სვენსონი, პ. უილიამსი, ბრიჯი, ა. სვენსონი, მარსდენი, დელაპი, ფერნანდესი, ბიტი, ორმეროდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: რედნაპი, რიჩარდსი, ფერდინანდი, მარსდენი
გაძევება: მ. სვენსონი (90)
მსაჯი: დანი
35 573 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ფულემი**

1:0 მური (48)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, ჯილქრისტი, უოლვორკი, ბალისი, კლემენტი, ჯ. ჯონსონი, გრინი, ლ. მარშალი (კუმასი 52), რობერტსი (ჯ. ჩემბერსი 88), მაქ ჰიუზი (ა. ტეილორი 77)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი (მალბრანკი 59), გოემა, ინამოტო (ნაითი 60), ბოა მორტე, ლეგვინსკი, შ. დევისი, სავა (საჰა 60), მარლე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ჰიუზი, მური, უოლვორკი, ჯონსონი, ბოა მორტე, დევისი, ფინანი
მსაჯი: სტაილზი
25 461 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:2 ჩარლტონი**

0:1 იენსენი (4), 0:2 ფორტიუნი (44)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შემელი, რეპკა, უინტერბერნი (კამარა 76), დეილი, კარიკი, ჯ. სისე (ლომასი 62), სინკლერი, ჯ. კოული, დეფო, კანო
მწვრთნელი: გლენ როედერი
ჩარლტონი: დ. კაილი, კიშიშევი, კ. პაუელი, რუფუსი, იუელი, კ. იენსენი, ჯ. რობინსონი (ჯ. იოჰანსონი 87), მათიას სვენსონი (ბარტლეტი 79), იანგი, ბარტ-უილიამსი, ფორტიუნი
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
გაფრთხილება: კარიკი, კოული, რეპკა, რუფუსი
მსაჯი: უინტერი
32 424 მაყურებელი

**ლივერპული — ნიუკასლი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**ამ ტურში** ოთხი წითელი ბარათი აფრიალდა და ეს ამბავი უხმაუროდ არ ჩაივლის: ამ ბოლო დროს ფეხბურთელები დაეჩვივნენ წითელი ბარათების მოსახსნელად საპროტესტო წერილების წერას და გვარიანი წარმატებაც. მაგალითად, ბირმინგემელ ალიუ სისეს ასოციაციამ წითელი ბარათი გაუუქმა.

პროტესტის შეტანას აპირებს „არსენალიც". „ჩელსისთან" გასვლითი მატჩის 50-ე წუთზე პატრიკ ვიეირამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო მსაჯ ენდი დურსოსგან და მოედანი დატოვა. ვიეირამ ეიდურ გუდიონსენს ჩაარტყა. მის ექვსწლიან ინგლისურ კარიერაში ეს მერვე გაძევება იყო.

„ჩვენ თითქმის არაფრისთვის გაგვიგდეს ლიდერი, თან მაშინ როცა ვაგებდით, მაგრამ გუნდმა მაინც ივარგა" — თქვა არსენ ვენგერმა, რომელსაც „სტემფორდ ბრიჯზე" არ ჰყავდა ტიერი ანრი და დენის ბერხკამპი.

„ჩელსი" პირველ ტაიმშივე იგებდა: დევიდ სიმენმა ჯანფრანკო ძოლას არცთუ საგოლედ მოზომილი საჯარიმო გაუშვა. ბედმა მაინც არ დატოვა მეთოფენი, რომელთაც შარშანდელი დეკემბრის შემდეგ არ წაუგიათ: სილვენ ვილტორდის თავური კარლო კუდიჩინის ხელიდან პირდაპირ თავზე დაასკუპდა კარის წინ მდგომ კოლო ტურეს და „არსენალმაც" პრემიერლიგაში ოცდამეერთე წაუგებელი გასვლითი მატჩი შემატა პირად რეკორდს.

ერთი ამბავი იყო სანდერლენდშიც, სადაც შეხვედრის ბოლო წუთზე მსაჯმა იურაი რენიემ როი კინი გააძევა — ირლანდიელის მანჩესტერულ კარიერაში მეათედ. ალისფერთა კაპიტნის თავს ამ ბოლო დროს წისქვილის ქვა ტრიალებს, ეს ბარათი კი მან სანდერლენდელთა მთავარ კაცთან, თანამემამულე ჯეისონ მაკატირთან ძიძგილაობისთვის მიიღო. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ძიძგილაობდნენ და არც მაკატირი აკლებდა ხელს, მაგრამ მისტერ რენიე გაშველებით იფარგლებოდა.

„თუ ხელის წაცაცუნებისთვის კაცის გაგდება შეიძლება, მაშინ უნდა გაეგდო — აღშფოთდა სერ ალექს ფერგიუსონი — ფეხბურთში დავბერდი და ასეთი წითელი ბარათი არ მინახავს. როი კი შეიძლება, მართლაც საოპერაციო გაგვიხდეს და ორი თვით გამოგვაკლდეს." თუმცა, კვირას ფერგიუსონმა აზრი შეიცვალა და თქვა, კინი გასაძევებელი იყოო.

შედეგი კი ამ შეხვედრაშიც 1:1 იყო. რაიან გიგზის ადრიანი გოლის გაქვითვას მასპინძლებმა საათზე მეტი მოანდომეს და პრემიერლიგაში დაბრუნებულმა ტორე ანდრე ფლომ ეს დაბრუნება კარში ნაღდ სანდერლენდურად შეტანილი ბურთით აღნიშნა.

კიდევ ერთი გაძევებული „მანჩესტერ სიტის" შონ რაიტ-ფილიპსი გამოდგა: ოდინდელი დიდი მეგოლის იან რაიტის ვაჟმა საჯარიმოში წააქცია ევერტონელი ფეხბურთელი და ამის გამო პენალტიც დაინიშნა, მაგრამ მსაჯ ბარი ნაითს ნამეტანი მოუვიდა: შონი გასაძევებელი არ იყო.

პენალტი 29-ე წუთზე დაინიშნა: იქამდე „სიტი" 2:0-ს იგებდა ნიკოლა ანელკას დუბლით და ამ გაძევებამ თამაშის ხასიათი შეცვალა. „ევერტონმა" სხვაობა რომ შეამცირა, მთელი შეძლებით შეუტია, მაგრამ კარისკენ მიმავალი ყველა გზა პიტერ შმაიხელს გადაეკეტა. თამაშის მიწურულს კი ანელკამ მესამე გაიტანა და ბოს კევინ კიგანს ათქმევინა: „ჩვენ დიდი ფეხბურთელი გვყავს. ის რაც მან ამ საღამოს გააკეთა, სანიმუშოა."

კიდევ ერთი გაძევებული ფეხბურთელი საუთჰემპტონელი მიხაელ სვენსონი გამოდგა, რომელმაც „ტოტენჰემთან" მატჩის ბოლო წუთზე ხელით ითამაშა თავის საჯარიმოში და ამას მოდევნებული პენალტი ტედი შერინგემმა გოლად გარდასახა. „ტოტენჰემმა" 2:1 მოიგო.

„ლიდსის" თავკაცი ტერი ვენებლზი კვლავ იორკშირისკენ ეწევა თავის ძველ ფავორიტს, ტოტენჰემელ დარენ ანდერტონს, „ლიდსმა" [illegible] და ორი მოგებით [illegible] ჩემპიონატი ამ უქმეებზე ზედიზედ მეორედ წაგებით განაგრძო.

ლიდსელთა წამქცეველმა „ბირმინგემმა" პირველად გაიმარჯვა ამ სეზონში, ისევე როგორც „ვესტ ბრომვიჩმა", ისევე როგორც „ბოლტონმა" და ისევე როგორც „მიდლსბრომ", რომელმაც არცთუ სახუმარო თამაშში ჟოზეფ დეზირე ჟობის გოლით სძლია „ბლექბერნს".

მეორე გასვლითი მატჩი მოიგო „ჩარლტონმა", რომელიც კვლავაც ელის საშინაო გამარჯვებას, „ვესტ ჰემი" კი რჩება ერთადერთ გუნდად, რომელმაც ეგრეც ვერ გაიმარჯვა. ამიტომ, „ვესტ ჰემი" ბოლოა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტოტენჰემი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 2 არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 5 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 3 ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 ლიდსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 5 ჩელსი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 1 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 6 ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 |
| 7 სიტი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 8 მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 9 მიდლსბრო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 10 ბლექბერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 11 სანდერლენდი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 0 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 12 ევერტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 13 ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 14 ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 15 ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 1:3 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 17 ბოლტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | -5 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 19 საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 20 ვესტ ჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | -6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

**V ტური**

10-11 სექტემბერი
მიდლსბრო — სანდერლენდი
არსენალი — მანჩესტერ სიტი
ფულემი — ტოტენჰემი
ლივერპული — ბირმინგემი
მანჩესტერი — ბოლტონი
საუთჰემპტონი — ევერტონი
ვესტ ჰემი — ვესტ ბრომვიჩი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილტორდი (არსენალი) | 4 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 3 |

## პირველი დივიზიონი

### VI ტური

**დერბი ქაუნთი 2:0 სტოუკი**

1:0, 2:0 კრისტი (82, 84)
დერბი ქაუნთი: პური, ბარტონი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, ჯექსონი, ბოლდერი, ლი, მორისი (ძინძლაძე 59), ბოერტიენი, შტრუპარი, კრისტი (ევატი 90)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
21 723 მაყურებელი

**ბრედფორდი 4:2 როტერჰემი**

1:0 უორდი (24), 2:0 ალენბი (47), 3:0 პროქტორი (56), 3:1 ბარკერი (71), 3:2 რობინსი (82), 4:2 უორდი (85)

**ბერნლი 0:0 კრისტალ პალასი**

**ლესტერი 2:0 ჯილინგემი**

1:0 ლუისი (11), 2:0 დიკოვი (42)

**მილუოლი 2:0 გრიმსბი**

1:0, 2:0 კლარიჯი (7, 60)

**ნორვიჩი 4:0 უოტფორდი**

1:0 მაკვეიგი (29), 2:0 რობერტსი (54), 3:0 მალრინი (67), 4:0 ნილსენი (88)

**პორტსმუთი 4:2 ბრაიტონი**

1:0 ტეილორი (3), 1:1 კალიპი (9), 1:2 ბრუკერი (19), 2:2 მერსონი (26პ), 3:2 ტოდოროვი (45), 4:2 ქროუ (62)

**უოლსოლი 0:2 რედინგი**

0:1, 0:2 ჰიუზი (79, 90)

**უიმბლდონი 3:2 ვულვერჰემპტონი**

1:0 შიპერლი (4), 1:1 ინგიმარსონი (16), 2:1 გრეი (54), 2:2 სტარიჯი (70), 3:2 შიპერლი (77)

**კოვენტრი 0:1 ნოტინგემი**

0:1 შიპკა (16)

**შეფილდ უინსდეი 2:0 შეფილდ იუნ.**

1:0 ოუენი (73), 2:0 კუკი (82)

**პრესტონი 0:0 იფსვიჩი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:5 | 16 |
| ნორვიჩი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:2 | 14 |
| ლესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:7 | 13 |
| ვულვზი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:7 | 11 |
| როტერჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| ნოტინგემი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ჯილინგემი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:4 | 10 |
| ქოვენთრი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| ბრედფორდი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| დერბი ქაუნთი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| რედინგი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| იფსვიჩი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:4 | 8 |
| შეფილდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| პრესტონი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:8 | 7 |
| უიმბლდონი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| უოლსოლი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| უოტფორდი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:13 | 7 |
| კრისტალ პალასი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| სტოუკი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| უენსდი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| მილუოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:11 | 5 |
| ბრაიტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| გრიმსბი | 6 | 0 | 2 | 4 | 1:9 | 2 |
| ბარნსლი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:10 | 1 |

## მეორე დივიზიონი

მე-6 ტური: ბრისტოლი — ტრანმერი 2:0; ჩელტენჰემი — კარდიფი 1:1; კოლჩესტერი — უიგანი 1:0; ჰადერსფილდი — ბლეკპული 0:0; ლუტონი — ჩესტერფილდი 3:0; მენსფილდი — კროუ 0:5; ნორთჰემპტონი — ბარნსლი 1:0; ნოტსი — ბრენტფორდი 2:2; ოლდემი — უიკომბი 0:2; პორტ ვეილი — პიტერბორო 1:0; ქუინზ პარკი — პლიმუთი 2:2; სუინდონი — სტოკპორტი 0:1

## მესამე დივიზიონი

მე-6 ტური: ბოსტონი — ბერი 1:1; კემბრიჯი — რაშდენი 4:4; კარლაილი — ექსეტერი 0:2; ჰალი — ლეიტონი 1:1; კიდერმინსტერი — დარლინგტონი 1:1; მაკლსფილდი — ბორნმუთი 0:1; ოქსფორდი — ჰარტლპული 0:1; როჩდეილი — საუთენდი 1:2; სკანთორპი — [illegible] 2:2; შრუსბერი — ლინკოლნი 1:2; სუონსი — იორკი 1:2; ტორკი — რექსჰემი 2:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. I ტური

**ბარსელონა 2:2 ატლეტიკო**

1:0 ლუის ენრიკე (5), 1:1 ოტერო (45), 2:1 ლუის ენრიკე (55), 2:2 კორეა (85)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი (რაიციგერი 83), ფ. დე ბური, ნავარო, ხავი, კოკუ, მენდიეტა, გაბრი, ლუის ენრიკე, სავიოლა (რიკელმე 79), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ატლეტიკო: ბურგოსი, კოლომინი, ოტერო, ჰიბიჩი, სერხი, ალბერტინი, ემერსონი, დანი კარვალიო (ი. სტანკოვიჩი 58), აგილერა (კორეა 65), ლუის გარსია (ხოსე მარი 48), ტორესი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: კოლომინი, ხოსე მარი, სტანკოვიჩი, ოტერო, ნავარო, პუიოლი, ტორესი, რაიციგერი
მსაჯი: პერეს ლასა
90 000 მაყურებელი

**მალიორკა 0:2 ვალენსია**

0:1 დე ლოს სანტოსი (10), 0:2 ბარახა (57)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფერნანდო ნინო, ოლაიზოლა, ნადალი, პოლი, კამპანო, ნოვო (გუიზა 66), მარკოსი, აროლდ ლოზანო (ტურუ ფლორესი 82), რიერა, პანდიანი (პაკო სოლერი 82)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალენსია: კანიზარესი, პელეგრინო, მარჩენა, კარბონი, კურრო ტორესი, ბარახა, ვისენტე (კილი გონსალესი 53), რუფეტე (სალვა 79), აიმარი, კარეუ (ანგულო 54), დე ლოს სანტოსი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კურრო ტორესი, აროლდ ლოზანო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
20 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:4 ბეტისი**

0:1 ასუნსაო (20), 0:2 ალფონსო (28), 1:2 მაკაი (32), 1:3 არზუ (40), 1:4 ხოაკინი (53), 2:4 ტრისტანი (76პ)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, ლორენ ანდრადე (ტრისტანი 39), მაურო სილვა, ფრანი (დუშერი 59), სკალონი, სერხიო (ლუკე 65), ვიქტორი, ვალერონი, მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ვარელა, ხუანიტო, რივასი, ასუნსაო, კაპი (ფილიპესკუ 80), არზუ, დენილსონი (ფერნანდო 63), ხოაკინი (კანიასი 89), ალფონსო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ლორენ ანდრადე, მაურო სილვა, ვარელა, ვარელა, დუშერი, ალფონსო
გაძევება: ვარელა (68)
მსაჯი: მეიას დავილა
32 000 მაყურებელი

**სევილია 0:1 სელტა**

0:1 გუსტავო ლოპესი (40)
სევილია: ნოტარიო, დავიდ კასტედო, პრიეტო (მარკოს ვალესი 49), ხ. რედონდო, ოსკარი, ფრანსისკო (ანტონიტო 56), ვ. სალასი, კასკერო, გალიარდო, ტოედტლი (რეიესი 26)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (ჯესუალდო 65), მაკნერი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (დორივა 81), ლუქსენი, მაკკარტი (ედუ 74)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: პრიეტო, რეიესი, გუსტავო ლოპესი, მოსტოვოი, მარკოს ვალესი, კავალიერო
მსაჯი: პინო სამორანო
32 000 მაყურებელი

**სოსიედადი 4:2 ბილბაო**

1:0 კარპინი (28), 1:1 გურპეგი (29), 2:1, 3:1 ნიჰათი (33, 63), 3:2 გურპეგი (75), 4:2 კოვაჩევიჩი (77)
სოსიედადი: ვესტერველდი, არანზაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (ტაიფური 70), ხაურეგი, დე პედრო, არანბურუ, კარპინი, კოვაჩევიჩი (ბოხლერი 78), ნიჰათი (მიკელ ალონსო 90)
მწვრთნელი: რეინალდ დენუე
ბილბაო: ლაფუენტე კარანკა (ლუის პრიეტო 78), ორბაისი (ოსკარ ვალესი 36), დელ ჰორნო (ესკუდერო 62), მურილიო, სესარი, გურპეგი, ი. ეტრერი, ხაბი გონსალესი, ურზაისი, არიეტა
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ორბაისი, მურილიო, ურზაისი, ხაბი ალონსო, სესარი, კარანკა
მსაჯი: პერეს პერესი
30 000 მაყურებელი

# უელვას კრუელვა



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ატლეტიკო. ორი ფერნანდო: მასპინძელი ნავარო (მარცხნივ) და სტუმარი კორეა

**რაიო ვალეკანო 2:2 ალავესი**

1:0 ხულიო ალვარესი (22), 1:1 ივან ალონსო (38), 2:1 ხულიო ალვარესი (64პ), 2:2 მაგნო (72)
რაიო ვალეკანო: ი. ეტხებერია, გრაფი, დე კინტანა, კორინო, მაინსი, ხულიო ალვარესი (მაურო 75), პერაგონი, ასკოიტია, პაბლო სანსი (ონოპკო 64), ბოლიჩი, ბოლო (კამუნიასი 83)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ალავესი: დუტრუელი, აბელარდო, კარმონა (მაგნო 69), ტელიესი, ჯელი, იბონ ბეგონია, პაბლო, კრუიფი, დესიო (რუბენ ნავარო 68), ასტუდილო, ივან ალონსო (იბორა 80)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ბოლიჩი, დესიო, პაბლო სანსი, კარმონა
მსაჯი: პუენტეს ლეირა
12 500 მაყურებელი

**უელვა 2:3 მალაგა**

1:0 რაულ მოლინა (17), 2:0 ვიკერა (34), 2:1, 2:2, 2:3 მუსამპა (37, 48, 57)
უელვა: სესარი, სერხიო, ქაპინოლა, იკერ ბეგონია, ალექს პერეირა, კუბილიო (ვიკერა 15), მურინო, არპონი (ბერმუდო 75), ბენიტესი, რომერო (გალიეგო 68), რაულ მოლინა
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
მალაგა: კონტრერასი, ლიტუში, როტენა, ვალკარსე, მიგელ ანხელი (ხუანიტო 86), ხოსემი, მუსამპა (ედგარი 90), ხერარდო, სანდრო (ლეკო 74), დელი ვალდესი, დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ხერარდო, სანდრო, მუსამპა, რომერო, ვალკარსე, ხოსემი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
20 000 მაყურებელი

**რასინგი 0:1 ვალიადოლიდი**

0:1 აგანზო (90)
რასინგი: ლემენი, სიეტესი, მორა (პაბლო სიერა 84), ხუანმა, ისმაელი, მორანი, ნაფტი, ჩიკო (რეგუეირო 70), პინედა, ბოდიპო, ბენაიუნი (ბ. გერერო 77)
მწვრთნელი: მანოლო პრეციადო
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენა, მარკოსი (როკეტე 46), გასპარი, ტორეს გომესი, სოუზა, კოლსა, ჩუჩი (ოსკარ სანჩესი 68), კამინერო (ფერნანდო 64), აგანზო, ფერნანდო სალესი
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ისმაელი
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
14 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:2 ოსასუნა**

1:0, 2:0 ვიქტორი (12, 15), 2:1 ანტონიო ლოპესი (68), 2:2 პაბლო გარსია (82)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხოსიკო (გრასია 60), სენა, კალეხა, ვიქტორი, პალერმო, გიარე
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ოსასუნა: უნსუე, იანგუასი, კრუჩაგა, ვიდრიო, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი (მოა 77), ალფრედო (პაბლო გარსია 56), პალასიოსი (რივერო 56), პუნიალი, განსედო, ივან როსადო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ბალესტეროსი, პალერმო, პაბლო გარსია
მსაჯი: მედინა კანტალეხო
16 500 მაყურებელი

**რეალი — ესპანიოლი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**პრიმერადივიზიონის** ლიდერია... თუმცა პირველი ტურის შემდეგ რა დროს ამაზე ლაპარაკია, ისე კი გარწმუნებთ, „ბეტისის", „სოსიედადის", „მალაგას", „სელტასა" და „ვალიადოლიდის" დაწინაურება დროებითი მოვლენაა. ესენი ნელ-ნელა ქვევით ჩაიწევენ და გამოთავისუფლებულ ადგილებს სხვებს დაუთმობენ. იმასაც გარწმუნებთ, რომ „დეპორტივო" იქ არ დარჩება, სადაც ახლაა.

ჩემპიონობისა თუ ჩემპიონთა ლიგაში ადგილის მოპოვების ორი პრეტენდენტი კი პირველივე ტურში გადაეყარა ერთმანეთს. მიხვდებოდით, „ბარსელონასა" და „ატლეტიკოს" მატჩზე მოგახსენებთ. „ბარსელონა" რომ ყოველთვის რაღაცის მაძიებელია, თქმაც არ უნდა, აი, პრიმერაში ახალმოსული „ატლეტიკოს" ფავორიტთა შორის მოხსენიება კი, ერთი შეხედვით, შესაძლოა, უცნაურად ჩანდეს. მაგრამ რაა გასაკვირი? გადახედეთ მადრიდული კლუბის შემადგენლობას, გაიხსენეთ, რომ ლუის არაგონესი ყველა დროის ყველაზე გამოცდილ ესპანელ მწვრთნელად ითვლება, ასევე გაიხსენეთ ამ კლუბის სახელოვანი, ტიტულებით დახუნძლული ისტორია, ისიც ვთქვათ, რომ „ატლეტიკოს" ციხიდან თავდახსნილი გიჟმაჟი პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი მთელი ცხოვრება რაღაც-რაღაცეების დამტკიცებას ცდილობს და ზემოთ დასმული კითხვა საპირისპიროდ შეგვიძლია შევატრიალოთ: რა უნდოდა ამ გუნდს ერთი სეზონი სეგუნდა დივიზიონში?

რიტორიკულ კითხვებს შევეშვათ და აღვნიშნოთ, რომ მადრიდელებმა „კამპ ნოუზე" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ხოლო ბარსელონადან ქულის წაღებაზე ბევრი კლუბი ოცნებასაც ვერ ბედავს.

„ატლეტიკომ" გაბედა და გამოუვიდა, თუმც ორჯერ იყო მდევრად — მასპინძელთა ახალმა კაპიტანმა ლუის ენრიკემ დუბლი მიითვალა. „ატლეტიკომ" კი, თითქოს ტაიმების დასრულებას უცდისო, ორივე საპასუხო გოლი ბოლოსკენ გაიტანა — ხორხე ოტერომ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, ხოლო ფერნანდო კორეამ მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე. ასე რომ ლუის ვან გაალის შეგირდებს მესამედ წინ გაჭრისთვის უბრალოდ დრო აღარ დარჩათ. ისიც საკითხავია, მოახერხებდნენ თუ არა, რადგან ბოლოსკენ მადრიდელებმა ერთი-ორჯერ სახიფათოდაც შეაწუხეს [illegible] ვალდესი. ერთი [illegible] ქსაბართლო შედეგს ვერ დავარწმუნებთ. და ერთიც, აწ უკვე მადრიდელმა სერხიმ ბლომად თავსატეხი გაუჩინა ძველ მეგობრებს.

„დეპორტივოს" თამაშს დაწყების დრო აერია თუ სხვა რამ მიზეზი იყო, როცა ათამაშდა, ტაბლოზე უკვე 0:2 ციმციმებდა. „ბეტისს" მარკოს ასუნსაოს გადაბირება და ალფონსო პერესის დაბრუნება კარგად წაადგა.

როცა მაკაის საპასუხოთ „რიასორზე" შეკრებილ 32 ათას ადამიანს აფიქრებინა, რომ სტუმართა ორი გოლი შემთხვევითობა იყო, მაკაის ლიდერი ტრისტანიც აუბამს მხარს და [illegible] შეუძლობისაც დამარცხდება. ამის გაფიქრებიდან რვა წუთში „დეპორტივოს" საქმე ისევ აერია. არზუმ [illegible] ნძლებს მესამე გაუტანა, ხოლო ხოაკინმა მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეასთან მატჩისას დაგროვილი ბოღმა ამოანთხია და ანგარიში „დეპორტივოს" სამარცხვინო გახადა. ამის მერე ტრისტანის პენალტით გატანილ მეორე საპასუხოს, ცხადია, ფასი დაეკარგა.

ჩემპიონმა „ვალენსიამ" ჩემპიონურად, თავდაჯერებულად ითამაშა, თან მალიორკელებიც რაღაც ვერ იყვნენ ჯანზე. როდის იყო, „ვალენსიას" ბევრი გოლი გაჰქონდა და ახლაც ტაიმებში თითო გოლი იკმარა. ანგარიში ურუგვაელმა გონსალო დე ლოს სანტოსმა გახსნა, რომელსაც საგოლედ პაბლო აიმარი და ფრანსისკო რუფეტე მოემსახურნენ. შესვენების მერე კი რუბენ ბარახამ პასი მკერდით მიიღო და ლეო ფრანკოს ცხრიანში ჩაუჭედა.

მიმოხილვა „ატლეტიკოს" ამბით დავიწყეთ, ახლა კი სხვა ახალწვეულებზე ვთქვათ. „რასინგსაც" და „უელვასაც" საოცრად არ გაუმართლათ, რაც, ალბათ, უკლასობის ბრალი უნდა იყოს. სანტანდერლები მთელი მატჩი უპირატესობას ფლობდნენ, გოლი კი ვერ გაიტანეს. ბოლო წუთი მიდიოდა, როცა ალბათ იფიქრეს, ჯანდაბას, ფრეს დავჯერდებითო და ერთი ქულაც დაკარგეს. მათმა მეკარე ერვინ ლემენსმა ფერნანდო სალესის დარტყმული მოიგერია, მაგრამ დავიდ აგანსომ დაკარგულ ბურთს მისამართი უპოვა.

უარესი რამ შეემთხვა „უელვას". გუნდი ორბურთიანი უპირატესობით იგებდა და ნაადრევი სიხარული სამი გოლით ჩაუშხამდა. ახლა მთელი უელვა წყევლა-კრულვას უთვლის მალაგელთა ჰოლანდიელ კიკი მუსამპას, ვინაც თავისთვის ბომბარდირობა და სეზონში პირველი ჰეთ თრიქის ავტორობა გაიხერხა.

დაახლოებით მსგავსი რამ შეემთხვა „ვილიარეალსაც", რომელიც ვიქტორის დუბლით მე-15 წუთისთვის ერბოს არა, სამ ქულას კი ითვლიდა, ხოლო ბოლოს გლახაკის ამბავი დაემართა. ნავარიელებმა ვილიარელელებს ოცნება არ დააცალეს.

ყველაზე უხვგოლიანი კი ბასკური დერბი იყო, ოღონდ „სოსიედადის" ოთხი გოლიდან არათუ ბასკთა, ესპანელთა ანგარიშზე ერთი გოლიც არ არის — თითო რუსმა და იუგოსლაველმა მიითვალეს, ორიც თურქმა გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

| № | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ბეტისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 |
| 3 ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 მალაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 5 ვალიადოლიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 8 ალავესი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 რაიო ვალეკანო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 11 ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 რეალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 ესპანიოლი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 უელვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 19 დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 20 მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

**II ტური**

15 სექტემბერი

მალაგა — რაიო ვალეკანო
ვალენსია — უელვა
სელტა — მალიორკა
ატლეტიკო — სევილია
ბილბაო — ბარსელონა
ესპანიოლი — სოსიედადი
ბეტისი — რეალი
ოსასუნა — დეპორტივო
ვალიადოლიდი — ვილიარეალი
ალავესი — რასინგი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მუსამპა (მალაგა) | 3 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 2 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 2 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 2 |
| გურპეგი (ბილბაო) | 2 |
| ვიქტორი (ვილიარეალი) | 2 |

### სეგუნდადივიზიონი

**I ტური**

**ხეტაფე 2:2 ლევანტე**
0:1 ჩოტა (7), 0:2 ამატო (12), 1:2 ქეტევე (61), 2:2 კრაიოვეანუ (86)

**ტერასა 1:1 ალბასეტე**
1:0 ხუბერა (9), 1:1 ხესუს პერეირა (31პ)

**ლას პალმასი 2:0 ფეროლი**
1:0 კარმელო (39), 2:0 ორლანდო (45)

**ელჩე 0:1 ხერესი**
0:1 დანი ბენდიცი (49)

**ალმერია 1:2 სალამანკა**
1:0 ხესუსი (17), 1:1 კუმე (74), 1:2 რობერტო (90)

**ნუმანსია 1:0 სპორტინგი**
1:0 კუელიარი (6)

**ეიბარი 0:0 პოლი ეხიდო**

**კომპოსტელა 1:1 ტენერიფე**
1:0 მაიკელი (42), 1:1 ბასავილბასო (79)

**ბადახოსი 0:0 ლეგანესი**

**სარაგოსა 0:0 კორდობა**

**ოვიედო 0:1 მურსია**
0:1 ისმაილი (61)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დანფერმლაინი — რეინჯერსი. ფერნანდო რიკსენმა გლაზგოელთა გოლებში თავისიც გამოურია

# დანდიში მშვიდობაა
## რეინჯერსელებს ბრალდება მოუხსნეს

### შოტლანდია
#### პრემიერლიგა. V ტური

**დანფერმლაინი 0:6 რეინჯერსი**

0:1 კანიჯა (12), 0:2 არტეტა (27), 0:3 რიკსენი (41), 0:4 ფერგიუსონი (57პ), 0:5, 0:6 კანიჯა (59, 68)
რეინჯერსი: კლოსი, მუსკატი, კ. მური, მალკოლმი, ნუმანი, რიკსენი, არტეტა (ბ. ჰიუზი 71), დ. ფერგიუსონი (კონტერმანი 82), რ. დე ბური (ბ. დოდსი 77), შ. არველაძე, კანიჯა
მსაჯი: ალექს მაკლიში
8 948 მაყურებელი

**დანდი იუნ. 0:0 დანდი**

დანდი: სპერონი, სმიტი, მაკკეი, უილკი, ერნანდესი, რაე, ნემსაძე, ჰატჩისონი (მაირი 71), ნოვო, კაბალიერო, ლოველი (სარა 59)
ზურაბ ხიზანიშვილი ტრავმირებულია
მსაჯი: ჯიმ დანი
12 402 მაყურებელი

**ჰარტსი 1:1 კილმარნოკი**

1:0 მაკმილანი (31), 1:1 კ. ბოიდი (44)

**მაზერუელი 0:2 ჰიბერნიანი**

0:1, 0:2 ტაუნსლი (16, 71)

**აბერდინი 0:1 პარტიკი**

0:1 ლილეი (31)

**სელტიკი 2:0 ლივინგსტონი**

1:0 ლარსონი (26), 2:0 ბალდე (38)

**გლაზგოს** „სელტიკს“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ხელი მოეცარა შვეიცარიულ „ბაზელთან“ და ოდენ უეფას თასისთვის თუ იბრძოლებს, შინ კი, ალბათ, ყველაფრის მოგებას შეეცდება, ისევე როგორც „რეინჯერსი“.

სელტიკელთა მენეჯერმა მარტინ ონილმა „ლივინგსტონთან“ ნამატჩევს თქვა, ევროპული განბილების შემდეგ კმაყოფილი ვარ, თავს კომფორტულად ვგრძნობთო. ონილმა შეცვლაზე შესული ახალგაზრდა შონ მელოუნი შეაქო და ტრავმამოშუშებული ალან ტომპსონის დაბრუნებით გაიხარა.

ერთი სიტყვით, „სელტიკი“ იხტიბარს არ იტეხს და ცხოვლად ცდილობს, ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრა სწრაფად დაივიწყოს.

„ვცდილობდი, მეპოვნა, თუ ვის რა ბრალი მოუძღვოდა იმაში, რომ „რეინჯერსი“ ვერ ლიდერობს, მაგრამ დღეს ყველა ჩემი ფეხბურთელი ბრწყინვალე იყო. ბევრი მათგანის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარება შეიძლება. ჩვენ მართლა დიდი შემსრულებლები გვყავს. ბიჭებმა ისეთი გუნდური სულისკვეთება გამოავლინეს, როგორსაც მუდამ ვითხოვ“ — ეს კი უკვე „რეინჯერსის“ დამრიგებლის ალექს მაკლიშის კომენტარია „დანფერმლაინის“ განადგურების მერე.

მხცოვანი კლაუდიო კანიჯა მაკლიშმა მუხლმტკივანი პიტერ ლოვენკრანდის ნაცვლად გაამწესა და არც ინანა — არგენტინელმა ჰეთ თრიქი შეასრულა და, ცხადია, მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

შოთა არველაძე ძალიან აქტიური კი იყო, მაგრამ გოლის გატანა „დანფერმლაინის“ მეკარე რუიტენბეკმა არ დაანება. ხოლო ბარი ფერგიუსონის მიერ გატანილი 11-მეტრიანი, ქართველმა მოინადირა.

დანდურ დერბიში ჩვენებურთა „დანდის“ მოგება შეეძლო, მაგრამ ნაჩო ნოვომ ორი საგოლე მომენტი გააცუდა, აქედან ერთში გიორგი ნემსაძემ მიართვა ჩინებული პასი.

კარგად ითამაშა „დანდის“ დაცვამ — ლი უილკი და დებიუტანტი ტომ ჰატჩისონი გაუვალნი იყვნენო, იუწყება კლუბის ვებ-გვერდი.

**დავით თამართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 15 |
| რეინჯერსი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:3 | 13 |
| ჰართსი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:4 | 9 |
| კილმარნოკი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:6 | 8 |
| პარტიკ თისლი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| დანფერმლაინი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:13 | 6 |
| მოზერუელი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| დანდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | 5 |
| ლივინგსტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| აბერდინი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| ჰიბერნიანი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:13 | 3 |
| დანდი იუნ. | 5 | 0 | 3 | 2 | 2:8 | 3 |

#### პირველი დივიზიონი

III-5 ტური:ეარი — არბროთი 1:0; ფოლკირკი — ქუინ ოფ საუთი 3:0; როს ქაუნთი — კლაიდი 1:1; სტ. ჯონსტონი — ალოა 2:0; სტ. მირენი — ინვერნესი 0:4

#### მეორე დივიზიონი

III-5 ტური: ერდრი — ქოუდენბითი 0:0; ბერიკი — დამბარტონი 1:2; ფორფარი — ჰამილტონი 1:1; რეით როვერსი — სტენჰაუსმუირი 1:0; სტრენრარი — ბრეჩინი 3:1

#### მესამე დივიზიონი

III-5 ტური: ალბიონი — ისტ ფაიფი 1:5; ისტ სტირლინგი — მორტონი 1:1; მონტროუზი — ელგინი 1:0; პიტერჰედი — სტირლინგი 1:0; ქუინზ პარკი — გრეტნა 1:0

### რუსეთი
#### პრემიერლიგა. XXII ტური

**როსტსელმაში 1:1 შინიკი**

0:1 ფუზაილოვი (45), 1:1 კამბამბა (48)

**ანჟი 2:1 როტორი**

1:0 ბულციასი (63), 2:0 ბუდუნოვი (84), 2:1 ქსიმოვი (90)
ანჟი: არმიშევი, სტანჩუ, სტოიკოვიჩი, ბაბიჩი, გლოგოვაცი (ბულციასი 27), რამაზანოვი, მხეიძე (ხაშიჩი 85), მიტროფანოვი, ჯილერი, აგალაროვი, ბუდუნოვი

**ცსკა 2:3 ტორპედო**

0:1 სემშოვი (9), 0:2 შირკო (33), 0:3 ლეონჩენკო (56), 1:3 გუსევი (63), 2:3 რაზიმოჩი (68)
ტორპედო: კორობოვი, მალაი, თოლოვიჩი, მახმუტოვი, ლეჩკოვი, კორმილცევი, ლეონჩენკო, სემშოვი, ბუდილინი, შირკო (ლებედენკო 77), ბოეინეპალი (გორინი 75)

**ურალანი 2:0 ალანია**

1:0 ისაკუშინსკი (6), 2:0 ფილიპოვი (64)
ალანია: გონჩაროვი, პაგაევი, ფაიზიევი, თეთრაძე, ტარლოვსკი, სუიდერსკი, ბითაროვი, ბუხაევი, კუსოვი, აშვეთია, პაულუ ემილიუ

**ზენიტი 0:0 ტორპედო ზილ**

**ლოკომოტივი 2:0 კრილია სოვეტოვი**

1:0, 2:0 მამინოვი (32, 40)

**სპარტაკი 0:2 სატურნი**

0:1 როგაჩევი (27), 0:2 მედვედევი (62)
სპარტაკი: ჩერჩესოვი, კოვტუნი (დანიშევსკი 64), ჩუისე, მიტრესკი, მოიზესი, კუდრიაშოვი (ბელესტოვი 68), კებე, ბეზროდნი (სკარლეტი 46), ბარანოვი, ბესჩასტნიხი, ფლო

**დინამო 2:1 სოკოლი**

1:0 ბულიკინი (74), 2:0 კორომანი (85), 2:1 ჟილთეცოვი (90)



ლოკომოტივი — კრილია. ალექსანდრ მამინოვმა რკინიგზელები ჩემპიონობას მიუახლოვა

# გაჯი-ლეგენდა
## სპარტაკმა სატურნს უერთგულა

„**ლოკომოტივზე**“ „მიბმული“ „სპარტაკი“ და ცსკა, „სატურნმა“ და „ტორპედომ“ ჩამოხსნეს.

ორ მოსკოვურ დერბიში რკინიგზელთა მდევრებმა წაიფორხილეს, რითაც იური სიომინმა უმალ ისარგებლა. „ლოკომ“ პირველივე ტაიმში გაპუტა „საბჭოეთის ფრთები“. ვლადიმირ მამინოვმა რვაწუთიან მონაკვეთში ორჯერ იხეირა და ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტურით ადრე რკინიგზელები საჩემპიონოდ შემართა.

მასპინძელთა დასაზვერად სტამბოლიდან თვით ფატიჰ თერიმი ჩაბრძანდა თავისი ნაზირ-ვეზირებით, რაკიღა „ლოკომოტივი“ და „გალათასარაი“ ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფელები არიან.

„სპარტაკის“ 13-მატჩიანი წაუგებელი სერია რამენსკოელებმა შეაჩერეს. არადა, გაზაფხულზე სამმატჩიანი მოუგებელი სერია „სპარტაკმა“ სწორედ „სატურნთან“ მოგებით შეწყვიტა. ჰოდა, „სახალხო გუნდმა“ ვისთანაც დაიწყო, ისევ იმასთან დაასრულა. თავის მხრივ „სატურნისთვის“ ეს ზედიზედ მესამე მოგებული შეხვედრა გამოდგა. როგაჩევის პირველ და მედვედევის მეორე ტაიმში გატანილ გოლებს „სპარტაკმა“ ვერაფერი მოუხერხა.

წელიწადი გავიდა ცსკა-ს მეკარის, სერგეი პერხუნის ტრაგიკული გარდაცვალებიდან. ცსკა — „ტორპედოს“ მატჩის დაწყებამდე მაყურებლებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი მის ხსოვნას. დღეს მას 25 წელი შეუსრულდებოდა. შეგახსენებთ, რომ პერხუნი ერთ-ერთი მატჩისას მეტოქეს თავით შეასკდა და გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

„ტორპედომ“ ალლო თავიდანვე აუღო მეტოქის ზრახვებს და ისე შეუტია, რომ ვალერი გაზაევის ბიჭებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა.

შედეგად სემშოვმა მალევე გაიტანა, რასაც შირკომ მეორე მიაყოლა პირველივე ტაიმში.

შესვენების შემდეგ არმიელებმა მთელი თავისი არსენალი გადმოალაგეს, მაგრამ სანამ ორჯერ გაიტანდნენ, ტორპედოელმა ლეონჩენკომ გასამება მოასწრო. გაზაევის შეგირდებს დრო კი ჰქონდათ გასათანაბრებლად, თუმც ტყვია-წამალი გამოელიათ.

ეს გამარჯვება „ტორპედოსთვის“ ზედიზედ მეოთხეა.

მგონი, ეშველა მახაჩყალელებს. ძველი, ნაცადი კაცი გაჯი გაჯიევი დაუბრუნდათ და პირველივე მატჩში სამი ქულა იხეიმეს. აქამდე ბოლო 7 შეხვედრიდან ექვსი წაეგოთ, ხოლო ზედიზედ სამ საშინაო თამაშში მეტოქის კარში გოლი ვერ გაეტანათ.

გაჯი გაჯიევი კი ერთგვარი ჯადოქარი და ყოვლისშემძლეა მახაჩყალელთა თვალში. აღსანიშნავია, რომ „ანჟის“ ლეგიონერთა რაოდენობის მხრივ რუსულ პრემიერლიგაში ბადალი არ ჰყავს. აქ ცხრამეტ უცხოელს მოუყრია თავი ათი ქვეყნიდან. მათ შორის ქართველი მჟავანაძეც გახლავთ, რომელმაც სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და კარგი შეფასებაც დაიმსახურა.

ფრეების მოყვარულმა „ურალანმა“ რევაზ ძოძუაშვილის თავკაცობით ვლადიკავკაზის „ალანია“ იმსხვერპლა. ელისტელებს ამ სეზონში სულ ხუთი მატჩი აქვთ მოგებული და აქედან ორი სწორედ „ალანიასთან“.

ოსთა გუნდს გიორგი დემეტრაძე აკლდა, რამაც სტუმართა შეტევების სიმწვავეზე იმოქმედა. მიხეილ აშვეთიას რამდენიმე დარტყმულმა კი მიზანს ვერ მიაღწია.

აქვე გეტყვით დმიტრი სიჩევის ამბავსაც. იგი „სპარტაკის“ სალიგო განაცხადში შეიყვანეს, რომელშიც ვალერი აბრამიძეც მოხვდა 44-ე ნომრით.

„სპარტაკის“ პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ ბრძანა: „სიჩევი განაცხადშია, რადგან არავის ეგონოს, რომ მას ვავიწროვებთ და ხელს ვუშლით პროფესიულ ზრდაში, რაშიც ბრალს გვდებენ. მისი განცხადება გუნდიდან წასვლის თაობაზე არ დავაკმაყოფილეთ და არც ვაპირებთ. მის წინაშე კლუბმა ყველა ვალდებულება შეასრულა. თუ ეს ასე არაა, ფეხბურთელს შეუძლია სასამართლოში გვიჩივლოს.“

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 23 | 15 | 7 | 1 | 33:8 | 52 |
| სპარტაკი | 24 | 14 | 5 | 5 | 40:30 | 47 |
| ცსკა | 22 | 14 | 3 | 5 | 43:21 | 45 |
| სატურნი | 22 | 11 | 6 | 5 | 32:24 | 39 |
| კრილია | 22 | 11 | 3 | 8 | 32:26 | 36 |
| დინამო | 22 | 10 | 3 | 9 | 27:21 | 33 |
| ტორპედო | 22 | 9 | 5 | 8 | 32:26 | 32 |
| შინიკი | 23 | 8 | 7 | 8 | 30:31 | 31 |
| ზენიტი | 22 | 8 | 6 | 8 | 29:28 | 30 |
| ურალანი | 23 | 5 | 10 | 8 | 30:35 | 25 |
| როტორი | 22 | 7 | 4 | 11 | 17:23 | 25 |
| ალანია | 22 | 6 | 4 | 12 | 26:34 | 22 |
| ტორპედო ზილ | 22 | 4 | 9 | 9 | 16:28 | 21 |
| ანჟი | 23 | 4 | 8 | 11 | 18:36 | 20 |
| როსტსელმაში | 22 | 5 | 5 | 12 | 21:42 | 20 |
| სოკოლი | 22 | 2 | 7 | 13 | 17:30 | 13 |

### თურქეთი

III-4 ტური: ადანა — ტრაბზონი 0:1; ალთაი — ანკარაგუჯუ 2:3; ბეშიქთაში — დიარბაქირი 2:0; ბურსა — ქოჯაელი 4:2; ელაზიგსპორი — გაზიანთეპი 1:3; ფენერბაჰჩე — დენიზლი 3:2; გენჩლერი — გოზთეპე 3:1; მალათია — გალათასარაი 2:2; სამსუნი — ისთანბული 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენჩლერი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| გალათასარაი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 10 |
| ბეშიქთაში | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| ადანა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| ანკარაგუჯუ | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| სამსუნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| გაზიანთეპი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ალთაი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| ტრაბზონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:2 | 5 |
| ბურსა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| დენიზლი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ისთანბული | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| მალათია | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| ელაზიგსპორი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| გოზთეპე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:12 | 3 |
| დიარბაქირი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| ქოჯაელი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:11 | 0 |

### ჩეხეთი

III-6 ტური: ბლშანი — იაბლონეცი 0:0; ჰრადეც კრალოვე — ბოჰემიანსი 1:1; სინოტი — ბუდეიოვიცე 2:0; ბრნო — სპარტა 1:2; ბანიკი — პრჟიბრამი 1:0; სლავია — ზლინი 5:1; ოლომოუცი — სიგმა 2:2; ლიბერეცი — ტეპლიცე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 5 | 0 | 0 | 12:2 | 15 |
| ლიბერეცი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| იაბლონეცი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| სლავია | 5 | 3 | 1 | 1 | 14:6 | 10 |
| ჟიჟკოვი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ბლშანი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ბანიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ბრნო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| სიგმა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 2 | 0 | 3 | 7:10 | 6 |
| პრჟიბრამი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| სინოტი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ჰრადეც კრალოვე | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| ზლინი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:9 | 3 |
| ტეპლიცე | 5 | 1 | 0 | 4 | 5:12 | 3 |
| ბოჰემიანსი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:12 | 1 |

### პოლონეთი

III-5 ტური: რუხი — კატოვიცე 2:0; ლეხი — პლოცკი 2:2; ზაგლები — ოდრა 0:1; გროცლინი — ოსტროვიცი 1:0; პოგონი — გურნიკი 1:3; გარბანია — პოლონია 3:1; ლეგია — ვისლა 3:2. ვიძევი — ამიცა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდრა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| კატოვიცე | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ლეგია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:8 | 9 |
| გროცლინი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| ვისლა | 5 | 2 | 2 | 1 | 13:8 | 8 |
| გურნიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| პოლონია | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ამიცა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ოსტროვიცი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| რუხი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| ლეხი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| პლოცკი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | 5 |
| ვიძევი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| გარბანია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| ზაგლები | 5 | 1 | 0 | 4 | 8:9 | 3 |
| პოგონი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

### საბერძნეთი

III-2 ტური: პანაჰაიკი — ირაკლისი 0:2; ოფი — ოლიმპიაკოსი 0:1; არისი — პანიონიოსი 1:0; კალითეა — აკრატიტოსი 0:2; იონიკოსი — ეგალეო 0:0; ქსანთი — პაოკ 1:1; აეკ — იანინა 3:1; პანათინაიკოსი — პროდეფტიკი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირაკლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| არისი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| პროდეფტიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| პაოკ | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| აეკ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ქსანთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| აკრატიტოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| პანიონიოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ეგალეო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| იონიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| იანინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| კალითეა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| პანაჰაიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ოფი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### ნორვეგია

21-ე ტური: ბოდო/გლიმტი — ლინი 0:2; ბრინი — ბრანი 4:0; მოსი — მოლდე 2:3; სოგნდალი — ოდ გრენლანდი 1:0; სტაბეკი — ვიკინგი 1:2; სტარტი — როზენბორგი 1:2. ვოლერენგა — ლილესტრიომი ნახევარ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 21 | 14 | 3 | 4 | 44:25 | 45 |
| ლინი | 21 | 13 | 3 | 5 | 29:22 | 42 |
| მოლდე | 21 | 12 | 4 | 5 | 35:19 | 40 |
| ვიკინგი | 21 | 9 | 9 | 3 | 38:24 | 36 |
| სტაბეკი | 21 | 10 | 5 | 6 | 35:25 | 35 |
| ოდ გრენლანდი | 21 | 10 | 3 | 8 | 30:26 | 33 |
| ვოლერენგა | 20 | 6 | 8 | 6 | 29:23 | 26 |
| სოგნდალი | 21 | 8 | 2 | 11 | 29:40 | 26 |
| ბოდო გლიმტი | 21 | 7 | 4 | 10 | 32:32 | 25 |
| ბრინი | 21 | 7 | 4 | 10 | 33:35 | 25 |
| ლილესტრიომი | 20 | 6 | 4 | 10 | 25:27 | 22 |
| ბრანი | 20 | 6 | 3 | 11 | 26:38 | 21 |
| მოსი | 21 | 4 | 5 | 12 | 22:38 | 17 |
| სტარტი | 20 | 2 | 5 | 13 | 19:52 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ითვლიან

## ნიცა ქულებს, ლილი გოლებს, ჩილავერტი ფულს, სტრასბური მეკარის შეცდომებს

### საფრანგეთი

I დივიზიონი. V ტური

**ლანსი 1:0 მონაკო**
1:0 პ.ბ. დიოპი (38პ)

**პსჟ 1:1 ნიცა**
0:1 ევერსონი (61), 1:1 კარდეტი (74)

**სოშო 2:1 ლიონი**
1:0 მონსორო (67), 2:0 პაგი (85), 2:1 საველიჩი (88პ)

**გენგამი 0:0 ბორდო**

**სედანი 1:0 ნანტი**
1:0 ნორო (27)

**მონპელიე 0:0 ლე ავრი**

**ტრუა 1:0 აიაჩო**
1:0 ნიანგი (1)

**სტრასბური 2:2 ლილი**
1:0 ლე პენი (32), 1:1 დელპიერი (50), 2:1 მარტინსი (61), 2:2 ტაპია (76)

**ბასტია 3:1 რენი**
1:0 გურვენეკი (13), 1:1 პიკორი (17), 2:1 აჰამადა (21), 3:1 მორისი (71)

**მარსელი 0:0 ოსერი**

„ნიცას" ზეობა გრძელდება. „პარკ დე პრენსზე" შეკრებილი ორმოცი ათასი გულშემატკივარი ამაოდ ელოდა პსჟ-სგან ლაჟვარდის ნაპირელთა ძლევას. გამარჯვების შემთხვევაში დედაქალაქელები ლიდერად იქცეოდნენ, თუმცა გამარჯვებას ვინ ჩივის, სტუმრებს ქულა რომ აგლიჯეს, იმითაც კმაყოფილნი დარჩნენ.

ნიცელებმა საკუთარ საჯარიმოსთან თავიდანვე ჯებირი ააგეს და თითქმის მთელი მატჩი ბედს კონტრშეტევებში ეძებდნენ. შესაბამისად, პსჟ ბევრს უტევდა, მაგრამ ვერც თავად გამორჩა რამეს და ვერც „ნიცამ" იხეირა. პირველი ტაიმი ასე მიილია.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ უფრო მოუჭირეს მარწუხებს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, სტუმართა იერიში გამოეპარათ და ბრაზილიელმა ევერსონმა ანგარიში გახსნა. პსჟ-ს სრული მობილიზება დასჭირდა იმისთვის, რომ არგენტინელ მარტინ კარდეტის გაეთანაბრებინა.

„ნიცას" მწვრთნელი პარიზული ქულით ხარობდა: „ჩვენ 90 წუთის განმავლობაში საკუთარ კარს მივუჯაჭვეს. მართალია, ჩემმა გუნდმა არცთუ სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი შედეგია. ეს ქულა, ლიგაში დასარჩენად როდის გამოგვადგება, არავინ იცის. ამ სეზონში უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ. ახლანდელ პირველ ადგილზე კი მოგახსენებთ, რომ სატურნირო ვითარება სულაც არ მაინტერესებს, რადგან მხოლოდ ხუთმა ტურმა ჩაიარა." შარშანდელი სერია A გაიხსენეთ, იქაც დაწინაურებული „კიევოს" მწვრთნელი იგივეს იძახდა.

„მონაკომ" ლანსში იმით დაიწყო, რომ მეთვრამეტე წუთზე კაცნაკლული დარჩა. გაელ გივე მასპინძელთა ნიგერიელ ჯონ უტაკას ეუხეშა, რისთვისაც წითელ ბარათს ეზიარა.

„ლანსი" უმცირესობაში დარჩენილთ მიასკდა, რასაც ჟოზე-პიერ ფანფანის საპენალტედ წაქცევა მოჰყვა. თერთმეტმეტრიანის დარტყმა სენეგალელმა პაპე ბუბა დიოპმა ითავა და თანამემამულე ტონი სილვას ბურთი კარიდან გამოატანინა.

შესვენების შემდეგ ლანსელი რიგობერტ სონგი სტუმარ გივეს გზას გაუყენეს. ათკაცა გუნდების თამაშში მატჩის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა და „ლანსი" ლიდერთა სამეულს შეუერთდა.

შარშანდელის მსგავსად, სტუმრად უჭირს ჩემპიონ „ლიონს" და „სოშოსთანაც" ასე დაემართა.

საწყის ორმოცდახუთ წუთში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა ტაიმი უგოლოდ მიილია. შესვენების მერე შეცვლაზე შესულმა სილვენ მონსორომ იფონალა და ჩემპიონთა პირველ მარცხს საძირკველი გაუჭრა. საძირკველს ერთი აგური მიკალ პაგმაც მიამატა, ხოლო სოშოელმა ნიშა საველიჩმა საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთით ლიონელებს კი აამა, მაგრამ არც თავისიანთა საქმე გააფუჭა.

„ლიონის" მეკარე გრეგორი კუპე: „ჩვენს კარში გატანილი გოლები მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. „ლიონი" იმიტომ უშვებს ბევრს, რომ მუდმივად შეტევაზე ფიქრობს, ამასობაში კი დაცვის ხაზი ირღვევა."

აქამდე უგოლოდ მავალმა „ლილმა" როგორც იქნა, გაიხარა. სტრასბურში სტუმრები დაწყებიდან ნახევარ საათში ჩამორჩნენ. ულრიხ ლე პენმა მასპინძლები დააწინაურა.

მეორე ტაიმში „სტრასბურის" ახალგაზრდა მეკარის, ნიკოლა ბონისის შეცდომით ლილელმა მეტიუ დელპიერიმ ისარგებლა და გაათანაბრა. ჩემპიონატში გატანილი პირველი გოლით გამოწვეული სიხარული ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა. საფრანგეთის ნაკრების წევრყოფილმა კორენტინ მარტინსმა თავისიანები უმალ წინ გაიყვანა, მაგრამ „ლილს" სტრასბურიდან უქულოდ წასვლა არ ეწერა. ბონისმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, რომელიც ექტორ ტაპიამ სათავისოდ გამოიყენა.

ამ მატჩში ნიკოლა ბონისი იმიტომ იდგა კარში, რომ ხოსე ლუის ჩილავერტი „სტრასბურის" მოთამაშე ფაქტობრივად აღარ არის. მან განაცხადა: „სტრასბურის" მაისურას აღარ ჩავიცვამ. ჩემთან ერთად კლუბმა შარშან საფრანგეთის თასი მოიგო, დაბრუნდა უძლიერესთა შორის, ახლა კი მწვრთნელი მეუბნება, აღარ გვჭირდებიო. გარდა ამისა, კლუბისგან ფული მერგება."

„სტრასბურის" პრეზიდენტი პატრიკ პროუზი: „ჩილავერტი გუნდიდან დავითხოვეთ, რასაც ოფიციალურადაც გავაფორმებთ. ხელფასს პატიოსნად ვუხდიდით, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატის დროსაც. თუ ჩვენგან რამე ერგება, მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი გამოუჩნდება. მსურველი კი ჯერჯერობით არ ჩანს."

ბოლო ციტატამ, ალბათ, დაგაბნიათ — ერგება ჩილავერტს კლუბისგან რამე თუ არა?

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 10 |
| ოსერი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| ლანსი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| პსჟ | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| ლიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 15:8 | 8 |
| გენგამი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| ბორდო | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| სოშო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| მარსელი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 0 | 3 | 5:3 | 6 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| სტრასბური | 5 | 1 | 3 | 1 | 6:9 | 6 |
| აიაჩო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ტრუა | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 2:5 | 4 |
| სედანი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | 4 |
| ლილი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:8 | 3 |
| რენი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

II დივიზიონი

მე-5 ტური: ამიენი — ვასკეალი 1:2; შატორუ — ნანსი 1:0; კლერმონი — კრეტეი 1:2; გრენობლი — ბოვე 0:2; გენიონი — სენტ ეტიენი 0:2; ისტრი — მეცი 1:1; ლავალი — ვალანსი 1:2; ლორიანი — ლე მანი 3:4; რეიმსი — ნიორი 1:1; ტულუზი — კაენი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:6 | 15 |
| ვასკეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ტულუზი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:3 | 9 |
| ვალანსი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| ბოვე | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 |
| შატორუ | 5 | 3 | 0 | 2 | 5:8 | 9 |
| კაენი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| ლავალი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| კრეტეი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| მეცი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| გრენობლი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:3 | 8 |
| სენტ ეტიენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:2 | 7 |
| ლორიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| ნიორი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ისტრი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | 5 |
| კლერმონი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| ნანსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| რეიმსი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| ამიენი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:6 | 3 |
| გენიონი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | 0 |



REUTERS

მარსელი — ოსერი. მასპინძელმა სირილ შაბუიმ ფაბიან კოლს ვერაფერი დააკლო



REUTERS

„ფეიენოორდის" იაპონელი შინჯი ონო „რეალის" გიგანტებს, ფიგუსა და ზიდანს ვერ დაუსხლტა

# რეალმა კოლექცია შეავსო
## უეფამ ერთი გაუუქმა

### ევროპის სუპერთასი

**რეალი 3:1 ფეიენოორდი**

1:0 პაუვე (14ავტ.), 2:0 რობერტო კარლოსი (21), 2:1 ვან ჰოიდონკი (56), 3:1 გუტი (60)

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, ელგერა, მაკელელე, კამბიასო (პავონი 88), ფიგუ, ზიდანი (სოლარი 86), რაული, გუტი (მორიენტესი 71)

**მწვრთნელი:** ვისენტე დელ ბოსკე

**ფეიენოორდი:** ზუტებიერი, გაანი (ბუფელი 72), რჟასა, ვან ვონდერენი, ბოსველტი, პაუვე, ემერტონი, ლურლინგი, ონო, ვან ჰოიდონკი, კალუ

**მწვრთნელი:** ბერტ ვან მარვეიკი

**მსაჯი:** ჰიუ დალასი (შოტლანდია)

15 000 მაყურებელი

**მადრიდის** „რეალმა" ახალი სეზონი, თავის ისტორიაში პირველად, ევროპის სუპერთასის მოგებით დაიწყო. ახლა „სამეფო კლუბს" კოლექციაში თასების მფლობელთა თასიღა აკლია, რომელსაც, ცხადია, ველარასდროს მოიგებს.

მონაკოს „ლუი II"-ის კოხტა სტადიონზე შეკრებილმა 15 ათასმა მაყურებელმა თვალწარმტაცი სანახაობა იხილა — ძირითადად ესპანელთა შესრულებით. „რეალს" სუპერთასისთვის ხელი არასდროს შევლო და მეტოქეს მატჩის დაწყებისთანავე მძლავრად შეუტია. უეფას თასის მფლობელ „ფეიენოორდს", რა თქმა უნდა, დიდ პრობლემებს ზინედინ ზიდანი და ლუიშ ფიგუ უქმნიდნენ, მაგრამ იმ საღამოს „რეალის" სარეზერვო გუნდიდან მთავარში წლეულს გადაყვანილი არგენტინელი ესტებან კამბიასო გამოირჩეოდა. 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც მოედნის შუაგულში მეწყვილე მაკელელესაც საქმე გაუადვილა, შეტევებშიც თამამად ერთვებოდა და ორი საგოლე სიტუაციაც მანვე მოამწიფა. იმ ორმა გოლმა კი ევროპის სუპერთასის ახალი პატრონის ვინაობა გადაწყვიტა.

მე-14 წუთზე მოედნის სიღრმიდან ჰოლანდიელთა მწყობრად მდგარი დაცვის ეშელონი კამბიასომ ფეხის ერთი მოქნევით ისე დააბნია, მარცხენა ფლანგზე მარად მსწრაფმქროლავი ბრაზილიელი რობერტო კარლოსი საჯარიმოს მისადგომთან მარტოდმარტო აღმოჩნდა, თავისებურად დააქუხა და მეკარის დასახმარებლად ჩასული პაუვე ავტოგოლის მეტს ვერაფერს გამორჩა.

შვიდ წუთში ისევ კამბიასოს წამოწყებული კომბინაცია ხოსე მარია გუტიმ ლამაზი ქუსლურით გააგრძელა — ბურთი რობერტო კარლოსს დაუგორა, რომელმაც მარჯვენა ფეხით ცხრიანში ჩააჭედა ბურთი.

ამის შემდეგ მადრიდელები ოდნავ დაწყნარდნენ და „ფეიენოორდიც" ცოტა არ იყოს, გათამამდა. ეს გათამამება ჰოლანდიელთა მთავარმეგოლე პიერ ვან ჰოიდონკმა ჩვეული საჯარიმოთი გოლად აქცია, თუმც ოთხიოდ წუთში ზიდანის ფლანგური პასით, ფიგუმ საჯარიმოში გუტი მოძებნა, რომელმაც გაწოლილი თავურით საბოლოოდ დაასამარა როტერდამელთა ოცნება, „რეალის" მსგავსად პირველად ალემართათ სუპერთასი.

**ზურაბ რუზაძიშვილი**

### დანია

მე-6 ტური: ოლბორგი — კოპენჰაგენი 3:0; ბრონდბიუ — ესბიერგი 1:1; ფარუმი — ოდენსე 2:1; მიდტიულანდი — სილკებორგი 2:0; კოგე — ორჰუსი 2:0; ვიბორგი — აკადემისკი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| კოპენჰაგენი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:10 | 11 |
| ოდენსე | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 10 |
| ფარუმი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:11 | 9 |
| მიდტიულანდი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ესბიერგი | 6 | 2 | 2 | 2 | 14:14 | 8 |
| ორჰუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| ბრონდბიუ | 6 | 2 | 1 | 3 | 11:9 | 7 |
| სილკებორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| კოგე | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | 7 |
| ვიბორგი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:13 | 6 |
| აკადემისკი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | 5 |

### ფინეთი

22-ე ტური: ჰაკა — ინტერი 0:0; იარო — ალიანსი 3:2; კუოპიო — ჰამენლინა 1:0; ჯაზი — ლაჰტი 1:2; ტამპერე — მიუპა 0:1. ჰიკ — ვაასა წუხელ გვიან დამთავრდა (ის მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 21 | 14 | 3 | 4 | 34:16 | 45 |
| მიუპა | 22 | 12 | 7 | 3 | 43:20 | 43 |
| ჰაკა | 22 | 11 | 5 | 6 | 31:18 | 38 |
| ალიანსი | 22 | 10 | 4 | 8 | 35:36 | 34 |
| ინტერი | 22 | 8 | 8 | 6 | 28:17 | 32 |
| ტამპერე | 22 | 7 | 11 | 4 | 23:15 | 32 |
| ლაჰტი | 22 | 9 | 5 | 8 | 23:26 | 32 |
| იარო | 22 | 7 | 5 | 10 | 23:36 | 26 |
| კუოპიო | 22 | 6 | 6 | 10 | 26:30 | 24 |
| ჰამენლინა | 22 | 3 | 9 | 10 | 23:34 | 18 |
| ვაასა | 21 | 4 | 5 | 12 | 21:37 | 17 |
| ჯაზი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:42 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




გუშინდელი მარკა: ეს უნდა ნახო, რომ დაიჯერო!

# შეხედეთ რეალს და რონალდოს!

## მორატის არა ჯორდანოს არა არ არის

## კრესპომ რომს ბარბაროსები შეუსია




**შეგონება** ყმაწვილთათვის: თუ მომავალში ბიზნესმენობას აპირებთ, იცოდეთ, თქვენი „არა“, არასდროს იქნება ნამდვილი „არა“, ეს იქნება დროებითი კატეგორიული უარი, სანამ მყიდველი საქონელში თქვენთვის სასურველ ფასს არ შემოგთავაზებთ.

ნათქვამის დამტკიცება ყოველთვის მაგალითით სჯობს: „ინტერის“ ბიზნესმენმა პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ, „რეალს“ რონალდოს მიყიდვაზე, მოგეხსენებათ, ისეთი უარი განუცხადა, რომ მადრიდელებმა ოფიციალურად გაასავსავეს ხელები — მხარეებისთვის ერთმანეთის წინადადებები იმდენად მიუღებელია, თემას ამოწურულად მივიჩნევთო. ამას კიდევ არა უშავს, საკითხის მორალური მხარე იყო ძალიან საინტერესო. იქმნებოდა სრული შთაბეჭდილება, რომ მორატიმ ბრაზილიელი ფეხბურთელი დასაჯა: უნდა თუ არა, ერთი სეზონით „ინტერში“ დარჩენა მოუწევს — ქუხდა მორატი, რომელსაც ამ სასჯელის გასამართლებლად რონალდოსთვის მძიმე წლებში გაწეული ყოველმხრივი დახმარება მოჰქონდა. ლაპარაკობდნენ ბოდიშზე, რომელიც უმადურ ვარსკვლავს მილანელი ქომაგებისთვის უნდა მოეხადა. ერთი სიტყვით, ყველაფერი მართალი და გასაგები იყო, ევროპული სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს, უცბად რომ არ გარკვეულიყო: თურმე მორატის ქუხილი და „სადამსჯელო ოპერაცია“, მხოლოდ და მხოლოდ რონალდოსთვის ფასის აწევას ემსახურებოდა.

რ.დ.გ. — ხომ გახსოვთ, რასაც ნიშნავს? დიახ, რისი დამტკიცებაც გვინდოდა — მორატის კატეგორიული უარი, ვთქვათ, ჯორდანო ბრუნოს კატეგორიული უარისგან თვალშისაცემად განსხვავდება.

ეს ყველაფერი ხუმრობით, სერიოზულად კი... სერიოზულად „რეალს“ უნდა შევხედოთ! გასაგებია, რომ აქამდეც სერიოზულად ვუყურებდით, მაგრამ ამიერიდან მადრიდელების ხსენებაზე მხოლოდ უჰ-უჰ-უჰ უნდა ვიძახოთ: ფიგუ, ზიდანი, რაული, რობერტო კარლოსი, რონალდო...

–ერთი სიტყვით, ევროპის სუპერთასის მატჩის დღეს, მონტე კარლოში, „რეალისა“ და „ფეიენოორდის“ წევრთა გარდა, საფეხბურთო ევროპის დიდმოხელენი რომ ჩაბრძანდნენ (კერძოდ, G 14-ად წოდებული, მსხვილ კლუბთა გაერთიანების შეფები), მათ შორის მასიმო მორატიც ბრძანდებოდა. და, როგორც კი ბატონებმა მორატიმ და ფლორენტინო პერესმა („რეალის“ პრეზიდენტი) ერთმანეთი დაინახეს, ცალკე ოთახში განმარტოვდნენ, რათა კვლავ წამოეწყოთ რონალდოზე სჯა-ბაასი.

წამოიწყეს და ასე მოილაპარაკეს: ბრაზილიელი მადრიდში გადავიდოდა, 30 მილიონი ევრო — მილანში, რასაც მადრიდი-მილანის თვითმფრინავით ფერნანდო მორიენტესი ან სანტიაგო სოლარი მიჰყვებოდა, ხოლო საახალწლოდ კიდევ ერთი კაცი, დაახლოებით 10 მილიონის ფარგლებში. პირველად, მორატი, თითქოს ამბობდა, მორიენტესს სოლარი მირჩევნიაო, მაგრამ მერე სუპერთასის შეხვედრის ცქერისას, ყველამ შევნიშნეთ, რომ მადრიდელებს კოსტიუმში გამოწყობილი მორიენტესი ტრიბუნაზე დაესვათ. მატჩის შემდეგ, „რეალის“ კაპიტანმა ფერნანდო იერომ მორიენტესი ძალად გაიყვანა პოდიუმზე, გუნდთან ერთად ჯილდოს მისაღებად და ფოტოს გადასაღებად, ხოლო თავად ფეხბურთელს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა — ძალიან ჰგავდა მგზავრს.

გაირკვა: მორიენტესი მართლაც სამგზავროდ გამოეწყოთ, ოღონდ... მილანის ნაცვლად „ბარსელონაში“ უპირებდნენ გატყორცნას. ესე იგი, თავდამსხმელს „ინტერში“ გადააფორმებდნენ, „ინტერი“ კი თვალის დახამხამებაში მიჰყიდდა „ბარსას“.

და, აი, სწორედ აქ დამტკიცდა, რომ კაცობრიობა წინ მიდის: აბა, ძველ რომში გაყიდვის საგანს ვინმე გაუწევდა ანგარიშს? გაყიდდნენ და მორჩა! მორიენტესის მდუღარე ცრემლმა კი, როგორც ჩანს, გაჭრა და გარიგების დეტალები შეიცვალა — ამოქმედდა „ბ“ გეგმა, ანუ პერესმა მოლაპარაკების მაგიდასთან წარსულში ცნობილი რეალელი ფორვარდი ახლა კი სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო დასვა, ხოლო ვალდანომ სიტყვა მორიენტესი ხმარებიდან ამოიღო. ერთი სიტყვით, გამოჩნდა განახლებული ვარიანტი — 47 მილიონი ევრო.

მაგრამ „რეალს“ 47 მილიონის ფულად გაღება არ სურს. ამიტომ გავეცნოთ მორიგ ინფორმაციას, რომელიც სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა: „47-მილიონიანი კომბინაციის ნაწილის სტატუსით „რეალიდან“ „ინტერში“ შესაძლოა სტივ მაკმანამანი გადავიდეს. „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის განცხადებით, გარიგება მოიცავს 10 მილიონ ევროს (ფულად) და რომელიმე მადრიდელ ფეხბურთელს — სოლარის (ეს ხომ უკვე ვთქვით) ან მაკმანამანს.“

ახლა, აქ ნუ მოვყვებით ესპანური გაზეთების პირველი გვერდების აღწერას. გასაგებია, რომ ყველგან რონალდოს დიდი ფოტოა და მათ მინაწერები ამშვენებს: ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდი ვიყიდეთ; რონალდო მადრიდში მოფრინავს და ა.შ.

სამაგიეროდ, ვთქვათ, რომ ბრაზილიელის ჯანმრთელობაში ესპანეთის დედაქალაქს ეჭვი შეაქვს. და, თურმე ნუ იტყვით, „ბაჭიას“ ის, თავის, ცნობილი მუხლი კიდევ რომ ატკივდეს, მკურნალობის ხარჯი, ისევ მორატიმ უნდა გაიღოს — გაგიჟდება კაცი.

ახლა კი, „რეალი“ „რეალად“ და „ინტერს“ მივხედოთ — რონალდო, რომ გაასხვისა, სანაცვლო თავდამსხმელი არ უნდა? უნდა და იშოვნა კიდეც — არგენტინელი ერნან კრესპო „ლაციოდან“. კრესპო კი უდრის 26 მილიონს პლუს ბერნარდო კორადი. „ინტერში“ კრესპო ცხრა ნომერი იქნება (რონალდოს კვალი ნათელი) და კრისტიან ვიერის მხარდამხარ ითამაშებს. ეს ის კრესპოა, ორი წლის წინ 54 მილიონი დოლარი რომ ღირდა.




ერნან კრესპო
რონალდოს მემკვიდრეა

ხოლო რომი დაეცა! არა, ძველი რომი რომ დაეცა, იმას კი არ ვამბობთ, ახლანდელი რომის დაცემაზე მოგახსენებთ. შაბათ საღამოს გადარეულმა ქომაგებმა წაუბარბაროსეს — „ლაციოსა“ და „იუვენტუსის“ ამხანაგური მატჩის წინ და შემდეგ დაინგრა ოფისები, დაიწვა ქუჩებში თარს ბორბალზე დაყენებული მანქანები, გაჩნდა ხანძარი. საფეხბურთო ბიზნესმენებისთვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, იტალიის დედაქალაქმა 200 ათასი ევრო იზარალა. ამ სიგიჟეს ცუდად შეესწრო „იუვენტუსის“ სამი ქომაგი, რომელთაგან ორი დანით დაჭრეს — ერთი დღესაც საავადმყოფოშია.

მიზეზი: კრესპო „ინტერშიო“, ნესტა „მილანშიო“... მა, „ლაციოს“ რაღა?

შაბათს, „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის სახლს, პოლიციის თუ კარაბინიერების გაძლიერებული რაზმი იცავდა.

**ბაჩუნა ძიდია**

## მსოფლიოს ძვირფეხობა

| | | | |
|---|---|---|---|
| ზინედინ ზიდანი | 2001 | იუვენტუსი – რეალი | 64 400 000 |
| ლუიშ ფიგუ | 2001 | ბარსელონა – რეალი | 56 100 000 |
| ერნან კრესპო | 2000 | პარმა – ლაციო | 54 100 000 |
| კრისტიან ვიერი | 1999 | ლაციო – ინტერი | 50 000 000 |
| რიო ფერდინანდი | 2002 | ლიდსი – მანჩესტერ იუნაიტედი | 47 000 000 |
| რონალდო | 2002 | ინტერი – რეალი | 47 000 000 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | 2001 | პარმა – იუვენტუსი | 45 900 000 |
| გაისკა მენდიეტა | 2001 | ვალენსია – ლაციო | 41 000 000 |
| ხუან ვერონი | 2001 | ლაციო – მანჩესტერ იუნაიტედი | 39 500 000 |
| პაველ ნედვედი | 2001 | ლაციო – იუვენტუსი | 36 400 000 |
| ნიკოლა ანელკა | 1999 | არსენალი – რეალი | 35 700 000 |
| მარკ ოვერმარსი | 2000 | არსენალი – ბარსელონა | 35 500 000 |
| ლილიან ტურამი | 2001 | პარმა – იუვენტუსი | 35 400 000 |
| დენილსონი | 1997 | სან პაულუ – ბეტისი | 35 000 000 |
| მანუელ რუი კოშტა | 2001 | ფიორენტინა – მილანი | 34 900 000 |
| გაბრიელ ბატისტუტა | 2000 | ფიორენტინა – რომა | 33 800 000 |
| მარსიო ამოროზო | 1999 | უდინეზე – პარმა | 33 100 000 |
| ნიკოლა ანელკა | 2000 | რეალი – პსჟ | 31 200 000 |
| ანტონიო კასანო | 2001 | ბარი – რომა | 28 800 000 |
| კრისტიან ვიერი | 1998 | ატლეტიკო – ლაციო | 28 000 000 |

*თანხა მოცემულია აშშ დოლარებში*

# ალესანდრო მილანელი
## ნესტა ხელშეუხებელს წაეპოტინა


REUTERS

**26 წლის** მცველი ალესანდრო ნესტა „მილანის“ საკუთრებაა. რომის „ლაციოს“ ყოფილმა კაპიტანმა „შავ-წითლებს“ ბედი 2007 წლის ივნისამდე დაუკავშირა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

27 აგვისტო — მას შემდეგ, რაც „მილანმა“ თანაქალაქელ „ინტერთან“ წააგო დუელი ფაბიო კანავაროს გადასაბირებლად, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი უკვე შერამდენედ შეეხმიანა „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის, ნესტა დაგვითმეთო. თითქოს თანხაზეც შეთანხმდნენ, 35 მილიონი ევრო. გალიანის დასტური სილვიო ბერლუსკონიმაც მისცა. იტალიის პრემიერ-მინისტრი და ჯერაც „მილანის“ პრეზიდენტი ფინანსურ დახმარებას დაჰპირდა გალიანის, კრანიოტი კი ფიქრობდა.

30 აგვისტო, საზაფხულო ტრანსფერების წინადღე — ადრიანო გალიანი და სერჯო კრანიოტი რომის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში შეხვდნენ ერთმანეთს, ითათბირეს და 31 აგვისტოს გამთენიისას ხელი ხელს დაჰკრეს: 31 მილიონი ევროს საფასურად ალესანდრო ნესტა „მილანის“ ფეხბურთელი გახდა.

ახა, ნესტა „მილანში“ გადმოვიდაო და ატყდა ვაი-უშველებელი. „როსონერის“ ტიფოზები სიხარულისგან გადაირივნენ, „მალპენსას“ აეროპორტში 500-მდე ქომაგი შეეგება თავის ახალ კერპს.

ნესტას ოფიციალური პრეზენტაცია „მილანმა“ კვირას მოაწყო, კონტრაქტიც ხელმოწერილია და ყოფილმა ლაციოელმა სამედიცინო შემოწმებაც უკვე გაიარა. გასარკვევი დარჩა მხოლოდ ერთი, რომელი მუდმივნომრიანი მაისურით ითამაშებს ალესანდრო ნესტა „მილანში“? ჯერ ითქვა, ალესანდრო „მილანშიც“ 13 ნომრით ითამაშებს, იმ 13-ით, რომელიც ახლა ფრანგ იბრაჰიმ ბას აწერია ზურგზე და რომელიც შარშან ჩვენებურ კახა კალაძეს ჰქონდა, თუმცა... არაა გამორიცხული, ნესტამ 6-ნომრიანი „შავ-წითელი“ მაისურა ჩაიცვას, ეს ციფრი კი კლუბში დღემდე გაუქმებულად ითვლება დიდი მილანელის, ფრანკო ბარეზის საპატივცემულოდ. ეს ხმაური იმან გამოიწვია, რომ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ქალაქში და კლუბში თურმე იმას გაიძახიან, ახალი ბარეზი გვყავსო. ცხადია, ნესტა ბარეზი არაა და მის დონემდე ჯერ ბევრი უკლია. ამას თავად 26 წლის ფეხბურთელიც ამბობს: „ბუნებრივია, მსიამოვნებს, მაგრამ მე ალესანდრო ნესტა ვარ და ბარეზი ვერაფრით ვიქნები.“

პრეზენტაციის შემდეგ ახალგამომცხვარმა მილანელმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა: „ცხადია, ვიცოდი, „მილანს“ რომ სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ პარასკევს საღამოს შოკში ჩავვარდი. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, სერჯო კრანიოტიმ დამირეკა და შემატყობინა, ალესანდრო, ამიერიდან „მილანის“ ფეხბურთელი ხარო. გამიჭირდება რომის და „ლაციოს“ დატოვება, მაგრამ რას ვიზამ. მართლა მოხარული ვარ დიად გუნდში გადმოსვლით. ყველა, კლუბის ხელმძღვანელებიც და ტიფოზებიც, გულთბილად შემხვდნენ. ახლა „მილანისთვის“ ჩვეულად გავირჯები და ვეცდები, იმედი არავის გავუწბილო.“

ესეც ასე. „მილანში“ სატრანსფერო ციებ-ცხელება დასრულდა, შენაძენები კი მართლაც სოლიდურია: ტომასონი, ზეედორფი, შიმიჩი, დალა ბონა, ბორიელო, რივალდო და ნესტა.

ახლა კი ორი ცინცხალი ამბავიც. ალესანდრო ნესტას „მილანში“ მისვლამ კლუბიდან გუდა-ნაბადი აიკრევინა რუმინელ მცველ კოზმინ კონტრას. კონტრას, კვირა ღამით „ინტერთან“ ამხანაგურ საქველმოქმედო მატჩი რომ ითამაშა, უთხრეს, შენი თავი მადრიდის „ატლეტიკოშ“ გვთხოვა, 8 მილიონ ევროს დავყაბულდით, გმადლობთ გაწეული სამსახურისთვის და გზაც დაგვილოცნიაო.

ასე რომ, რუმინელი კონტრა გახდა „მილანის“ უკვე მეხუთე ყოფილი ფეხბურთელი, რომელმაც მადრიდული „ატლეტიკო“ გაამდიდრა. ალბერტინი-კოლოჩინი-ხავი მორენო-ხოსე მარის კვარტეტი კვინტეტად იქცა.

„მილანის“ კიდევ ერთმა მცველმა, ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა როკე ჟუნიორმა კი ოპერაცია გაიკეთა. მან ჩეხურ „ლიბერეცთან“, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში, მხარი დაიშავა. მერე, როგორც აღმოჩნდა, საოპერაციოც ყოფილა. მსოფლიოს ჩემპიონი სამკურნალოდ სამშობლოში დაბრუნდა, მილანში კი დეკემბრის ბოლოს დაბრუნება და კლუბსაც მაშინ შეუერთდება.

**გიორგი მუზაკიძე**

# სანამ ფანჯარას დახურავდნენ



REUTERS

*შაბათს, 31 აგვისტოს, ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, რომელიც იანვრამდე აღარ გაიღება.*

*შეგახსენებთ, რომ მთელი ზაფხული იმაზე ვწუწუნებდით, ხმაურიანი ტრანსფერები არ ყოფილა, რითაც ასე განებივრებული ვიყავით წინა ორ ზაფხულსო. ერთი, რიო ფერდინანდი გადავიდა „ლიდსიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ 29 მილიონ გირვანქად, ეს იყო და ეს.*

*ახლა კი აღმოჩნდა, რომ ევროპელი საფეხბურთო საქმოსნები სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს ელოდებოდნენ და ზედ ფანჯარის დახურვის წინ ბლომად მნიშვნელოვანი გადასვლები გაჩარხეს.*

*რა ხდებოდა ზაფხულის განმავლობაში სატრანსფერო ბაზარზე, ყოველდღიურად გაცნობებდით, აქ ზაფხულის ბოლო დღის ტრანსფერები ჩამოვთვალოთ.*

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ალესანდრო ნესტა | ლაციო (იტალია) | მილანი (იტალია) |
| რონალდო | ინტერი (იტალია) | რეალი (ესპანეთი) |
| ერნან კრესპო | ლაციო (იტალია) | ინტერი (იტალია) |
| ბერნარდო კორადი | ინტერი (იტალია) | ლაციო (იტალია) |
| მარკო დი ვაიო | პარმა (იტალია) | იუვენტუსი (იტალია) |
| რობი კინი | ლიდსი (ინგლისი) | ტოტენჰემი (ინგლისი) |
| ტორე ანდრე ფლო | რეინჯერსი (შოტლანდია) | სანდერლენდი (ინგლისი) |
| მარკუს სტიუარტი | იფსვიჩი (ინგლისი) | სანდერლენდი (ინგლისი) |
| რიკარდო ლოპესი | ვალიადოლიდი (ესპანეთი) | მანჩესტერი (ინგლისი) |
| იარი ლიტმანენი | ლივერპული (ინგლისი) | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ივან კამპო | რეალი (ესპანეთი) | ბოლტონი (ინგლისი) |
| რონი იონსენი | მანჩესტერი (ინგლისი) | ასტონ ვილა (ინგლისი) |
| ოივინდ ლეონარდსენი | ტოტენჰემი (ინგლისი) | ასტონ ვილა (ინგლისი) |
| ჯალმინია | დეპორტივო (ესპანეთი) | აუსტრია (ავსტრია) |
| ტედი ლუკიჩი | აიკ (საბერძნეთი) | ლიდსი (ინგლისი) |
| დმიტრი ანანკო | სპარტაკი (რუსეთი) | აიაჩო (საფრანგეთი) |
| მატეო ბრიგი | იუვენტუსი (იტალია) | პარმა (იტალია) |
| ადრიან მუტუ | ვერონა (იტალია) | პარმა (იტალია) |
| ადრიან ილიე | ვალენსია (ესპანეთი) | ალავესი (ესპანეთი) |
| ფრედი ბობიჩი | დორტმუნდი (გერმანია) | ჰანოვერ 96 (გერმანია) |
| კოზმინ კონტრა | მილანი (იტალია) | ატლეტიკო (ესპანეთი) |
| მარიო ჟარდელი | სპორტინგი (პორტუგალია) | პორტუგეზა (ბრაზილია) |
| ტიმ დე კლერი | აიაქსი (ჰოლანდია) | ალკმაარი (ჰოლანდია) |

# ბექჰემებმა ინგლისს შექსპირი გაახსენეს

**ლონდონის** „პორტლანდის“ ჰოსპიტლიდან გავრცელებულ ცნობას ახალშობილის შესახებ მთელ ბრიტანეთში ისეთი გამოხმაურება მოჰყვა იქაურ მედიაში. კაცს, რომელსაც საერთოდ არ სმენია დევიდ ბექჰემის ვინაობა და მით უმეტეს, მისი ცოლის, ვიქტორიას, ორსულობის ამბავი, თავიდან უცილობლად ეგონებოდა, ინგლისს ახალი ტახტის მემკვიდრე გაუჩნდაო. თუმც ისეთ კაცზე ლაპარაკს, დევიდ ბექჰემის ვინაობა ერთხელაც რომ არ სმენია, თავი დავანებოთ. იმათზე ვთქვათ, რომელთაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავზე წარმოდგენა აქვთ. ეს ხალხი რაღაცნაირად მოტყუებულიც აღმოჩნდა, რადგან როგორც კი ვიქტორია ადამსს ორსულობა და მუცელი დაეტყო, ყველა გაზეთი იმას წერდა, ბექჰემები გოგოს ელოდებიან და სახელიც შეურჩიესო — პაიჩიო.

ეს ვარაუდი არ გამართლდა ვიქტორიამ ვაჟი შობა, რომელსაც რომეო დაარქვეს.

უილიამ შექსპირის გმირის სახელი თანამედროვე ინგლისში არც ისე გავრცელებული ყოფილა. ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, ახლა ამ ქვეყანაში სულ 210 მოზარდია, ამ სახელს რომ ატარებსო, რაც 47-მილიონიანი ერისთვის, ალბათ, ცოტაა.

**ირაკლი მეკუა**



„სანის“ ჟურნალისტებმა ახალშობილი უკვე „მანჩესტერის“ ფეხბურთელად მონათლეს


# იყიდება



☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ „სულიკოსთან“

# ბერლინის დაცემა

## პორტუგალია

### I ლიგა. II ტური

**ბრაგა 1:0 ფერეირა**
1:0 კაშტანეირა (17)

**ბელენენსეში 2:0 აკადემიკა**
1:0 ნ. ფერნანდეში (25), 2:0 მარკუ პაულუ (90)

**გიმარაეში 3:2 ნასიონალი**
1:0 მენდეში (17), 1:1 როსადუ (33), 1:2 კუნია (65), 2:2, 3:2 რ. ალმეიდა (72, 82)

**ბეირა მარი 0:2 ბენფიკა**
0:1 ფუკსი (8), 0:2 სიმაო (90პ)

**ვარზიმი 1:0 მორეირენსე**
1:0 ფილიპე (52)

**ჟილ ვისენტე 0:1 სეტუბალი**
0:1 ჟორჟინიუ სოუზა (48)

**მარიტიმუ 2:0 ლეირია**
1:0 გაუშუ გომეში (11), 2:0 ჟაკეში (50)

**სპორტინგი 2:1 სანტა კლარა**
1:0 ბეტუ სევერუ (43), 1:1 ჟოაუ პედრუ (52პ), 2:1 ბარბოსა (61პ)

**ბოავიშტა — პორტუ**
წვიმის გამო ჩაიშალა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| გიმარაეში | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| სეტუბალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბრაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ფერეირა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჟილ ვისენტე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ბეირა მარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მარიტიმუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვარზიმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბოავიშტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სანტა კლარა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ნასიონალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| მორეირენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ლეირია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| აკადემიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### II ლიგა. II ტური

მე-2 ტური: ფარენსე — პორტიმონენსე 0:0; კოვილია — ოვარენსე 3:0; ავეში — რიუ ავე 3:1; ალვერკა — მარკუ 0:0; ლამაში — მაფრა 2:1; შავეში — პენაფიელი 0:1; სალგეირუში — ფელგეირაში 2:0; ამადორა — მაია 3:0. ნაველი — ლეცა გადაიდო

## ბელგია

### I დივიზიონი. IV ტური

**ანდერლეხტი 2:2 გენტი**
0:1 კალამბაკისი (8), 1:1, 2:1 სეილი (22, 44), 2:2 ვანჩო (63)

**შარლერუა 1:1 ანტვერპენი**
0:1 გოოტსი (42), 1:1 ემამიფარი (79)

**ბრიუგე 4:0 მეხელენი**
1:0 სიმონსი (14პ), 2:0 მენდოსა (40), 3:0 სტოიკა (82), 4:0 სმოლდერსი (88)

**ბევერსხოტი 3:0 ლომელი**
1:0 კაპა (39), 2:0 სნელდერსი (70), 3:0 კუანაშე (86)

**ლიერსი 0:1 ვესტერლო**
0:1 ვლამინკი (81)

**ლოკერენი 1:1 ლუვიე**
0:1 კენმოგნე (12), 1:1 კიმოტო (80)

**მონსი 1:0 სტანდარდი**
1:0 რუსელი (80)

**სინტ ტრუიდენი 6:1 ბევერენი**
1:0 ვანგეელი (22), 2:0 ვრანკენი (29), 3:0, 4:0 ბოოგენი (36პ, 61პ), 5:0 მბონაბუკა (63), 6:0 ბოოგენი (69), 6:1 ნე (88)

**მუსკრონი 3:3 გენკი**
0:1 დაერდენი (40), 0:2 დაგანო (51), 1:2 დოუგარდენი (60), 1:3 სონკი (61), 2:3 კლაერისი (88), 3:3 დე ფლიშაუერი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| ანდერლეხტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| სენტ ტრუიდენი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 7 |
| მუსკრონი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ლიერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლოკერენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| მონსი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | 7 |
| ბეერსხოტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ანტვერპენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| გენტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| გენკი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:8 | 4 |
| ლომელი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| მეხელენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:8 | 4 |
| ვესტერლო | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| ბევერენი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:11 | 3 |
| შარლერუა | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| ლუვიე | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| სტანდარდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |

### II დივიზიონი

მე-3 ტური: ჰატრო — ვირტონი 0:0; სერკლი — გეელი 2:1; ინგელმუნსტერი — დენდერლეუ 3:1; რონსი — ეუპენი 2:2; ვარეგემი — დესელი 1:1; ჰამე — დაინცე 2:1; სტრომბეკი — ჰეუსდენი 1:2; ვიზეტი — ლიერსი 3:1. ტიენენი — რუზელარე წვიმის გამო გაიმართა

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. III ტური

**ბრედა 0:0 ნაიმეგენი**

**ზვოლე 1:0 ვიტესი**
1:0 როელოფსენი (58)

**როდა 1:0 ტილბურგი**
1:0 ანასტასიუ (88)

**ვალვაიკი 3:2 ტვენტე**
1:0 მულენდორფი (41), 1:1 კაირო (43), 2:1 მულენდორფი (78), 2:2 კოვენსი (84), 3:2 მუტირი (88)

**გრონინგენი 1:3 აიაქსი**
0:1, 0:2 ვან დერ ვაარტი (13, 40), 0:3 ვან დერ მეიდე (48), 1:3 უგო (76)

**როზენდალი 3:0 ჰერენვენი**
1:0 ვოსი (2), 2:0 ვუტერი (38), 3:0 სილა (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| ვალვაიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:5 | 9 |
| პსვ | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| როდა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ზვოლე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| როზენდალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ტილბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ნაიმეგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| გრააფსხაპი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბრედა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ვიტესი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ალკმაარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| უტრეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ექსელსიორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტვენტე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| გრონინგენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### II დივიზიონი

მე-3 ტური: კამბური — ვენლო 4:1; დენ ჰააგი — ეინდჰოვენი 1:0; ემენი — იგლსი 4:3; ვოლენდამი — სპარტა 3:2; ჰელმონდი — ვეენდამი 0:2; მაასტრიხტი — სიტარდი 0:0; ტელსტარი — დორდრეხტი 2:0; ოსი — ჰაარლემი 2:0; ჰერაკლესი — დენ ბოსხი 1:4

## შვეიცარია

### A ჯგუფი. X ტური

**აარაუ 1:2 ლუცერნი**
1:0 დე ნაპოლი (2), 1:1 ალექსანდრე (39), 1:2 მუფი (90)
აარაუ: ბენიტო, პოგატეცი, პეიჯი, სკრიპჩენკო, პრევიტალი (მ. დიარა 84), ჰს. დიოპი (ოკპალა 61), ბიულერი (მულერი 80), სეონე, დეგენი, დე ნაპოლი, შასო
ლევან ხომერიკი სარეზერვო გუნდშია
ლუცერნი: ბილფინგერი, ო. მარინი, როტა, შვეგლერი, მალაკარნე, ალექსანდრე, არუჯო (ნევზეტი 90), პ. კოხი (მოფერი 68), მ. მაიერი, ჩადელაშვილი, მუფი
მსაჯი: ბერტოლინი
4 300 მაყურებელი

**დელემონი 6:2 სენტ გალენი**
0:1 განე (24), 1:1 ზ. სელიმი (26), 2:1, 3:1 თიონგო (31, 63), 3:2 ბარნეტა (64), 4:2 ვერნიე (83), 5:2 კაზასნოვასი (90), 6:2 თიონგო (90)

**გრასჰოპერი 2:3 ბაზელი**
1:0 ბარიხო (8), 1:1 კანტალუპი (22), 2:1 წუნიესი (34), 2:2 ხიმენესი (45), 2:3 მ. იაკინი (62)

**ქსამაქსი 2:1 სერვეტი**
1:0 რეი (48), 1:1 ა. ფრეი (65), 2:1 ლეანდრო (71)

**ვილი 1:5 თუნი**
0:1 რამა (2), 0:2 აზიავონუ (35), 1:2 ბამბა (45), 1:3 რენფერი (73), 1:4 რამა (76), 1:5 აზიავონი (82)

**იანგ ბოისი 2:1 ციურიხი**
1:0 ბერიშა (27), 1:1 ოლდრინე (30), 2:1 შაპუიზა (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 10 | 8 | 0 | 2 | 30:12 | 24 |
| ბაზელი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:14 | 18 |
| თუნი | 10 | 5 | 0 | 5 | 20:18 | 15 |
| ციურიხი | 10 | 5 | 0 | 5 | 16:16 | 15 |
| იანგ ბოისი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:17 | 15 |
| სერვეტი | 10 | 4 | 1 | 5 | 18:16 | 13 |
| ვილი | 10 | 3 | 4 | 3 | 17:19 | 13 |
| დელემონი | 10 | 4 | 0 | 6 | 14:16 | 12 |
| სენტ გალენი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:17 | 12 |
| ქსამაქსი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:16 | 12 |
| ლუცერნი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:19 | 10 |
| აარაუ | 10 | 2 | 1 | 7 | 10:20 | 7 |

„ლუცერნს“ დაკლებული აქვს 4 ქულა

### B ჯგუფი

მე-10 ტური: ბადენი — ვინტერთური 1:1; კონკორდია — ბელინცონა 1:2; კრიენსი — ვადუცი 2:3; ლუგანო — ლოზანა 0:1; სიონი — შაფჰაუზენი 5:1; ივერდონი — ვოლენი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 22 |
| სიონი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:12 | 19 |
| ლოზანა | 10 | 6 | 0 | 4 | 14:14 | 18 |
| ივერდონი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:9 | 17 |
| კრიენსი | 10 | 4 | 4 | 2 | 27:17 | 16 |
| ბელინცონა | 10 | 4 | 3 | 3 | 18:13 | 15 |
| შაფჰაუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:20 | 15 |
| ვადუცი | 10 | 3 | 4 | 3 | 16:17 | 13 |
| ვინტერთური | 10 | 2 | 4 | 4 | 12:16 | 10 |
| ვოლენი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:22 | 8 |
| ბადენი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:19 | 6 |
| კონკორდია | 10 | 1 | 3 | 6 | 11:23 | 6 |

## გერმანია

### თასის I ეტაპი

პადერბორნი — შტუტგარტი 1:4; აუე — ბოხუმი 1:3; შონბერგი — ჰამბურგი 0:6; აალენი — ჰანოვერი 2:3დ.დ. (2:2); კონკორდია — დორტმუნდი 0:3; ტრიერი — ნიურნბერგი 0:2; ვერდერი (II) — ბაიერნი 0:3; აიზენჰუტენშტადტი — ვერდერი 0:1; ბურგჰაუზენი — კოტბუსი 0:2; ვოლფსბურგი — კიოლნი 1:3; რეგენსბურგი — ალენი 1:2; ოფენბახი — კარლსრუე 3:1დ.დ. (1:1); ბალინგენი — ალემანია 1:0; ჰალეშერი — ფრაიბურგი 1:3; ბაიერნი (II) — შალკე 1:2; ლიუბეკი — დუისბურგი 2:3დ.დ. (2:2); ბრაუნშვაიგი — როიტლინგენი 1:2; ტენის ბორუსია — ზანქტ პაული 1:2; ჰოფენჰაიმი — ფიურტი 4:1; შვაინფურტი — უნიონი 1:2დ.დ. (1:1); ზაარბრიუკენი — ვალდჰოფი 1:1დ.დ. (პენ. 3:4, 1:1); უნტერჰახინგი — მაინცი 1:1დ.დ. (პენ. 4:2, 1:1); ერფურტი — აინტრახტი 2:3დ.დ. (2:2); ალემანია (II) — მიუნხენი 0:7; ზაარბრიუკენი (II) — არმინია 0:5; კილი — ჰერტა 1:1დ.დ. (პენ. 3:0, 1:1); ზიგენი — ობერჰაუზენი 0:1დ.დ. (0:0); ჰალომბა — კაიზერსლაუტერნი 0:5; ბაბელსბერგი — მიონხენგლადბახი 0:1; ზალმროჰრი — ვოლფსბურგი 0:2; მაინცი (II) — ჰანზა 0:2; ესენი — ლევერკუზენი 0:1



ესენი — ლევერკუზენი. მეკარე ფრანკ იურიჩმა მასპინძელ რალფ ვებერს გატანა არ დაანება

**თასის** გათამაშების პირველ ეტაპზე ძალიან ბევრი გუნდი თამაშობს. აქედან ბევრს სამოყვარულო სტატუსი აქვს და მათ შემადგენლობაში მეხანძრეები ანდაც პურის მცხობელები ირთობენ თამაშით თავს.

ჰოლშტაინის „კილს“ ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენი მეხანძრე ჰყავს შემადგენლობაში. მას კი წყალი არ გაუვა, რომ მესამე ლიგის ბინადარმა გუნდმა ბერლინის „ჰერტა“ გააგდო გათამაშებიდან. მატჩის ძირითადი დრო, რომელსაც თავიდან მასპინძელი „კილი“ იგებდა, ფრედ 1:1 დასრულდა, ისევე როგორც დამატებული ორი ტაიმი, ხოლო პენალტების სერია რეგიონალლიგელებმა უკეთ შეასრულეს.

ქებათა ქება „კილის“ მეკარე მანუელ ბრაილს, რომელმაც ორი პენალტის აღება მოახერხა, ერთხელ კი ბერლინელებმა ძელს გაარტყეს. „კილმა“ პენალტებში 3:0 მოიგო. ამრიგად „ჰერტა“ აღმოჩნდა ერთადერთი ბუნდესლიგური კლუბი, რომელიც გათამაშებას გამოეთიშა. სხვები მომდევნო ეტაპზე უპრობლემოდ გავიდნენ.

**ნიკა შუბლაძე**

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-6 ტური: ჰამბურგი (II) — მიუნსტერი 3:1; ფერლი — ვატენშაიდი 1:1; ოსნაბრიუკი — ოლდენბურგი 1:0; დრეზდენი — დინამო 0:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-8 ტური: ნოიკირხენი — ელვერსბერგი 4:1

## ამხანაგური მატჩები

**ლაციო 2:2 იუვენტუსი**
1:0 ფიორე (4), 2:0 ლოპესი (8), 2:1 მორიენტი (39), 2:2 ნედვედი (70)
ლაციო: პერუცი (მარკეჯანი 61), ოდო (პანკარო 46), სტამი (მიხაილოვიჩი 57), ფ. კუტუ (ნეგრო 46), სორინი (ფავალი 46), ფიორე, სიმეონე, ლივერანი (ჯანიკედა 46), კ. მანფრედინი (დ. სტანკოვიჩი 46; სუზარი 84), კ. ლოპესი, ს. ინძაგი (კასტრომანი 70)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
იუვენტუსი: ბუფონი (კიმენტი 34), ტურამი, იულიანო (ფერზი 68), ფერარა (მონტერო 46), მორიენტი (ბირინდელი 46), კამორანეზი (პარო 79), ტაკინარდი, ბაიოკო (დავიდსი 61), ნედვედი, დელ პიერო, ზალაიეტა (კ. ძენონი 61)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: სიმეონე, ლივერანი, ჯანიკედა
მსაჯი: კოლინა
40 000 მაყურებელი

**მილანი 1:0 ინტერი**
1:0 ტომასონი (69)
მილანი: დიდა (ფიორი 46), კონტრა (აუბამეიანგი 78), ლაურსენი (კალაძე 46), მალდინი (კოსტაკურტა 68), პელეგრი (მიმიჩი 68), ბროკი (ბა 46), ამბროზინი (გატუზო 81), დალა ბონა (ბორიელო 46), სერგინიო (ზეედორფი 46), რივალდო (რუი კოშტა 68), ბორიელო (ტომასონი 46)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ინტერი: ტოლდო (მორო 68), ვივასი (კორდობა 46), ადანი (ფ. კანავარო 46), სორონდო (მატერაცი 46), პასკუალე (კოკო 46), ს. კონსეისაუ (დი ბიაჯო 46), ალმეიდა, დალმა (ზენტი 46), გულიელმინპიეტრო (ს. ძანეტი 46), რეკობა (მორეო 46), ვიერი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
მსაჯი: ბოლონინო
43 716 მაყურებელი

**ატალანტა 3:1 რომა**
1:0 დონი (43), 1:1 მონტელა (8), 2:1 ფოლიო (9), 3:1 ინაჩიო პია (50)
ატალანტა: ტაიბი, ფოლიო (რინალდი 83), ძაური, სალა, ბელინი, გაუტიერი (დაბო 62), დძენონი, ბერეტა (ბრევარიო 81), დონი (რუსტიკო 76), როსინი (ბიანკი 76), ინაჩიო პია (ლიოლიდისი 76)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
რომა: ანტონიოლი (პელიცოლი 46), დელასი (კუფრე 46), სამუელი, პანუჩი (გუზერი 72), სარტორი, ემერსონი, გვარდიოლა (გიგუ 62), ლიმა (ტომაზი 46), კანდელა (ალდაირი 62), მონტელა (ბომბარდინი 72), კასანო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფოლიო
მსაჯი: ტრეფოლონი
8 000 მაყურებელი

**ინდოეთი 0:0 იამაიკა**
**გამბია 1:0 გვინეა**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის IX შესარჩევი ჯგუფი

7 სექტემბერი
**აზერბაიჯანი — იტალია**

### იტალია

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);

*მცველები:* ფაბიო კანავარო (ინტერი), მარკო მატერაცი (ინტერი), მარკ იულიანო (იუვენტუსი), ფრანჩესკო კოკო (ინტერი), ალესანდრო ნესტა (მილანი), დანიელე ადანი (ინტერი), კრისტიან პანუჩი (რომა), მასიმო ოდო (ლაციო);

*ნახევარმცველები:* დამიანო ტომაზი (რომა), ჯენარო გატუზო (მილანი), კრისტიანო დონი (ატალანტა), მასიმო ამბროზინი (მილანი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანდრეა პირლო (მილანი);

*თავდამსხმელები:* კრისტიან ვიერი (ინტერი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), მარკო დი ვაიო (იუვენტუსი), ვინჩენცო მონტელა (რომა)


# იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული
როიალი „ბეხშტეინი“,
ნახევრადსაკონცერტო,
მე-19 საუკუნის, დამზადებულია
შვეიცარიით.
ფასი შეთანხმებით



**ტელ: 22-23-15**


## შვედეთი

მე-18 ტური: იურგორდენი — ლანდსკრონა 1:0; ჰელსინგბორგი — სუნდსვალი 5:2; ელფსბორგი — იორებრო 3:0. ჰამარბი — აიკ, ნორჩიოპინგი — გოტებორგი, კალმარი — მალმიო და იორგრიტე — ჰალმსტადი წვიმის გამო ჩაიშალა (იხ. მეორე გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 17 | 10 | 2 | 5 | 37:24 | 32 |
| იორგრიტე | 17 | 8 | 8 | 1 | 33:23 | 32 |
| იურგორდენი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:23 | 31 |
| ლანდსკრონა | 18 | 8 | 4 | 6 | 35:26 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 7 | 5 | 6 | 28:28 | 26 |
| იორებრო | 18 | 7 | 5 | 6 | 22:26 | 26 |
| სუნდსვალი | 18 | 5 | 8 | 5 | 20:22 | 23 |
| ელფსბორგი | 18 | 6 | 5 | 7 | 20:23 | 23 |
| ჰამარბი | 17 | 5 | 6 | 6 | 30:29 | 21 |
| აიკ | 17 | 4 | 8 | 5 | 23:26 | 20 |
| გოტებორგი | 17 | 6 | 2 | 9 | 16:24 | 20 |
| ჰალმსტადი | 17 | 3 | 8 | 6 | 18:21 | 17 |
| ნორჩიოპინგი | 17 | 3 | 6 | 8 | 20:23 | 15 |
| კალმარი | 17 | 3 | 5 | 9 | 11:25 | 14 |

## ავსტრია

მე-8 ტური: ბრეგენცი — კერნტენი 2:1; რაპიდი — ზალცბურგი 2:2; რიდი — გრაცერი 1:0; შტურმი — პაშინგი 1:3; ადმირა — ავსტრია 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 8 | 6 | 2 | 0 | 19:3 | 20 |
| პაშინგი | 8 | 6 | 1 | 1 | 12:2 | 19 |
| რაპიდი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:6 | 15 |
| შტურმი | 8 | 4 | 0 | 4 | 12:12 | 12 |
| რიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:10 | 10 |
| კერნტენი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| ბრეგენცი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 7 |
| ადმირა | 8 | 2 | 1 | 5 | 5:16 | 7 |
| გრაცერი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:12 | 6 |
| ზალცბურგი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:13 | 5 |

**WE ARE THE WORLDS!**
მსოფლიოს ჩემპიონატი, ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

# ინდიანაპოლისი პანქისი არ არის: რუსები ვერ ყრიან

## A ჯგუფი იუგოსლავია ● ესპანეთი ● კანადა ● ანგოლა


REUTERS ინდიანაპოლისიდან

პაუ გასოლმა ესპანეთი, იუგოსლავია იმსხვერპლა

— 30 ივნისი —

**ანგოლა 84:74 კანადა**
**ანგოლა:** ლუტონდა (22), მონტეირო (14), მუზადი (12)
**კანადა:** ბარეტი (20), ჯობიტი (18), მიქსი (13)

**ესპანეთი 71:69 იუგოსლავია**
**ესპანეთი:** გასოლი (25), ნავარო (13), გარბახოსა (11)
**იუგოსლავია:** სტოიაკოვიჩი (16), ბოდიროგა (16)

— 31 ივნისი —

**ესპანეთი 88:55 ანგოლა**
**ესპანეთი:** ფ. რეიესი (19 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (16)
**ანგოლა:** გომესი (24), ლუტონდა (12)

**იუგოსლავია 87:71 კანადა**
**იუგოსლავია:** სტოიაკოვიჩი (23), ბოდიროგა (12)
**კანადა:** ბარეტი (18), მიქსი (18)

ანგოლის ჯგუფიდან გასვლა მეტი მოულოდნელობაა, ვიდრე იუგოსლავიის პირველზე ვერგასვლა და ამიტომ ჯერ აფრიკელებზე ვთქვათ: შავი კონტინენტისთვის გამოყოფილ სამსოფლიოჩემპიონატო საგზურს ანგოლელები თითქმის ყოველთვის ეუფლებოდნენ, მაგრამ მათ შემდგომ წინსვლაზე რა მოგახსენოთ, ჯგუფიდან ცხვირს ვინ გააყოფინებდა. ინდიანაპოლისი კი მათთვის ისტორიული ადგილი გამოდგა: აფრიკის ჩემპიონებმა პირველად გააღწიეს მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე და ამას კანადელთა უჯიგრობას უნდა უმადლოდნენ.

ნბა-ელმა კანადელებმა რომ ნაკრებს უგანეს, არაერთხელ გვითქვამს, თუმც „ნეკერჩხლის ფოთლებს" ეგონათ, რომ „უდეზერტირებოდაც" გააღწევდნენ შემდეგ ეტაპზე, მაგრამ... აფრიკელებმა იგნოსეს ჩრდილოელთა სისუსტე და ბოლომდე მიაწვნენ. იღბალმაც არ უმუხთლათ, 13 სამქულიანი ჩააგდეს და კანადას იმ დღეს ესპანელთაგან ძლევით გამძვინვარებულ იუგოსლავიელთა დამარცხება დაუტოვეს შანსად, რაც ფანტასტიკის სფერო იყო და არც მომხდარა.

ამერიკელებთან ერთად იუგოსლავიელთა მთავარფავორიტობის მითი პაუ გასოლმა დაამსხვრია თავის თანაგუნდელებთან ერთად, რომელთაგან პირველ რიგში ხუან კარლოს ნავარო უნდა ვახსენოთ, ვინც პასს არ უგვიანებდა ზორბა სლავების ალყაში მოქცეულ ამჟამად ყველაზე სახელიან ესპანელს. და მაინც, დიდი შანსი იყო, მატჩის გმირი გასოლი ანტიგმირად ქცეულიყო: საფინალო სირენამდე წამებით ადრე მისი გუნდი 2 ქულას იგებდა და პაუმ 2 საჯარიმოააცილა, მაგრამ დეიან ბოდიროგაც გადამწყვეტი სროლისას შეცდა.

ლოგიკას რომ მივყვეთ, ამერიკელებს ესპანელთა სახით ახალი კონკურენტი გამოუჩნდათ, თუმც ვინ იცის...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | + 66 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | + 64 | 5 |
| ანგოლა | 3 | 1 | 2 | - 73 | 4 |
| კანადა | 3 | 0 | 3 | - 57 | 3 |

## B ჯგუფი თურქეთი ● ბრაზილია ● პუერტო რიკო ● ლიბანი


REUTERS ინდიანაპოლისიდან

მირსად თურქჩანის თურქეთი კვლავაც განიგმირა, ამჯერად ბრაზილიელთა ხელით

— 30 ივნისი —

**პუერტო რიკო 99:77 ლიბანი**
**პუერტო რიკო:** აიუსო (37), დოლმაუ(15), ორტისი (11)
**ლიბანი:** ბარდუილი (19), ვოგელი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**ბრაზილია 83:86 თურქეთი**
**ბრაზილია:** მაჩადო (30), კლაუდიო (19), ვარეჟაო (11)
**თურქეთი:** თურქოღლუ (25), თურქჩანი (22)

— 31 ივნისი —

**ბრაზილია 90:86 პუერტო რიკო**
**ბრაზილია:** მაჩადო (23), ვარეჟაო (18)
**პუერტო რიკო:** აიუსო (31), ორტისი (21)

**თურქეთი 107:80 ლიბანი**
**თურქეთი:** ოქური (27), ქუთლუაი (18), ერდენაი (16)
**ლიბანი:** ელ ხატიბი (28), ბარდუილი (12)

ეს იყო „სიკვდილის ჯგუფი", სადაც ყველა მატჩის ბედი (ცხადია, იმათ გარდა, რომლებშიც ლიბანი მონაწილეობდა) ბოლო წუთზე გადაწყდა. ბრაზილია, პუერტო რიკო, თურქეთი — ამ გუნდების პაექრობამ მსოფლიოს ჩემპიონატს ხიბლიც შესძინა და ხათაბალაც: კრივის ქომაგიც გაახარებდნენ, ყველაზე დრამატული, თურქეთი — ბრაზილია რომ გნახათ. დასრულებამდე წუთით ადრე კალათბურთელებმა საქმეში მუშტები ჩართეს და თამაში კარგა ხნით შეწყდა, თუმც დისკვალიფიკაცია არავისთვის მიუციათ.

თურქები აშკარად ყრაობდნენ. წინა დღეს პუერტორიკოელებთან ბოლო წუთებზე განცდილი მარცხი ჯერაც ვერ მოენელებინათ და ახლა იგივე ბრაზილიელებისგანაც ემუქრებოდათ. აბა, როგორია, ბოლო მეოთხედში 16 ქულას იგებდე და მერე წაგებისკენ მიგდიოდეს საქმე. თურქის მუშტმა ვერ შეაშინა მარსელო მაჩადო, ვისი გამარჯვების სამქულიანიც საფინალო სირენის თანხლებით ჩაეშვა თურქულ კალათში. „ნაკრებში ასეთი ბურთი აქამდე არასდროს ჩამიგდია, კლუბში კი არაერთხელ მომხდარა. ალბათ, ამიტომაც მენდნენ მწვრთნელები და მიხარია, რომ იმედები გავუმართლე" — ხარობდა მატჩის გმირი.

ბოლო ტურში ბრაზილია პუერტო რიკოს ჯგუფის გამარჯვებულის გასარკვევად შეხვდა და იმავ მაჩადოს წყალობით მოიგო. თურქეთმა კი ჯავრი ლიბანზე იყარა, თუმც მხოლოდ 27-ქულიანი გამარჯვება იკმარა, რადგან წინ მეორე ჯგუფური ეტაპია და ოსმალონი ხმამაღალი სიტყვის თქმას ალბათ იქ აპირებენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | + 35 | 6 |
| პუერტო რიკო | 3 | 2 | 1 | + 21 | 5 |
| თურქეთი | 3 | 1 | 2 | + 22 | 4 |
| ლიბანი | 3 | 0 | 3 | - 78 | 3 |

**ირაკლი ბერტაია**

## C ჯგუფი აშშ ● ჩინეთი ● გერმანია ● ალჟირი


REUTERS ინდიანაპოლისიდან

ჩინელებიც „გათავხედდნენ", ამერიკელებისადმი მოკრძალება მათი დამარცხების სურვილით შეცვალეს

— 30 აგვისტო —

**აშშ 104:87 გერმანია**
**აშშ:** პირსი (26), ფინლი (21), ბ. დევისი (13)
**გერმანია:** ნოვიცკი (34 ქულა, 10 მოხსნა), ოკულაია (19)

**ჩინეთი 96:82 ალჟირი**
**ჩინეთი:** იაო (38 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება), ლი (14)
**ალჟირი:** დუბალი (24), ბოულაია (19), ბუჰედირი (14)

— 31 აგვისტო —

**აშშ 84:65 ჩინეთი**
**აშშ:** პირსი (19), მარიონი (15), ფინლი (14)
**ჩინეთი:** მენკე (19), ვეიდონგი (14), ფანგუნი

**გერმანია 102:70 ალჟირი**
**გერმანია:** ნოვიცკი (24), პეშიჩი (14), ოკულაია (13)
**ალჟირი:** დუბალი (16), ოუალი (12)

გარე საკალათბურთო სამყარო კიდევ უფრო ახლოს წამოეპარა უძლეველ ამერიკას. ამერიკელებს თითქოს თავი ქუდში უნდა ჰქონდეთ, 1992 წლის აქეთ, ანუ მას შემდეგ, რაც გარე მეტოქეებზე ნბა-ელი მგლები მიუშვეს, თამაში არ წაუგიათ. ახლაც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპი წაუგებლად გაიარეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს იყო მუშა გამარჯვებები, რომელთა ცქერისას თვალს აღარ ხვდება იმ ჯადოქრების ლალი ფარფატი, ათი თავით რომ აღემატებიან მეტოქეს.

მსოფლიოს კალათბურთი უფრო ახლოს მიჩოჩდა ამერიკასთან. ჩინეთის საშუალოზე საშუალო ნაკრებმა პირველი მეოთხედი 28:16 მოუგო ამერიკელებს და თავისებური რეკორდი დაამყარა — ნბა-ელები მატჩის მსვლელობისას 12 ქულით პირველად ჩამორჩნენ ვიღაც სხვებს. მართალია, მასპინძლებმა მეორე მეოთხედშივე წაართვეს მეტოქეს უპირატესობა და დაგეგმილ გამარჯვებასაც იოლად მიაღწიეს, მაგრამ ამით მათი უძლეველობის მითში გაჩენილი კიდევ ერთი ბზარი ვერ დამალეს.

და სანამ ამერიკელები ჩინელებს გადაეყრებოდნენ, გერმანელებთან წამუშავებამ მოუწიათ. ევროპელთა სწორუპოვარ მექულე დირკ ნოვიცკის თავიდანვე წაუვიდა სროლები და გერმანელთა არცთუ მრისხანე გუნდი პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ეჭიდავებოდა ნბა-ელებს. ამერიკელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელს გადაკეტეს ნოვიცკის ხელებიდან მნქეფარე და მათ კალათში გამდინარე ქულების წყარო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | + 86 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | + 27 | 5 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 2 | - 17 | 4 |
| ალჟირი | 3 | 0 | 3 | - 94 | 3 |

## D ჯგუფი არგენტინა ● რუსეთი ● ახ. ზელანდია ● ვენესუელა

— 29 აგვისტო —

**არგენტინა 100:81 რუსეთი**
**არგენტინა:** სკონოჩინი (26), ჯინობილი (21)
**რუსეთი:** კირილენკო (19), სავრასენკო (17 ქულა, 11 მოხსნა)

**ახალი ზელანდია 98:85 ვენესუელა**
**ახალი ზელანდია:** პენი (20), ჯონსი (20)
**ვენესუელა:** დიასი (26), ტორესი (22), ერერა (18)

— 30 აგვისტო —

**არგენტინა 112:85 ახალი ზელანდია**
**არგენტინა:** ჯინობილი (24), ნოჩიონი (17), პალადინო (13)
**ახალი ზელანდია:** კემერონი (21), პენი (13)

**რუსეთი 86:69 ვენესუელა**
**რუსეთი:** კირილენკო (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ჩიკალკინი (15), ზ. პაშუტინი (13)
**ვენესუელა:** დიასი (27), ლუგო (18 ქულა, 16 მოხსნა), ტორესი (11)

„ყველაფერს კარგად ვაცნობიერებ, სამწუხაროდ, ჩვენ ამერიკელთა დამარცხების ძალიან მცირე შანსი გვაქვს" — ამის მთქმელი, რუსეთის ნაკრების თავკაცი სტანისლავ ერიომინი გვარიანად შეცდა. თუმც ამერიკა ათი წლის წინანდელი „დრიმ თიმი" ვერაა, მაგრამ ძაბუნ რუსეთს მისი ძლევის შანსის ნატამალიც არ გააჩნია.

რის ამერიკა, რუსებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრილ ახალ ზელანდიას ვერ მოუგეს და განადგურდნენ არგენტინასთან. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს აუტსაიდერ ვენესუელასთან გამარჯვებაღა დარჩათ ნუგეშად, რამაც მათ ჯგუფში მესამე ადგილი და მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური მოუტანა, სადაც მათი პირველი შემხვედრი ამერიკაა. თუ რუსებმა ჯგუფის სხვა მეტოქეებთან, ჩინელებთან და გერმანელებთანაც ძველებურად უჯიგროდ იბურთავეს, მეოთხედფინალს ვერ ნახავენ, რაც მათ კატასტროფად უჩანთ. ამერიკელთა ძლევისა რა მოგახსენოთ და, ამის შანსი კი აქვთ ერიომინის შეგირდებს.

რუსთა უძლურება განსაკუთრებით არგენტინასთან შეხვედრაში გამოჩნდა. აქ მათ მხოლოდ ერთი მეოთხედი გაძლეს, შემდეგ კი ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს მეტოქეს, რომელსაც მათგან განსხვავებით გუნდი ჰქვია და გამარჯვების სურვილთან ერთად თამაშის ხალისიც აქვს.

არ იქნება, რუსთა ლიდერი ანდრეი კირილენკო არ ვახსენოთ. ვენესუელასთან დაგროვილი ქულა-მოხსნებით თუ ვიმსჯელებთ, იგი ვარსკვლავია, მაგრამ ერჩივნა ვარსკვლავის თვისებები წაგებულ თამაშებში გამოემჟღავნებინა, სადაც მან თამაშში 16 სროლიდან 14 ააცილა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | + 81 | 6 |
| ახ. ზელანდია | 3 | 2 | 1 | - 5 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | - 11 | 4 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 3 | - 65 | 3 |

**ირაკლი ფირცხვილი**


REUTERS ინდიანაპოლისიდან

ისე როგორ იქნება, ახალზელანდიელებმა მეტოქეთა დასათრგუნად „ჰაკა" არ დასცეკვონ

*მეორე ეტაპზე თითოეული ჯგუფის სამი საუკეთესო გავიდა. გუნდებს გადაჰყვათ ურთიერთშედეგები (ერთმანეთს აღარ შეხვდებიან). ორი ექვსგუნდიანი ჯგუფიდან მეოთხედფინალში ოთხ-ოთხი საუკეთესო გავა*

| E ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | +35 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | +6 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | +48 | 3 |
| პუერტო რიკო | 2 | 1 | 1 | -1 | 3 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | -4 | 2 |
| ანგოლა | 2 | 0 | 2 | -83 | 2 |

| F ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | +46 | 4 |
| აშშ | 2 | 2 | 0 | +36 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | -5 | 3 |
| ახ. ზელანდია | 2 | 1 | 1 | -18 | 3 |
| რუსეთი | 2 | 0 | 2 | -28 | 2 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 2 | -31 | 2 |

*პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენილი ოთხი გუნდი — კანადა, ლიბანი, ანგოლა და ვენესუელა პლეი ოფის სისტემით გამოავლენენ ტურნირის მე-13-მე-16 გუნდებს*

# სარბიელი და კროკი
# წარმოგიდგენთ

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი**
**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ჰამბურგი(მ)-დინამო | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VIII ტური**
**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 012 | ერფურტი-აინტრახტი(მ) | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 013 | ერფურტი-აინტრახტი(მ) 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 21.00 | 014 | აალენი-კიკერსი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 22.00 | 015 | შვაინფურტი-დარმშტადტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 22.00 | 016 | ბაიერნი(მ)-რეგენსბურგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 22.00 | 017 | აუგსბურგი-ზაარბრიუკენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 22.00 | 018 | ვეენი-ჰოფენჰაიმი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 22.00 | 019 | ფულენდორფი-ზიგენი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 22.30 | 020 | ოფენბახი-უნტერხახინგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**
**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 031 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 032 | მანჩესტერი-მიდლსბრო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |

**ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური**
**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 033 | უოტფორდი-უოლსოლი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 17.00 | 034 | როტერჰემი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 035 | უენსდი-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ლესტერი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 037 | დერბი-ბარნლი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 038 | დერბი-ბარნლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პორტსმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 040 | მილუოლი-ბრაიტონი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 19.00 | 041 | ნორვიჩი-შეფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.05 | 042 | ვულვერჰემპტონი-პრესტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,12 | 1,29 | 2,21 |

**ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური**
**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 043 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 23.45 | 044 | სტოკპორტი-პიტერბრო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 045 | მენსფილდი-ქუინს პარკი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.30 | 046 | სუინდონი-პორტ ვეილი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 047 | კოლჩესტერი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 048 | უიგანი-უიკომბი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 049 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 050 | ბრენტფორდი-ლუტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 051 | ქრიუ-ჩესტერფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 052 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 053 | ნოტსი-ოლდემი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

**ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური**
**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 054 | დარლინგტონი-რექსემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 055 | ბერი-იორკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 056 | კარლაილი-როჩდეილი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 057 | კიდერმინსტერი-ბოსტონი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 058 | ლინკოლნი-სკანთორპი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 059 | კემბრიჯი-ჰალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 060 | ექსეტერი-ბორნმუთი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 061 | მაკლსფილდი-როვერსი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 062 | ოქსფორდი-ტორკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 063 | რაშდენი-საუთენდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 064 | შრუსბერი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 065 | სუონსი-ჰარტლპული | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური**
**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 066 | ბოვე-ისტრი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 067 | კაენი-კლერმონი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 068 | შატორუ-გენიონი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 069 | კრეტეი-ამიენი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 070 | ნანსი-ლავალი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 071 | ნიორი-ტულუზი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 072 | სტ. ეტიენი-ლორიანი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 073 | ვალანსი-გრენობლი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 074 | ვასკეალი-რეიმსი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 075 | ლე მანი-მეცი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**8 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 076 | სპარტა-სიტარდი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |

**ბელგია. II დივიზიონი. IV ტური**
**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 077 | გეელი-ინგელმუნსტერი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 078 | ჰეუსდენი-პატრო | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 080 | დაინცე-სტრომბეკი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 081 | რუსელარე-ვიგორი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 082 | დესელი-ტინენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 083 | ეუპენი-ვარეგემი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.00 | 084 | დენდერლეუ-რონსე | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 18.00 | 085 | ლიეჟი-სერკლი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.30 | 086 | ვირტონი-ვიზეტი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |

**პოლონეთი. გადადებული მატჩი**
**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 087 | ვიძევი-ამიცა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |

**იტალია. თასი.**
**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 088 | ჯენოა-სამპდორია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |

**შოტლანდია. ლიგის თასი. 1-ლი ეტაპი.**
**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 089 | ალბიონი-ჰამილტონი | 3,2 | 3,4 | 2,0 | 1,64 | 1,23 | 1,25 |
| 17.00 | 090 | მორტონი-სენტ მირენი | 3,2 | 3,4 | 2,0 | 1,64 | 1,23 | 1,25 |
| 17.00 | 091 | ქუინს პარკი-ისტ სტირლინგი | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| 18.00 | 092 | ბერიკი-არბროთი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 093 | ერდრი-ელგინი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 094 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 095 | ქუინი-ფორფარი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 19.00 | 096 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური**
**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 097 | ნორვეგია-დანია | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 098 | ფარერის კუნძულები-შოტლანდია | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 19.00 | 099 | რუსეთი-ირლანდია | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 20.00 | 100 | ავსტრია-მოლდავეთი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 20.00 | 101 | სომხეთი-უკრაინა | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 21.00 | 102 | ხორვატია-ესტონეთი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 21.00 | 103 | ფინეთი-უელსი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 104 | ლატვია-შვედეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 22.30 | 105 | კვიპროსი-საფრანგეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 106 | ლიტვა-გერმანია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 107 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.00 | 108 | სან მარინო-პოლონეთი | 16,0 | 8,0 | 1,05 | 5,33 | 1 | 1 |
| 23.00 | 109 | ბელგია-ბულგარეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 110 | აზერბაიჯანი-იტალია | 14,0 | 7,0 | 1,1 | 4,66 | 1,01 | 1 |
| 23.15 | 111 | სლოვენია-მალტა | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 23.15 | 112 | ბოსნია-რუმინეთი | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 23.30 | 113 | ჰოლანდია-ბელარუსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 114 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 115 | შვეიცარია-საქართველო | | | | | [illegible] | 5,0 |
| 20.00 | 116 | ლიხტენშტეინი-მაკედონია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |

**ამხანაგური მატჩები.**
**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 117 | ლუქსემბურგი-ისრაელი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 118 | ჩეხეთი-იუგოსლავია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 119 | ინგლისი-პორტუგალია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 23.00 | 120 | ისლანდია-უნგრეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

სამყამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო**

**ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48**

## US OPEN 2002 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 16 174 200 $

# ღმერთო, რა იქნება, მეც ასეთი ვიყო!
## დააყენეთ ბავშვი ოცნების გზაზე


REUTERS ნიუ იორკიდან

ენდი როდიკი

— პარასკევი. 30 აგვისტო —

**ვაჟები**

**მეორე წრე**

**გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:4, 6:4, 7:5; **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — დირკ ნორმანი (ბელგია) 6:3, 6:4, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო** (7, ესპანეთი) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:2, 5:7, 6:0, 7:5; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 4:6, 6:2, 6:4; **ენდი როდიკი** (11, აშშ) — რაიმონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:2, 6:4, 6:4; **პიტ სამპრასი** (17, აშშ) — კრისტიან პლესი (დანია) 6:3, 7:5, 6:4; **ალექს კორეჩა** (18, ესპანეთი) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 7:5, 6:2, 6:1; **ქსავიე მალისი** (19, ბელგია) — ვინსენტ სპადია (აშშ) 6:4, 4:6, 6:2, 6:2; **სხენგ შალკენი** (24, ჰოლანდია) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:3, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (26, არგენტინა) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:6 (9:7), 6:3, 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (28, ჩილე) — კენეტ კარლსენი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:4, 7:6 (7:3); **ტომას ენკვისტი** (29, შვედეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:3), 6:0; **გრეგ რუზედსკი** (33, ბრიტანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 3:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:5), 6:7 (3:7), 6:4

**ქალები**

**მესამე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ნატალი დეში (26, საფრანგეთი) 6:1, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 6:1; **ჟუსტინ ენენი** (8, ბელგია) — ბი ბილეკი (აშშ) 7:5, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — ივა მაიოლი (24, ხორვატია) 6:3, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (13, იტალია) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:2, 6:3; **დაია ბედანოვა** (20, ჩეხეთი) — ანასტასია მისკინა (15, რუსეთი) 6:3, 3:6, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ტატიანა პანოვა (22, რუსეთი) 3:6, 6:4, 6:3; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:2, 5:7, 7:5

დღის უმთავრეს სანახაობად სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენისა და ტურნირის 2000 წლის ჩემპიონის, მეორე ნომრად განთესილი მარატ საფინის შეხლა უნდა ქცეულიყო. ვაგლახ — ზორბა რუსბიჭმა იმ დღეს ისე უჯიგროდ, უნიათოდ და ფინაჩად ითამაშა, რომ სანახაობა ერთობ ცალკერტა გამოდგა. წინა წრეში გერმანელ კიფერთან 4-საათნახევრიანი ბუღრაობით გადაღლილმა საფინმა ნატიფად და მრავალფეროვნად მოჩოგნავე გუგას წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და ჩოგანი პირველი მოწოდებიდან ორი საათის თავზე დახარა.

თებერვალში ბარძაყზე გადატანილი ოპერაციის გამო ორი თვით მეუქმე ბრაზილიელისთვის ეს ზეათეულის წარმომადგენელთან მოპოვებული პირველი საამსეზონო გამარჯვება გახლდათ. იმ დღეს გუგამ საფინის 15 ეისის წილ 13 ჩაიგდო, ჯამში 45 მომგებიანი დარტყმა მოინაგრა, მხოლოდ 24 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მოწოდებათა 82 პროცენტი „საჭირო კვადრატში" დააბინავა.

„ის დღეს მართლაც საოცარი შთაგონებით თამაშობდა — ამბობდა ნამატჩევს საფინი — ეს ალბათ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. ვაღიარებ, რომ ყველაფერში პირწმინდად მაჯობა. მოჩვარული რატომ ვიყავი? ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, ინდიანაპოლისში რომელიღაც მარჯვენა ნეკნი ვიტკინე. ამიტომაც ხელწალმებს ხეირიანად ვერ ვურტყამდი. ვინძლო, შეამჩნიეთ, რომ ამ მხრიდან ორივე შეხვედრაში ძალზედ ცუდად ვურტყამდი... მაგრამ წუწუნს მაინც არ ვაპირებ. რაც იყო, იყო. ტურნირის "მოგება თუ გსურს, ბადეს არ უნდა უყურებდე — ვინც შეგხვდება, ყველას უნდა აჯობო. თუკი ვერ სჯობნი, ესე იგი, შენი წელი არ ყოფილა. მოკლედ — ამ წელს ჩემი არ ეთქმის. ვნახოთ, რა იქნება გაისად".

გუგა კი, ბუნებრივია, „წლის საუკეთესო მოგებასა და უბედნიერეს დღეზე საუბრობდა". მსოფლიოს მეორმეჩოგნის ძლევა ამ ეტაპზე ჩემი უდიდესი წარმატებააო, დასძენდა...

სხვათა შორის, ეს მათი მეექვსე დაპირისპირება იყო და მეტოქეები ახლა 3-3 გამარჯვებას მოიძევენ.

საფინის უეხო გარჯის გამო მოსაკლისებული ბარაქიანი ჩოგნაობა, კი მაყურებელმა იმ დღესვე, ერთის მხრივ, არნო კლემანისა და სებასტიან გროჟანის (10), ხოლო, მეორეს მხრივ, გრეგ რუზედსკისა (33) და პარადორნ შრიჩაფანის 5-5 სეტიანი მატჩებისას „მიიღო".

კლემანი და გროჟანი სიყრმის დოსტები და წყვილოსნები არიან და სლემტურნირზე პირველად შარშან, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში იდავეს. ამჟამინდელის დარად გამარჯვებული მაშინაც კლემანი დარჩა, ოღონდ მაშინ — ნახევარფინალობის გამო — მატჩი ერთი აჭრილი და ამღვრეული რამ გამოვიდა. პარასკევს კი ბიჭებმა ძალდაუტანებლად, დაუძაბავად და ზღაპრულად იბურთავეს და ერთ-ერთ მათიან ჟურნალისტს ისიც კი ათქმევინეს, რომ ასე 20 წლის წინ მხოლოდ იანიკ ნოა და ანრი ლაკონტი განდაგანობდნენ.

ბრიტანელ მძლავრად მომწოდებელსა და ბადესთან მიმძალებელ რუზედსკის კი ამ ბოლო დროს კადნიერად აჩაუქებული პარადორნ შრიჩაფანის ასაოტებლად თითქმის ოთხი საათი დასჭირდა. წინა სამ აშშ-ის ღია პირველობაზე 28 წლის ბრიტანელს სწორედ 5-სეტიანი მატჩები წააგო და ნაამმატჩევს კმაყოფილებით ამბობდა, რომ ნავსის გატეხვამ მეტი თავდაჯერება შესძინა.

რუზედსკი პირველი ბრიტანელია ფრედ პერის (1936) შემდეგ, ვინაც ტურნირის ფინალში გასვლა (1997) მოახერხა. იქ — ალბათ გეხსომებათ — მისი სატიტულო ამბიციები დახვეწილმა ოზიმ, პატრიკ რაფტერმა ჩააზშო.

საპარასკევო თემას კი ორიოდე საბოლოო ამბით ამოვწურავთ: ჯერ ესე: მე-11 ნომრად განთესილი ენდი როდიკი იმ დღეს 20 წლის შესრულდა და დაბადების დღე 50-ე საამსეზონო გამარჯვებით აღნიშნა. წლეულს მასზე მეტი ვერავის მოუგია. „მომგებთა სიაში" მას ლეიტონ ჰიუიტი მისდევს, ვინაც 48 წარმატებული ბრძოლა გადაიტანა; მეორე ამბავი: ქალთა შორის მე-4 ჩოგნის მქნეველმა და ტურნირის 1998 წლის მაოხარმა ლინდსი დევენპორტმა კი ფრანგი მეკვალიფიკაციე მარიონ ბარტოლის იოლი ძლევით სამეოთხწრეო საგზური ზედიზედ მეშვიდე სეზონში მიითვალა.

— შაბათი. 31 აგვისტო —

**ვაჟები**

**მესამე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ჯეიმს ბლეიკი (25, აშშ) 6:7 (5:7), 6:3, 6:4, 3:6, 6:3; **ანდრე აგასი** (6, რუსეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2, 6:1, 6:2; **როჯერ ფედერერი** (13, შვეიცარია) — ქსავიე მალისი (19, ბელგია) 4:6, 6:3, 6:4, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — მარსელო რიოსი (22, ჩილე) 6:3, 6:3 (რიოსმა შეწყვიტა); **იუნეს ელ აინაუი** (20, მაროკო) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:1, 6:2; **იან-მიშელ გამბილი** (აშშ) — გასტონ გაუდიო (21, არგენტინა) 6:0, 6:2, 6:0; **მაქს მირნი** (32, ბელარუსი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 2:6, 6:4, 6:4; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:1, 6:2, 7:5

**ქალები**

**მესამე წრე**

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (3, აშშ) — მეგან შონესი (30, აშშ) 6:2, 6:2; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — ჩო იუნ-ჯეონგი (სამხრეთ კორეა) 6:1, 5:7, 6:3; **კიმ კლაისტერსი** (7, ბელგია) — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 1:6, 7:5, 6:4; **მარტინა ჰინგისი** (9, შვეიცარია) — ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4; **ამელი მორესმო** (10, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (23, შვეიცარია) 6:1, 6:4; **ჩანდა რუბინი** (14, აშშ) — ლიზა რეიმონდი (21, აშშ) 7:6 (7:2), 6:4; **ეიმი ფრეზიერი** (აშშ) — მაგი მალეევა (16, ბულგარეთი) 3:6, 6:2, 6:2

კაცთა უსტაბაშ ლეიტონ ჰიუიტისა და შავტუხა ამერიკელ ჯეიმს ბლეიკის (25) შეხლას შეხლამდეც მოუთმენლად ელოდნენ, საკუთრივ შეხლის დროსაც აგემოვნებდნენ და ნაშეხლავებს ხომ მასზე ლაპარაკს არაფერი ერჩიათ.

მართლაც ზეპური ჩოგნაობა გახლდათ. ნაამები ლიანგი იქით იყოს, ერთმანეთს ტაში რამდენჯერმე თავად ბიჭებმაც დაუკრეს...

„ვფიქრობ, ამ მატჩით მთელმა ჩოგბურთმა მოიგო — ამბობდა მერე ბლეიკი — ორივემ შესაძლებლობათა ზღვარზე ვითამაშეთ, მთელი ჯიგარი ჩავაქსოვეთ თამაშში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი შემხედვარე ნებისმიერი ბავშვი ინატრებდა, ღმერთო, რა იქნება, მეც ასეთი ვიყოო".

სამსაათიანი და 34-წუთიანი მატჩის ბედი კი მაინც ალბათ ბლეიკის 86-მა (!) უნებლიე შეცდომამ გადაწყვიტა. ეს მით უფრო, რომ ჰიუიტი უნებლიედ მხოლოდ 40-ჯერ შეცდა და ჯამში 53 ქულიანი დარტყმა მოაქუჩა.

„ის საოცრად დამთრგუნველია — ეხოტბებოდა მას ბლეიკი — ზოგჯერ გგონია, რომ ძალიან იოლ ბურთებს აცილებ, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ის უდიდეს სამუშაოს ასრულებს და შენს დაწნეხვას წარმატებით ახერხებს. ის ყოველთვის იქ უშვებს ბურთს, სადაც საჭიროა და სადაც შენ აუცილებლად პრობლემა გექნება".

მოკლედ — შარშანდელი ჩემპიონი ფორმაშია და ტიტულის დაცვას დამაჯერებლად განაგრძობს.

დანარჩენ მატჩებში 32 წლის ორგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ (6) კვლავ სეტისწაუგებლად იმარჯვა და პარაგვაელ რამონ დელგადოსთან პირადი ანგარიში 3:0-მდე აიყვანა. ამ მოგებამ დიადი არმენოამერიკელი წლევანდელ ჩემპიონთა რბოლაში მეორე საფეხურამდე ალაზევა. ახლა მას 444 ქულა აქვს და პირველადგილოსან ლეიტონ ჰიუიტს 186 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ აგასი რბოლის ყოჩობას გაჩემპიონების შემთხვევაშიც ვერ შეძლებს.

გამარჯვების გემო დაიბრუნა როჯერ ფედერერმა (13), ვისაც უკვე რამდენიმე თვეა ღირებული არაფერი გაუკეთებია და არც ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა.

რაც შეეხება მდედრიონს, კიდევ ორი გეიმი წააგო, მაგრამ სანაცვლოდ კიდევ თორმეტი მოიგო ვინუს უილიამსმა (2). თვისტომ შონესის ტრიბუნებზე აშვებას 56 წუთი მოანდომა ჯენიფერ კაპრიატიმ (3) — ეს მათი მეექვსე შეხვედრა და ჯენის მეექვსე გამარჯვება გახლდათ. მარტინა ჰინგისი (9) და ამანდა კუცერი ცხოვრებაში მეცხრედ დაპირისპირდნენ და 1997 წლის ჩემპიონმა შვეიცარიელმა მეტოქეს მერვე დამარცხება აგემა.

სამაგიეროდ — მაგრად გაუჭირდათ მონიკა სელეშსა (6) და კიმ კლაისტერსს (7). გაჯიქებულ მეტოქეთა დამორჩილება მათ მხოლოდ 3-3-სეტიანი დაძაბული მატჩების შედეგად შესძლეს.

— კვირა. 1 სექტემბერი —

**ქალები**

**მეოთხე წრე**

**სერენა უილიამსი** — დაია ბედანოვა 6:1, 6:1

საკვირაო მატჩები გადაუღებელმა წვიმამ ჩაშალა. ერთადერთი, ვინაც თქეშიდან თქეშამდე უნალექობაში თავისი შეხვედრა მოამთავრა, ქალთა პირველოსანი, სერენა უილიამსი იყო. უმცროსმა შავდამ ჩეხი დაია ბედანოვა 41 წუთში გაანადგურა. სერენა უკვე 18 სლემმატჩია, კორტს გამარჯვებული ტოვებს. ამ რიცხვს თავადაც მიიღებთ, ტიტულებით დასრულებულ მის საროლანგაროსო და საუიმბლდონო 7-7-მატჩიან სერიებს ფლეშინგ მედოუზზე მოგებულ 4 შეხვედრასაც თუ მიათვლით.

**ლევან ძელაშვილი**


REUTERS ნიუ იორკიდან

მარატ საფინი



ქსავიე მალისი

## ამბავ-ცნობარი



სერენა უილიამსი

## სერენას კაცი დასდევს

**უკვე** რამდენიმე თვეა, 34 წლის მძუვანი გერმანელი ალბრეხტ შტრომაიერი სერენა უილიამსს ყოველ ტურნირზე თან დაჰყვება. კვირას ის ჩოგბურთის ეროვნულ ცენტრშიც დალანდეს, როცა ლობის გადაღმიდან სერენასა და ბედანოვას მატჩით სიამტკბილობდა. ჰერ შტრომაიერი უმალვე საპყრობილეში მიაბრძანეს. მას ქალთა მთავარმეჩოგნის დევნა ბრალდება.

შავდათა მამა რიჩი თვლის, რომ სერენა ამ ამბავს ძალიან არასერიოზულად უყურებს. მას არც შტრომაიერისთვის დადგენილი სათავდებო თანხის (3 ათასი დოლარი) რაოდენობა მიაჩნია სწორად. „ეს იმდენად ცოტაა, რომ ამ გადარეულს პირიქით, შეაგულიანებს კიდეც კვლავაც აკეთოს ის, რასაც აქამდე აკეთებდა" — ამბობს იგი.

სერენა მაისის შემდეგ პირად მცველთან ერთად მოგზაურობს. ამა თუ იმ ტურნირზე მის ჩასვლას კი ყოველთვის მისი მოტრფიალის ფოტოთა ჩაგზავნა უსწრებს ხოლმე.

შეგახსენებთ, რომ ამ ორი წლის წინ ასეთივე შერეკილი ქომაგი მარტინა ჰინგისსაც დასდევდა. ის კაცი ახლა ციხეშია და ორწლიანი ვადის მეორე წელს იხდის.

## წყვილოსნობა შვილოსნობის მაგიერ



მარტინა ნავრატილოვა

**მარტინა** ნავრატილოვა უკვე 45 წლისაა, მაგრამ შვილოსნობას მაინც წყვილოსნობა ურჩევნია. აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობაზე ის ერთდროულად ორ საწყვილოსნო შეჯიბრში გამოდის — უზბეკ იროდა ტულიაგანოვასთან ერთად ქალთა ჯგუფებში ჩოგნაობს, ინდოელ ლეანდერ პაესთან ერთად კი — შერეულებში. რაც მთავარია, ორივეგან მან უკვე მეორე წრეშიც გააღწია. მისი და იროდას წყვილმა ალისია მოლიკისა და ფრანჩესკა სკიავონეს აჯობა 7:6 (7:4), 7:5, ხოლო პაესთან ერთად მან რენე სტაბსისა და ტოდ ვუდბრიჯის ჯუფთი აოტა 7:6 (7:4), 7:5.

შეგახსენებთ, რომ თავისი ფანტასტიკური კარიერის განმავლობაში ამ კაფანდარა ლესბოსელმა 167 საერთეულო და 165 საწყვილო ტიტული მოიხვეჭა. მას ეცინება, რომ მისი ასაკოვნობის მიუხედავად მის წარმატებულ თამაშზე ეკითხებიან:

„თავიდან მე ძალიან პატარა ვიყავი, მერე კი — ძალიან ბებერი. იმ დროს, როცა ჩემი ასაკი ყველას აკმაყოფილებდა, ძალიან მალე გაირბინა, ისე, რომ უკვე აღარავის ახსოვს. მათ შორის — არც მე".

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთოთხმეტე ეტაპი

# გაგონილა ამდენი რეკორდი?

## ლაუდა ვირზე შეჯდა, ფული მინდაო



REUTERS

ტრადიციად ქცეული ერთფეროვნება: ქარავანს წყვილი „ფერარი" უძღვის

**გამორჩეულად** უშფოთველი და უფათერაკო გამოდგა ბელგიის 49-ე დიდი პრიზის გათამაშება. წინა წლებისგან განსხვავებით, ერთი მცირე შეჯახებაც არ მომხდარა და არც მთიანი არდენისთვის ჩვეულ თავსხმას აურევია ამჯერად რბოლის დავთრები. ტრასა ალაგ-ალაგ სველი კი იყო, მაგრამ თითქმის ნახევარი მეტრი სიგანის საბურავებმა მალე გააშრო. თქეში და ავარია როგორ ინატროს კაცმა, რომ რბოლას ოდნავი ინტრიგა მაინც გაუჩნდეს, თორემ რა გამოდის — მიხაელ შუმახერის ალისფერი ბოლიდი თავიდანვე ცეცხლწაკიდებულივით გაიჭრება წინ და ათიოდ წუთში რბოლა ინტერესს კარგავს. მით უფრო, როცა გერმანელის „ფერარი" პირველ სასტარტო პოზიციაზე, ანუ მეტოქეებზე წინ დგას. ახლაც ასე იყო.

მიხაელმა კვალიფიკაცია პირველივე გასვლაზე, რომ იტყვიან „ნოკაუტით" მოიგო — კონკურენტები მის შედეგს ახლოსაც ვერ გაეკარნენ. „წითელ ბარონს" მეოთხე ცდა არც გამოუყენებია, მეორეზე კი თავისივე შედეგს აჯობა, შვიდკილომეტრიანი წრე ერთ წუთსა და 43,726 წამში 241,663 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიქროლა და შოტლანდიელ დევიდ კულჰარდის ოთხი წლის წინანდელი მიღწევა თითქმის ხუთი წამით გააუმჯობესა. ამხელა სხვაობა იმანაც გამოიწვია, რომ ტრეკის ბოლო მოსახვევი „ავტობუსის გაჩერება" ოდნავ სწრაფი გახდა. ეს შუმის წლეულს მეხუთე, თერთმეტწლიან ფანტასტიკურ კარიერაში 48-ე, ხოლო „სპა-ფრანკორშამზე" პირველი(!) პოულია. საოცარია, რომ იქ სარეკორდო ხუთი მოგების ავტორს კვალიფიკაციაში აქამდე ერთხელაც ვერ ემარჯვა. სტარტზე მის გვერდით, ანუ პირველ რიგში დადგომის უფლება პირველად მოიპოვა 22 წლის კიმი რაიკონენმა. უკან განლაგდნენ რუბენს ბარიკელო და რალფ შუმახერი, ხუან პაბლო მონტოია და დევიდ კულჰარდი...

ამჯერადაც არსად ჩანდნენ „ეროუსის" პილოტები. გუნდის შეფმა ტომ უოკინშოუმ გაკოტრების პირზე მდგარი საჯინიბოს გადამრჩენი მეფულე კი გამონახა, მაგრამ რაკი „იაგუარისგან" შეძენილი ძრავების საფასურის გადახდა ვერ მოესწრო, კატისებრთა ბოსმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ ბელგიაში მოტორების გამოყენების უფლება არ მისცა, გინდა თუ არა, ჯერ ვალი გამისტუმრეთ, ძრავები მერეო. უოკინშოუმ ამით მორიგი დარტყმა მიიღო, რადგან უკვე ორი ეტაპის გამოტოვებისთვის საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას ჯარიმის სახით მილიონნახევარი დოლარი უნდა გადაუხადოს და ძლივს ნაპოვნმა „ფულის ტომარამ" ამდენს იქნებ ვერც გაუძლოს. ბრაზილიელი ენრიკე ბერნოლდი ჯერ კიდევ ითვლება „ეროუსის" მძღოლად, ერთი თვის წინ აბარგებული ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი კი სავაისოდ „ზაუბერმა" მიიწვია და 35 წლის გერმანელი ვიცეჩემპიონი საფორმულო საქმიანობას, ეტყობა, იმავე საჯინიბოში დაასრულებს, სადაც რვა წლის წინ დაიწყო.

ხელსაყრელი სასტარტო პოზიციით ვერ ისარგებლა ასეთ საქმეში გამოუცდელმა რაიკონენმა. დაძვრისთანავე გვერდზე მკვეთრად გაიწია ბარიკელოსთვის გზის გადასაღობად, მაგრამ არაფერი გამუვიდა და თავადვე დაზარალდა — ტემპი დაკარგა და პირველ მოსახვევში ბრაზილიელმა შეასწრო. ამ უხეირო გაწევ-გამოწევამ რალფიც შეაფერხა და ორი ადგილი დააკარგინა. ორიოდ წუთში კიმიმ მორიგი შეცდომა დაუშვა, რითაც მონტოიამ ოსტატურად ისარგებლა და დაბნეული ფინელის წინ აღმოჩნდა.

დაწინაურებულმა ექვსეულმა (მიხაელი, ბარიკელო, მონტოია, რაიკონენი, კულჰარდი, რალფი) გზის მესამედი ისე მოილია, ერთი ცვლილებაც არ მომხდარა. დაძაბული ბრძოლა შუა ქარავანში მიმდინარეობდა: ჟაკ ვილნევმა იყოჩაღა და მიყოლებით აუარა გვერდი სამ მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ რბოლა მერვე, მაინც უქულო ზონაში დაასრულა. მიხაელი ყოველ წრეზე თითქმის ორ წამს უგებდა მონტოიას და ბოქსებში პირველი სტუმრობის წინ ნახევარი წუთით ჩამოიტოვა. ხუთგზის ჩემპიონის ტემპს მისნაირ ბოლიდზე ამხედრებულმა თანაგუნდელმაც კი ვერ გაუძლო — რუბენსმა იოტისოდენა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია და მოსაწყენი, ერთფეროვანი რბოლის შუა წელში ოცი წამით ჩამორჩა. მეტოქეები ფინიშთან მკვეთრად შეანელა სვლა, რაკი ხელის შემშლელი არავინ იყო. ვიცეჩემპიონობისთვის მებრძოლ ბარიკელოს ამჯერად მიხაელისგან პირველობის დათმობა არ დასჭირვებია და სამეორეადგილო ექვსი ქულითაც მდევრებთან უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. შელინლილი ბლანჟიც ალბათ საიმისოდ უნდა, რომ სეზონის ბოლოს სავიცეჩემპიონო პრიზის მიღებისას სოლიდურად გამოიყურებოდეს. რაიკონენის „მაკლარენს" მეორე პიტსტოპის შემდეგ ძრავა აუბოლდა, რამაც ჩასათვლელ ექვსეულში ადგილი აშოვნინა სადღეისოდ უხნეს მეფორმულეს, საპენსიოდ გამზადებულ 36 წლის ედი ირვინს.

მიხაელმა და რუბენსმა „ფერარის" 57-ე დუბლი მოუპოვეს და მშვენიერი საჩუქარი უძღვნეს „სკუდერიის" პრეზიდენტ ლუკა დი მონტეძემოლოს, რომელიც შაბათს 55 წლის შესრულდა. „ფერარიმ" ზედიზედ პოდიუმიანი არანორმალური შედეგიანობა 50-მდე გაზარდა. ასევე 50-ე იყო შუმისთვის რბოლის უსწრაფესი წრე, თანაც მან ასევე სარეკორდო, მე-11 ჰეთ თრიქი (პოული, უსწრაფესი წრე, მოგება) მიითვალა და სპაზე მეექვსე გამარჯვებით ბელგიის აბსოლუტური რეკორდსმენიც შეიქნა. რაც უმთავრესია, მიმდინარე სეზონში მეათე ეტაპის მოგებით, სამჯერ გამეორების შემდეგ როგორც იქნა, დაამხო ინგლისელ ნაიჯელ მენსელის ათი წლის წინანდელი მიღწევა. ვიდრე ერთ ჩემპიონატში ყველაზე მეტი რბოლის მომგებთა სიას დახედავდეთ, იმასაც გაცნობებთ, რომ დღეები დათვლილი აქვს სეზონში ქულების (123) და კონსტრუქტორთა თასზე „მაკლარენის" 199-ქულიან რეკორდებსაც. დაუმატეთ ამას მიხაელ შუმახერის მიერ ორიოდე თვის წინანდელი სამი მიღწევაც და დარწმუნებული ვართ, სათვალავიც აგერევათ.

**გია ახალაძე**

### მოგებები სეზონში

| | | | |
|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 10 (2002) |
| ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 9 (1992) |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი | 9 (1995) |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 9 (2000) |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 9 (2001) |
| აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 8 (1988) |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი | 8 (1994) |
| დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 8 (1996) |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი | 8 (1998) |

### რბოლის შედეგები

**ბელგიის დიდი პრიზი**

1 სექტემბერი. სპა-ფრანკორშამი

დისტანცია 44 წრე — 306,355 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:21.20,634 (225,970 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 1,977 |
| 3. მონტოია (უილიამსი) | 18,445 |
| 4. კულჰარდი (მაკლარენი) | 19,357 |
| 5. რ. შუმახერი (უილიამსი) | 56,440 |
| 6. ირვინი (იაგუარი) | 1.17,370 |
| 7. სალო (ტოიოტა) | 1.17,809 |
| 8. ვილნევი (BAR) | 1.18,855 |
| 9. მაკნიში (ტოიოტა) | 1 წრით |
| 10. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 11. სატო (ჯორდანი) | 1 წრით |
| 12. პანი (BAR) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ფიზიკელა (ჯორდანი) | გაიარა 38 წრე |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 37 |
| მასა (ზაუბერი) | 37 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 35 |
| ტრული (რენო) | 35 |
| დევიდსონი (მინარდი) | 17 |
| ბატონი (რენო) | 10 |
| ვებერი (მინარდი) | 2 წრით |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1.47.176 (233,884 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ. ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | | | | 122 |
| 2 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | – | 6 | – | 4 | 10 | 6 | – | 3 | 10 | 6 | | | | 51 |
| 3 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | – | – | – | 4 | 3 | 6 | – | 4 | | | | 44 |
| 4 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 4 | 4 | 2 | | | | 42 |
| 5 კულჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 6 | – | – | 4 | 2 | 2 | 3 | | | | 37 |
| 6 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | – | – | – | 3 | 4 | – | 6 | – | 3 | – | | | | 20 |
| 7 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | – | – | – | – | 2 | – | 1 | – | – | – | | | | 11 |
| 8 ფიზიკელა (ჯორდანი, იტალია) | – | – | – | – | – | 2 | 2 | 2 | – | – | – | – | 1 | – | | | | 7 |
| 9 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | 1 | – | 1 | – | – | | | | 7 |
| 10 ტრული (რენო, იტალია) | – | – | – | – | – | – | 3 | 1 | – | – | – | – | – | – | | | | 4 |
| ირვინი (იაგუარი), მასა (ზაუბერი) — 4, ვილნევი (BAR) — 3, ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფრენცენი (ეროუსი), პანი (BAR) — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | 6 | 14 | 16 | 16 | 10 | 13 | 16 | 16 | | | | 173 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | 4 | – | 3 | 4 | 5 | 10 | 4 | 6 | | | | 86 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 9 | 4 | – | 10 | 2 | 5 | 3 | | | | 57 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 1 | – | – | – | | | | 15 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | – | – | 1 | 1 | – | 1 | – | – | | | | 11 |
| ჯორდანი — 7; BAR — 5; იაგუარი — 4; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ოლიმპიურ სახეობათა გუნდურ შეჯიბრებებში აქამდე მიუღწეველი შედეგით დაასრულა – მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ბაზელში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთა ასეთი შედეგი ეგებ მოულოდნელიც იყოს, მაგრამ ჩვენებმა ამ გაზაფხულზე ევროპის გუნდური ჩემპიონატი მოიგეს, და, აგერ, მსოფლიოს უძლიერეს 14 ქვეყანაში მეორეობაც შეიძლეს. შეიძლეს და, ბარაქალა მათ!*

# გუნდი ვარსკვლავი!

## ჭადრაკი, რაგბი, ძიუდო: სხვა გუნდები სად არიან?

**საქართველოს** ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა შეჯიბრის დაწყებამდე ორი დღით ადრე გადაწყდა. ჭოჭმანის მიზეზი, ცხადია, უფულობა იყო. სწორედ ამიტომ შოთა ხაბარელმა შვეიცარიაში რვა სანახევროდ მომზადებული ძიუდოისტი წაიყვანა, როცა სხვა ნაკრებები ლამის ორი შემადგენლობით ჩავიდნენ ბაზელში.

თავიდან ჩვენებს გაუმართლათ. იოლ ჯგუფში მოხვდნენ და როცა სამხრეთ კორეა და უნგრეთი ერთმანეთს სიქას აცლიდნენ, ქართველები ისვენებდნენ და მათ შორის გამარჯვებულს ელოდნენ. სამხრეთ კორეამ მოიგო და ქართველების პირველი მეტოქე გახდა. ხაბარელის საშეგირდომ ეფექტურად დაიწყო: გიორგი მამრიკიშვილმა (81კგ), ივერი ჯიქურაულმა (100კგ) და ალექსი დავითაშვილმა (მძიმე ) თავიანთი ბრძოლები მოიგეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა სამხრეთ კორეის 3:1 დასამარცხებლად. ამასთან ამ წყვილში გამარჯვებული ნახევარფინალში იაპონიასა და საფრანგეთზე ბევრად სუსტ, სავარაუდოდ, ირანზე გადიოდა. ასეც მოხდა. სპარსელებმა მოლოდინისამებრ ნახევარფინალში გააღწიეს და იქ ჩვენებს შეუწყვილდნენ.

ირანელები კორეელებზე კერკეტები აღმოჩნდნენ და თავიდან 2:0 დაწინაურდნენ. საწყისი ორი ბრძოლა ნესტორ ხერგიანმა (60კგ) და გიორგი რევაზიშვილმა (66კგ), წააგეს. ჩვენები დავით ქევხიშვილმა (73კგ), გიორგი მამრიკიშვილმა, ზურაბ ზვიადაურმა (90კგ) და ივერი ჯიქურაულმა იხსნეს. მათ მიჯრით მოიგეს ბრძოლები და თავისიანებს გამარჯვება გაუნაღდეს — 4:3.

ფინალში ქართველებს იაპონია ელოდა, რომელსაც ორი ოლიმპიური ჩემპიონი კენძო ნაკამურა და კოსეი ინოუე ჰყავდა. სხვათა შორის, იაპონიამ ნახევარფინალში ძიუდოს აღიარებულ ლიდერ საფრანგეთს 7:0 მოუგო.

ნაკლები დღე არც ჩვენებს ელოდათ. ვერც ხაბარელის ცვლილებამ უშველა საქმეს, როცა გიორგი რევაზიშვილის ნაცვლად დავით მარგოშვილი აჭიდავა. საბოლოოდ ქართველებმა 0:7 წააგეს და ვერცხლი მოიპოვეს.

**ბაჩო სვანიძე**



# იფალავნებენ გურჯები სპარსეთში?

## ბედინეიშვილი ბედს საბერძნეთში ეძებს

**საქართველოს** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუშინ თეირანს გაფრინდა, სადაც 5-7 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

ქართველები ამჯერად ნაკლებად შეაწუხა ფინანსურმა პრობლემებმა და ისინიც ჯერ ბორჯომში, მერე კი ფალავანთა კლუბში მოემზადნენ. ბოლო წლებისგან განსხვავებით ნაკრების მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ ყველა უძლიერეს ფალავანს მოუყარა თავი. აქამდე ჩვენები ტრავმებისა თუ სხვა რამ მიზეზთა გამო ხშირად შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდნენ ტურნირებზე.

ნაკრებს დაუბრუნდნენ ოთარ თუშიშვილი და დავით პოღოსიანი. თუშიშვილმა მტკივანი ხელი მოირჩინა, რომელსაც კარგა ხანს წამლობდა. პოღოსიანი კი ჯერ მტევნის ტრავმის გამო ვერ ჭიდაობდა, მოგვიანებით ცხვირი გაიტეხა, ბოლოს კი ბაქოს ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა, გვარის გამო აზერბაიჯანში ჩასვლას მოერიდა.

არის ერთი, სერიოზული დანაკლისიც. ემზარ ბედინეიშვილი თეირანში არ იჭიდავებს. იგი ახლა საბერძნეთშია და იქაურებთან აპირებს საქმის დაჭერას. გამორიცხული არაა, ემზარმა მომავალში საბერძნეთის სახელით გააგრძელოს კარიერა.

სათეირანო რჩეულ შვიდეულში მოხვდა ნაკრების დებიუტანტი ბესიკ გოჩაშვილი, 21 წლამდელებში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი. ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: *ბესიკ გოჩაშვილი (55კგ), დავით პოღოსიანი (60კგ), ოთარ თუშიშვილი (66კგ), გურამ მჭედლიძე (74კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), ელდარ კურტანიძე (96კგ), დავით ოთიაშვილი (120კგ).*



# ოქროს სუნი



მერიონ ჯონსმა (მარცხნივ) ბრიუსელშიც ჩამოიტოვა მარადიული მეტოქე ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი

**თანდათან** აცივებასთან ერთად მძლეოსანთა ოქროს ლიგა ოქროს სხადოს უახლოვდება. ჩაუქ ათლეტებს ბერლინში ოქროს ზოდების 50-კილოგრამიანი გროვა ელით. ვისზე გაიყოფა ნახევარი ცენტნერი ძვირფასი ლითონი, ეს ბერლინშივე, ლიგის მეშვიდე და ბოლო ეტაპის ჩატარებისას გაირკვევა, რადგან ბოლოსწინა, ბრიუსელურმა ეტაპმა ვერავინ ამორიცხა აქამდე შემორჩენილ ოქროსმაძიებელთა ოთხკაციანი სიიდან.

ბრიუსელურ სარბენ ბილიკებზე გაიმარჯვა იმ ოთხივე სპორტსმენმა, რომლებსაც წლევანდელი ლიგის ყველა წინა ეტაპი ასევე დაუსრულებიათ. ამგვარად, ოთხივემ, მერიონ ჯონსმა, ჰიშამ ელ გერუჯმა, ფელიქს სანჩემა და ანა გევარამ ბოლო, ბერლინურ იერიშამდე მიიყვანეს საქმე. ბერლინში დამარცხებული ავტომატურად ამოირიცხება ოქროს სიიდან და დარჩენილები თანაბრად გაიყოფენ 50 კილოგრამ ბაჯაღლოს, რაც თავისთავად არაა ურიგო ჯეკ პოტი.

სარბიელზე ზეოთხეულიდან პირველს დომინიკის რესპუბლიკელ ფელიქს სანჩესს მოუწია გამოსვლამ. 400 თარჯებით გამრუდებულ მეტრზე სანჩესის უმთავრესი კონკურენტი ფრანგი ევროჩემპიონი სტეფან დიაგანა იყო. დიაგანამ შესანიშნავად ირბინა და ყველას გაასწრო სანჩესის გარდა. საერთოდ, ეს წელი კარიბელი თარჯმორბენლისაა, სანჩესი თავის გზაზე ყველა წინაღობას, სულიერსაც და უსულოსაც, ატება. იმ დღეს ის 25 წლისა გახდა, საერთოდ ფრთებშესხმულმა ირბინ-იხტუნავა და დისტანციის 47,99 წამში დაძლევით თავს პირველი ადგილი აჩუქა.

კარიბელის შემდეგ ნაღდი ამერიკელის მერიონ ჯონსის ჯერმა მოაწია. სამძლეოსნო სამყაროში იქნებ ყველაზე მომხიბლავმა არსებამ ერთხელაც დაამტკიცა, რომ ობიექტივებისა და სპორტული საზოგადოების ფოკუსში, ჩოგბურთელ ანა კურნიკოვასგან განსხვავებით, მხოლოდ თავისი მწყაზარი პირისახის გამო არ ხვდება და ერთხელაც მოექცა თავში პლანეტის ყველაზე ფეხმარდი ქალბატონების მომცრო ჯგუფს. მერიონს მსოფლიოს რეკორდი არ გაუუმჯობესებია, მაგრამ ეს ამჯერად არც სჭირდებოდა, რეკორდი ხომ ისედაც მისია. ჯონსს ახლა გამარჯვება აძლევდა ხელს და 100 მეტრის 10,88 წამში გარბენით კიდეც მიაღწია სასურველს. ისე კი, დიდი ჯაფა დაადგა, უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი პირველ 80 მეტრზე მხარდამხრ მიჰყვებოდა, ფინიშიც მასზე მხოლოდ 0,02 წამით გვიან გადაკვეთა.

ასევე ბოლომდე დახარჯვა მოუხდა მესამე ოქროსმაძიებელს, მაროკოელ ჰიშამ ელ გერუჯს. მან სამ წუთსა და 29,95 წამში ჩვეულად ყოჩაღად გაირბინა სრული კილომეტრნახევარი, მაგრამ გზადაგზა ეჭვობდა — ეს კენიელი ბერნარდ ლაგატი ისე მარდად მომდევს, ემანდ პირველი ადგილი არ წამართვასო. ფეხმარდი კენიელი მხოლოდ ბოლო 100 მეტრზეღა ჩამორჩა მაროკოელს.

ყველაზე დამაჯერებლად მეოთხე ოქროსმაძიებელმა, მექსიკელმა ანა გევარამ იმარჯვა. მან 400 თარჯებიანი მეტრი უახლოეს მდევარ ლორენ ფენტონზე ლამის ნახევარი წამით ადრე, 49,69 წამში დაფარა, მაგრამ კირკიტა ჟურნალისტებმა მაინც გამოუძებნეს ხინჯი, დაწერეს — მთავარი იარაღი სრულად ვერ გამოიყენა, ბოლო 100 მეტრზე ძველებურად სხარტად ვერ გაქუსლა და ვერ ჩამოიტოვა მეტოქენიო.

**ირაკლი ფირცხვილი**



# დაიწყო: ჩემპიონატი მეტსახელად „როგორც იქნა"

**როგორც იქნა**, დაადგა საშველი საქართველოს ჩემპიონატის დაწყებას, ჯერ შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლამ და მერე კლუბთა უფულობამ რომ გააჭიანურა.

ამ უქმეებზე ჩემპიონატის პირველი და არასრული ტური გაიმართა: ლოკომოტივი — უნივერსიტეტი გადაიდო. ამ წყვილის შეხვედრა, ალბათ, ერთ კვირაში შედგება, თუმც არც ისაა გამორიცხული, მატჩი საერთოდ არ ჩატარდეს. საქმე ისაა, რომ ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივს" ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა არ გადაუხდია და თუ მე-3 ტურამდე არ გაისტუმრებს დავალიანებას, ყველა თამაშში წაგებას ჩაუთვლიან, მე-3 ტურის შემდეგ კი გათამაშებიდან მოხსნიან.

სხვათა შორის, რკინიგზელებს საწევრო რომც გადაეხადათ, მატჩი მაინც ვერ შედგებოდა: წვიმამ ვარკეთილის მეურნეობის მოედანი დატბორა, თბილისურ კლუბებს კი სხვა არ გააჩნიათ. პოდა, ეს მატჩი რომ გადაიდებოდა, ადრევე იყო ცნობილი. ახლა რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის ჯერია, იგი გადაწყვეტს, მატჩი გადადის თუ „ლოკომოტივს" წაგება ჩაუთვლის.

ტურის დანარჩენი ორი თამაში ლიხსიქით გაიმართა. ვიცე-ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ბათუმის „დათვებმა" თავიანთ ნამატ „დათვები 2"-ს საზიარო ანგისას სტადიონზე „უმასპინძლეს". არადა, ზღვისპირელების უფროსებმა რაგბის კავშირს შემოუთვალეს, ევროპის რეგიონთა თასზე დანიელები რომ გავანადგურეთ, დავიღალეთ და ეგებ მატჩი გადავდოთო. კავშირმაც დასტური უთხრა, მაგრამ მერე ბათუმელებმა გადაწყვიტეს, მაინც ვითამაშოთო და პირველი ბათუმური ძმური-დერბიც შედგა. უფროსი „დათვები" 16:3 მოერივნენ უმცროსებს.

**ბაჩო სვანიძე**

# აია აია? აია სკოლა

ქუთაისი. 31 აგვისტო. დინამო

**აია 6:31 ყოჩები**

**აია:** ჭოლაძე (კუხიანიძე), ფრუიძე (ქავანიშვილი), ბუხაიძე, ნემსაძე (გუდავა), გაბუნია (კინწურაშვილი), ცნობილაძე, გრიგოლია, თ. ბალანჩივაძე, მჭედლიძე (ი. ჩუბინიძე), ზვიადაძე, ლ. მოდებაძე, ნაჩქებიაძე, ლეჟავა, ლილუაშვილი, სორდია (ქავთარაძე)
**ლ:** მოდებაძე; **ს:** ზვიადაძე;
**ყოჩები:** ალიმბარაშვილი, გოლიაძე, გულუხია, ჩაკვეტაძე, კახაძე, ამირხანაშვილი, მალალურაძე (კიკვიძე), გ. ხაბეიშვილი, ფაილოძე, სოხაძე, გრუდკო, ავლოხაშვილი, ტრაპაიძე (ძამიაშვილი), მხეიძე, კობერიძე
**წლ:** სოხაძე (2), ამირხანაშვილი, ალიმბარაშვილი, ხაბეიშვილი; **პგ:** ავლოხაშვილი (2), სოხაძე;
**მსაჯი:** მ. ჩაჩუა
**მეთვალყურე:** გ. სუთიაშვილი

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

**საქართველოს** ძლივს დაწყებული ჩემპიონატის სასტარტო მატჩი ქუთაისში გაიმართა, სადაც მრავალტანჯულმა „აიამ" „ყოჩებს" უმასპინძლა და მოსალოდნელი მარცხიც იწვნია.

ძალიან დასუსტდნენ საახალსეზონოდ ქუთაისელები. ასე იცის უსახსრობამ. „აიადან" ყველა წამყვანი მოთამაშე წავიდა და გასაკვირიცაა, როგორ მოახერხეს დიმიტრი ფულარიამ და ზაზა თხელიძემ ახალი გუნდის შეკოწიწება. ცხადია, ამათ სხვა გზა არ ჰქონდათ, ისევ ადგილობრივი სკოლებიდან უხმეს სრულიად გამოუცდელ ბიჭებს, რომელთა შემართება და ბრძოლის ჟინი, ალბათ, საკმარისი არ იქნება ჩემპიონატში რაიმე წარმატების მისაღწევად.

სტუმრები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და, მიუხედავად იმისა, რომ დამხვდურნი ვაჟკაცურად იცავდნენ თავს, მალევე დაწინაურდნენ. მარჯვენაფლანგური იერიში ამირხანაშვილის ლელოთი დასრულდა. მართალია, შუა ტაიმში ზვიადაძემ საჯარიმოთი შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ „ყოჩებმაც" არ დაახანეს და ორჯერ შეაღწიეს მეტოქის სამფლობელოში. პირველი ნახევარი სტუმრებმა 17:3 მოიგეს.

თამაშის ხასიათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. დედაქალაქელები უფრო მეწყობილად მოქმედებდნენ და ორი მძლავრი იერიშით მეტად დაწინაურდნენ — 31:3. „აიას" ყმაწვილკაცები კი მაინც არ იტეხდნენ გულს და სხვა თუ არაფერი, ერთი ლელოც მიითვალეს.

— ბევრი შეცდომა დავუშვით, ეს გამოუცდელობის ბრალია — თქვა მატჩის შემდეგ „აიას" თავკაცმა დიმიტრი ფულარიამ. „ყოჩების" დამრიგებელმა მალხაზ ჭეიშვილმაც გვითხრა, მძლავრი შერკინების წყალობით გავიმარჯვეთო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელაა, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge